ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი მჭედლიშვილი

ისტორიული ეტიუდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მჭედლიშვილი

ისტორიული ეტიუდები

თბილისი
2013

ეროვნული
ბიბლიოთეკა

UDC(უაკ)94(100)+008(100)(09)
მ-983

ისტორია არა მარტო ხსოვნაა წარსულის, იგი ამასთანავე ქმედითი მონაწილეა მომავლის. აი, ამ წინასწარგანზრახულობით თქვენთან ერთად, კიდევ ერთხელ თვალი მივაპყროთ წარსულს, რათა მასში ვეძიოთ დასაყრდენი.

წიგნი განკუთვნილია ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ვფიქრობ, იგი საინტერესო იქნება მათთვისაც, ვინც წარსულში მოგზაურობას განიზრახავს.

რედაქტორი: პროფ. ზაზა აბაშიძე

რეცენზენტები: პროფ. ავთანდილ სონღულაშვილი
პროფ. ვაჟა შუბითიძე

ISBN 978-9941-0-5266-8

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

შესავალი.....-გვ. 4

ისტორიული ეტიუდები .....გვ. 5 - 200

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავალი

ისტორიული მასალის მოძიება, შეკრება, დალაგება, გააზრება გამქრალი მზის ხელახალ გამონათებას ჰგავს, საიდანაც კაცობრიობა იღებს ენერგიას ახალი ისტორიის შესაქმნელად. ამბობენ, რომ ისტორია მეორდება. თუ ეს ასეა, განვლილი გზის რომელი მონაკვეთი მეორდება? დღესაც ხომ არ ვიმეორებთ წარსულის შეცდომებს? ყველა დროში ერისთვის დამახასიათებელი რაღაც ნიშანი დომინანტობს, დღეს რა თვისებები ჭარბობს ჩვენში? კითხვა უამრავია - პასუხებს ვეძებთ. ბევრჯერ თქმულა და მეც გავიმეორებ ვ. კლუჩევსკის სიტყვებს: „უტყუარი პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა სწორად გამოყენებული ისტორია."

ამგვარად, ისტორია ფაქტების ჩვეულებრივი კონსტანტაცია არ არის, ის იწერება უკეთესი მომავლის შესაქმნელად, ადამიანთა სულიერი ამაღლებისათვის.

ეს ეტიუდები ისტორიის გაცნობის გასაადვილებლად დაიწერა. ცალკეული საკითხების განხილვა წარსულის უეცარ გამოცოცხლებას ჰგავს, რომელსაც თან ახლავს ემოციაც. მასში მკითხველი მრავალ ისტორიულ მოღვაწეს და მათთან დაკავშირებულ საინტერესო ამბებს შეხვდება. ისტორიული ეტიუდებისათვის ფაქტები საისტორიო ხასიათის ლიტერატურიდან, აგრეთვე, სხვა ჟანრის ნაწარმოებებიდან სხვადასხვა დროსაა მოძიებული და შემდგომში გადამუშავებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსების ძახილი

ისტორიაში თუ არის წლები, რომელთა ფიზიონომიიდან შედგება სურათი საუკუნეების, არის აგრეთვე, მომხდარ ფაქტთა აღმნიშვნელი სახელწოდებებიც, რომლებიც ზოჯერ ეპოქათა შინაარსს გადმოსცემენ. რას ნიშნავს ფრანგი ხალხისთვის „სედანი"? უწინარესად შეხსენებას ეროვნული თავმოყვარეობის შელახვის. აქ, ამ სახელწოდების ადგილზე 1870 წლის 1 სექტემბერს ფრანგთა 120 ათასიანი არმია, რომელთანაც იმყოფებოდა თვით იმპერატორი ნაპოლეონ III, პრუსიელებს ტყვედ ჩაუვარდათ. ეს იყო საფრანგეთის არმიის გაუგონარი და სამარცხვინო მარცხი, რომელსაც სამართლიანად შეარქვეს „სედანის კატასტროფა." გამარჯვებული გერმანელი ჯარისკაცები ტრიუმფალური მარშით პარიზში შევიდნენ. მათი შეჩერება ფრანგებმა მხოლოდ დიდი კონტრიბუციის გადახდით და ტერიტორიების დათმობით შეძლეს. ოკუპირებულმა საფრანგეთმა დაკარგა ელზას-ლორენი. ამ საბედისწერო დღეების შემდეგ ათწლეულების მანძილზე თაობები იზრდებოდნენ რევანშის წყურვილით. მათ მრწამს აყალიბებდნენ დიდი ფრანგი მწერლები და ხელოვანნი. პრუსიასთან ომში პატივაყრილ ფრანგებს ალფრედ დე მიუსიე ასწავლიდა: ენა იმისთვის გვაქვს, რომ საკუთარი აზრის დამალვა შევძლოთო. მაგრამ, ამ დარიგებას მხოლოდ პოლიტიკოსები ითვალისწინებდნენ.

ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა კოკლენმა ბერლინიდან მიიღო დეპეშა, რომლითაც სთხოვდნენ რამდენიმე სპექტაკლში მონაწილეობის მიღებას, დეპეშის ბოლოს ეწერა:

-გთხოვთ, სასწრაფოდ შეგვატყობინოთ რას მოგვთხოვთ სპექტაკლებში მონაწილეობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ელზასსა და ლოტარინგიას - დეპეშითვე უპასუხა კოკლენმა.

და აი, როდესაც დაჰკრა ჟამმა პასუხის გაცემისა და დაიწყო ომი გერმანიასთან, თვით ისეთმა ჰუმანისტმა მწერალმაც კი, როგორიც ანატოლ ფრანსი იყო, ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა და ფრონტზე გაეშურა.

,,სედანის კატასტროფის" შემდეგ, სასახლიდან გაქცეულმა, სიღარიბისა და სიმარტოვისთვის განწირულმა, დედოფალყოფილმა ევგენიამ, პირველი მსოფლიო ომის დამთავრების დღეს, შეიტყო რა გერმანიის დამარცხების ამბავი კმაყოფილებით თქვა: "მადლობას ვწირავ ღმერთს, რომ ამ დღეს მოვესწარი! ახლა შემიძლია თავაწეული მოვკვდე, საფრანგეთი ვეღარაფერში დამადანაშაულებს."

ამ ყოველივემ კი ერთად აღებულმა მთელი ეპოქა შეადგინა, რომლის შინაარსიც ერთმა სიტყვამ ,,სედანმა" დაიტია.

რას ნიშნავს იტალიელებისათვის ,,კანოსა"? უწინარესად, ეროვნული ღირსების გრძნობით ტკბობის ელექსირს, რაც პირიქით იქნებოდა თუ ვიტყოდით გერმანელების მიმართ. ,,კანოსაში გამგზავრება," რკინის კანცლერის ოტო ფონ ბისმარკის გამოთქმა გახლავთ. გადატანითი მნიშვნელობით, დღესაც ნიშნავს დამამცირებელ კაპიტულაციაზე დათანხმებას.

ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ ჩრდილო იტალიაში რეჯო-ნელ-ემილიადან 18 კილომეტრზე მდებარე ციხესთან, 1077 წლის იანვარში ერთმანეთს შეხვდნენ მასპინძელთან ტოსკანის მარკგრაფინია მატილდასთან სტუმრად მყოფი პაპი გრიგოლ VII და მის მიერ ეკლესიიდან განკვეთილი გერმანიის იმპერატორი ჰაინრიხ IV. ზოგიერთი ქრონიკის თანახმად, ჰაინრიხ IV მომნანიებელი ცოდვილის ტანსაცმლით, იანვრის სუსხიანი 3 დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლზე მდგომი ელოდა კანოსას კედლებთან პაპის შენდობას, და თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ყოველივე მხოლოდ ისტორიის საკუთრებად დარჩა?

გადის საუკუნეები, შესაძლოა ბევრს დავიწყებულიც ჰქონოდა მომხდარი შემთხვევა, მაგრამ ახსოვდათ მათ, ვისაც უნდა ხსომებოდა.

ერთმა ფლორენციელმა ხელოვანმა შეკითხვაზე: - როგორ და რატომ შექმნა ღვთაებრივი ქმნილებები? - ასე უპასუხა: ,,ვერაფრის შექმნას ვერ შევძლებდი, კანოსის გრაფთა შთამომავალი რომ არ ვიყოო."

მისი სახელია მიქელანჯელო.

სამშობლო - მიწაზე ჩამოსული ღმერთი

დემოკრატიული საქართველოს დაბადების თარიღმა 26 მაისმა და მასთან დაკავშირებულმა სამზადისმა დემოკრატიის უძველესი სამშობლო საბერძნეთი გამახსენა. ვისაც ათენში ყოფნისას შესაძლებლობა ჰქონდა ენახა საპატიო ყარაულში ამაყად მდგომი ეროვნული გვარდიელები პარლამენტთან და მეფის ყოფილ სასახლესთან, დამეთანხმება თუ რა განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებენ ისინი. გაბრწყინებული მაყურებელი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ჩრდილო-დასავლეთ ბერძენთა ტრადიციულ ტანსაცმელში გამოწყობილ ათლეტური აგებულების გვარდიელებს. საბერძნეთის ისტორია გვაუწყებს, რომ ევზონთა გვარდია, პირველად მეფე ოტონმა შექმნა და მას წვრთნიდა ბავარიული გარნიზონი. ჯარში ეს ყველაზე პრივილეგირებული ნაწილია. სამსახური არმიაში ორწლიანია. ერთი წლის სამსახურის შემდეგ არჩევენ ევზონებს. სიმაღლე - 180

ეროვნული ბიბლიოთეკა

სმ-ზე მეტი აღნაგობით, სწორი, ლამაზი ფეხებით და რაც მთავარია, ვაჟკაცური გამოხედვით. ეს გიგანტები უპირატესად ჩრდილო-აღმოსავლეთ საბერძნეთიდან არიან. ტანსაცმელიც ტრადიციული ეპირის მთიანი სოფლების მეომრებისათვის იყო დამახასიათებელი, რომელსაც 1821 წლის განმათავისუფლებელი ომის დროს მებრძოლები ატარებდნენ.

მართლაც, დასამახსოვრებელია ევზონთა როგორც ჩაცმულობა, ისე მოძრაობის ყოველი ნიუანსი, განსაკუთრებით მორიგი ცვლის დროს. ცვლა მთავრდება, გიგანტები ღებულობენ გარინდებულ სახეს და ყურებით მოხიბლული მნახველიც თბილი ღიმილით ეთხოვება ამ სასიამოვნო სანახაობას.

ჩემი ათენში მრავალთვიანი ყოფნის გამო საკმაოდ ხშირად მიხდებოდა ამ სურათის ნახვა. პირველი შთაბეჭდილება თანდათან მეორემ შეცვალა. ამჯერად უკვე საწინააღმდეგომ. გარკვეული დროის შემდეგ თანდათან გულისგამაწვრილებელ საქმიანობად მიმაჩნდა ის, რასაც მცველები განუწყვეტლივ, ყოველდღიურად, 24 საათის განმავლობაში ასე გულდასმით და ზეჯითად ასრულებდნენ. მაგრამ, საკმარისი იყო შევსწრებოდი ბერძნების ისეთ დიდ დღესასწაულებს, როგორიცაა 25 მარტი, როცა აღინიშნება 1821 წლის განმათავისუფლებელი რევოლუციის დაწყების თარიღი, ან კიდევ შემოდგომის ღირსსახსოვარი დღე ე.წ. „Охи“ სიტყვასიტყვით „არა,“ როცა 1940 წლის 28 ოქტომბერს საბერძნეთმა იტალიელთა დუჩეს ულტიმატუმს უარით უპასუხა, რომ მივმხვდარიყავი: ასეთ ქანცგამწყვეტ რიტუალს რატომ ასრულებდნენ ასე სიყვარულით და გულმოდგინებით ბერძენი გვარდიელები. ისინი ეთაყვანებიან და ეფერებიან იმას, რასაც თავისუფლება ჰქვია და რისი საფასურიც მათმა ქვეყანამ თურქთა ოთხსაუკუნოვანი ბატონობის ქვეშ გაიღო. ხოლო თუ რა ძვირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუჯდა ბერძენ ხალხს თავისუფლების მოპოვება ამას სტატისტიკაც მეტყველებს: თუ 1821 წელს განმათავისუფლებელი ომის დასაწყისისათვის საბერძნეთის მოსახლეობა მილიონსაც არ აღწევდა (938,7 ათასი კაცი), ეს იყო თურქთა ბატონობის წინააღმდეგ ბერძენი ხალხის 400 წლიანი გმირული ბრძოლის შედეგი. 1828 წელს ომის დასასრულისათვის მოსახლეობა კიდევ შემცირდა - 753, 4 ათას კაცამდე, ე.ი. თითქმის 20 პროცენტით. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მაინც 1838 წელს იყო, მეფე ოტონის ხუთწლიან მეფობაში - 752 ათასი. ამის გამოა, რომ დღესაც ბერძნები ვერ იტანენ თურქებს, არა პიროვნულად, არამედ თურქეთს, როგორც კონცეფციას. ისინი წარსულს გუშინდელ დღესავით იხსენებენ და ოცნებობენ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე. თურქების მიმართ ბერძნების დამოკიდებულება მათ იუმორშიც ჩანს: ერთი ბერძნული წარმოშობის ამერიკელი არიგებდა თავის სავიზიტო ბარათებს, რომელზეც ეწერა: ,,უმჯობესია საქმე მქონდეს ათასობით თურქთან, ვიდრე ერთ ბერძენთან.“ მისი ბარათის მეორე მხარეს კი ეწერა: ,,მაიკის დამკრძალავი ბიურო.“

საბერძნეთისათვის არანაკლებ მკაცრი გამოდგა მეორე მსოფლიო ომის წლები. თავისუფლებისთვის ბრძოლაში ბერძნებმა 400 ათასი კაცი დაკარგეს. საშობლოსათვის მათ თავგანწირვაზე, უინსტონ ჩერჩილი წერდა: ,,ჩვენ უკვე აღარ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ბერძნები იბრძოდნენ, როგორც გმირები. ჩვენ ვამბობთ, რომ გმირები იბრძვიან, როგორც ბერძნები“.

ბერძნები ამაყობენ იმით და სრულიად სამართლიანადაც, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ევროპამ წინააღმდეგობა შეწყვიტა ფაშიზმთან, ისინი ბრძოლას მაინც განაგრძობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ყოველივე ამის შემდეგ ძნელია სანახაობად მიიღო ის, რაც ბერძნებისთვის ღმერთთან მიახლოების ტოლფასია. ამის გაგება კი მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვისაც სამშობლოსთან ერთად წყვდიადშიც უცხოვრია. სამშობლო ხომ ეს იგივე ზეციდან მიწაზე ჩამოსული ღმერთია, რომლის თაყვანისცემაც თითოეული ჩვენგანის წმინდათაწმინდა ვალია.

პატარა გორი დიდია

ყველას, მათ შორის მეც, ჩემი დამოკიდებულება მაქვს სტალინთან. იმ დიდ მოუცილებელ ტკივილთან ერთად, რომელიც მან დაგვიტოვა სისხლის წვიმების სახით, არის კიდევ რაღაც, რომელსაც თითოეული ქართველი ნებსით თუ უნებლიედ მაინც ვატარებთ.

1882 წელს 2 ივლისს (ძვ. სტილით), გარდაიცვალა მსოფლიოში სახელმოხვეჭილი იტალიელი გმირი-პატრიოტი ჯუზეპე გარიბალდი. ამ ამბავთან დაკავშირებით გორის ხალხოსანთა წრემ ანტონ ფურცელაძის წინადადებით გაგზავნა რომში სამძიმრის დეპეშა. რომის მოქალაქეებმა ამაოდ გადააქოთეს მთელი რუკები, სად არ ეძებეს გორი, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს. იტალიის გაზეთებს გამოუქვეყნებია ეს დეპეშა და დაუწყია გორის ძებნა. სოფრომ მგალობლიშვილი წერს, თითქოს ვიღაც ქართველს პარიზის პრესაში უნდა მიეცეს განმარტება გორის შესახებ. მაგრამ, როგორც სჩანს ვერც ამან უშველა საქმეს. გორი მაინც უცნობი დარჩა უცხოელთათვის.

და ყოველივე ამის შემდეგ სტალინი პოეტთა მეფე გალაკტიონის მსგავსად გამომწვევად თუ გვეტყოდა: ,,და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო! შენ მოვალე ხარ, რომ ნატრობდე ჩემს მეგობრობას უფრო მხურვალედ, ვიდრე მე შენსას!..“

სამშობლოს სიყვარულისთვის ბოდიშს არ იხდიან

შორეულ აღმოსავლეთში, მერაბ კოსტავასთან მოსკოვიდან უშიშროების პოლკოვნიკი ჩადის და ეუბნება, ორიოდე სიტყვით დაწერე, რომ ნანობ და 44 საათში გაგიშვებთ.

მერაბი პასუხობს: ჩემი ქვეყნის სიყვარულისთვის ბოდიშს არ მოვიხდი….. და კიდევ 5 წელს უმატებენ …

მთავარი მუხტი ეროვნული თვითგანცდისა, ეროვნული ღირსების შენარჩუნებისა, სიყვარულის საფუძველზე დგას.

პოლიტიკა – მომავალი ტრაგედიების საფუძველი

როდესაც დასავლეთ კულტურის ორი გენიოსი გერმანიაში პირველად შეხვდა ერთმანეთს, ნაპოლეონმა ჰკითხა გოეთეს: „ანტიკურ ტრაგედიებში ადამიანის ხვედრს განსაზღვრავდა ბედისწერა. თქვენი აზრით, რა იქნება კაცობრიობის მომავალი ტრაგედიების საფუძველი?” გოეთემ მორცხვად დახარა თვალები და უპასუხა: „ჩემდა სამარცხვინოდ, ამ თემაზე არ დავფიქრებულვარო.”

„პოლიტიკა, პოლიტიკა – აი მომავალი ტრაგედიების საფუძველი” – უპასუხა ნაპოლეონმა.

ნუ დაგვავიწყდება, პოლიტიკაც კულტურის დარგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეკობრეებსაც ჰყავდათ თავიანთი „ცოტნე დადიანი“

როგორც ცნობილია, XIII-XIV საუკუნეები ჯერ მონღოლთა შემოსევების, ხოლო შემდგომ მათი ბატონობის გამო განსაკუთრებით მძიმე პერიოდი იყო საქართველოსთვის. მონღოლებმა საქართველო სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად – "დუმნებად" (ქართულად "ბევრი") დაყვეს და თითოეულ ასეთ ერთეულს მეთაური დაუნიშნეს. "ჟამთააღმწერელის" ცნობით მონღოლებმა 8 დუმნად დაყვეს საქართველო. მეშვიდე და მერვე დუმნებად დასავლეთ საქართველოს თემების ჯარი იყო გამოყოფილი, რომლის მეთაურებად ცოტნე დადიანი და რაჭის ერისთავი ყოფილან ჩაყენებულნი.

ცოტნე შერგილის ძე დადიანი დადიანთა ფეოდალური საგვარეულოს ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენელია. ცნობილია, რომ გვარსახელი "დადიანი" ნაწარმოები უნდა იყოს საკუთარი სახელისაგან "დადი". იმასაც ვარაუდობენ, რომ დადიანები და ვარდანისძენი ერთი საგვარეულოს ორ დამოუკიდებელ განშტოებას წარმოადგენდნენ.

ოდიშის ერისთავთ-ერისთავი და საქართველოს სამეფოს მანდატურთუხუცესი იმხანად ეგრისსა და გურიას განაგებდა, რაჭის ერისთავი კი ლიხთ-იმერეთის დანარჩენ თემებს ფლობდა. უმეფობა და ქვეყნის დუმნებად დანაწილება ძნელად შესაგუებელი იყო ქართველთათვის. ამას ემატებოდა ისიც, რომ მეფე რუსუდანის გარდაცვალების შემდგომ ქართველი მამაკაცებისათვის მონღოლთა ჯარში სამხედრო სამსახური სავალდებულო გახდა. საქართველოს მოსახლეობას მძიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვირთად აწვა მონღოლურ ლაშქრობებში მონაწილეობა. ქართველი მეომრების მუდმივად უცხოეთში ყოფნის გამო საქართველო ფიზიკურად დაუძლურდა, გარეშე მტერი კი მის დასარბევად კიდევ უფრო გათამამდა. მუდმივ ლაშქრობას ვერ უძლებდა წვრილი აზნაურობა და ყმა მსახურნი, რომელთა უმრავლესობას ქართული ფეოდალური ჯარი შეადგენდა. მონღოლთა ბატონობის აუტანელმა სიმძიმემ ქართველ დიდებულებს აჯანყებისკენ უბიძგა. მათ გადაწყვიტეს ქუდზე კაცი გამოსულიყო და მონღოლები საქართველოდან გაეძევებინათ.

კოხტასთავის შეთქმულება, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაშია მიღებული, 1246 ან 1247 წელს უნდა მომხდარიყო. იგი ვრცლად აქვს აღწერილი "ჟამთააღმწერელს". მისივე გადმოცემით, კოხტასთავს შეიკრიბნენ საქართველოს მთავარნი, იმერნი და ამიერნი: ეგარსლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, შოთა კუპრი, თონღაი პანკელი, თორელ გამრეკელი, სარგის თმოგველი და სხვ. ქართლელნი, ჰერ-კახნი, მესხნი და ტაოელნი. მათ დათქვეს რა აჯანყების დრო და ადგილი (შიდა ქართლი), ჯარის მოსამზადებლად თავიანთ მხარეში დაბრუნება გადაწყვიტეს.

საუბედურო, მონღოლებმა შეიტყვეს ამ თავყრილობის შესახებ და კრების მიმდინარეობის დროს თავს დაესხნენ კოხტასთავს.

მათ შეთქმულები დააპატიმრეს ცოტნე დადიანისა და რაჭის ერისთავის გარდა, რომლებმაც მტრის თავდასხმამდე ცოტა ხნით ადრე დატოვეს კრება და ჯარის შესაგროვებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიანთ მხარეებში გაეშურნენ. მონღოლებმა პატიმრები ანისში ჩაიყვანეს, სადაც მათ მკაცრი დაკითხვა მოუწყვეს.

შეპყრობილი მთავრები დაკითხვისას წინაწარ შეთანხმებულ ყალბ ამბავს იმეორებდნენ: ერთპირად პასუხობდნენ, რომ ისინი შეიკრიბნენ მონღოლებისათვის ხარკის გასაწესრიგებლად და არა განდგომისათვის.

მონღოლები არ წამოეგნენ სატყუარას, მათ სიმართლის გასარკვევად და შეთქმულთა გამოსატეხად დატყვევებულების წამება განიზრახეს:

ნოინმა ბრძანა დამნაშავეთა გაშიშვლება, გაკოჭვა და სიცხეში დასმა. „ჟამთააღმწერლის" დაწვრილებით აღწერას ემატება ვახუშტი ბაგრატიონის ცნობაც, თითქოს დამნაშავეებს ტანზე თაფლი წასცხეს. ასეთი ტანჯვა-წამება საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ მონღოლებმა შეთქმულების გატეხვა მაინც ვერ მოახერხეს.

ამასობაში ლაშქრის შეკრების დროც დადგა. ცოტნე დადიანი ჯარითურთ რკინის ჯვარში მოვიდა. (რკინის ჯვარი იყო ფერსათის (ღადოს) მთით იმერეთიდან სამცხეში გადასავლელი გზა). აქ ცოტნე დადიანს ყველაფერი შეატყობინეს. ცოტნემ თავისი ლაშქარი უკან გაუშვა, მხოლოდ ორი კაცითურთ მივიდა ანისში და რა დაინახა თავისი თანამებრძოლების ტანჯვა-დამცირება, რომლებიც იყვნენ „ესრეთ უპატიოდ და სიკუდილად განწირულნი," ჩამოვიდა ცხენიდან, ტანთ გაიხადა, თავის მხლებლებს სთხოვა, რომ გაეკოჭათ, და შეთქმულთა გვერდით დაჯდა. მონღოლებს განცვიფრებისაგან ენა ჩაუვარდათ. ცოტნეს საქციელით გაკვირვებულმა მონღოლებმა იგი ნოინთან წაიყვანეს დასაკითხად. ნოინმა ჰკითხა ცოტნეს, თუ რატომ მოიქცა ასე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხად ცოტნემ მონღოლებს თავისიანების ნათქვამი, იგივე შეთხზული ამბავი მოუყვა, თან დაუმატა, რომ მოვიდა მათთან საქმის კარგად გამოსაძიებლად, რომ სიმართლის თქმა სურდა და, თუკი ქართველი მთავრები სიკვდილის ღირსნი იყვნენ, დაე, თავადაც მათთან ერთად დაესაჯათ.

მონღოლები აღფრთოვანდნენ ცოტნეს სიმამაცით. მათ დაიჯერეს მისი ნათქვამი და დაპატიმრებულები გაათავისუფლეს. შესაძლოა, ისინი დარწმუნდნენ ქართველთა ალიბის სისწორეში. ასე იყო თუ ისე, მონღოლებმა ცოტნე დადიანის ასეთი თავდადებით ქართველები გაათავისუფლეს და საქართველო დაინდეს საშინელი შურისძიებისაგან.

ისტორიიდან ეს ამბავი შემთხვევით არ გაგვიხსენებია. როდესაც ქართველთა განსაკუთრებულობაზე ვლაპარაკობთ, როგორც ქართული ფენომენი ხშირად მოგვყავს ცოტნე დადიანის გმირობის მაგალითი. თავისთავად ფაქტი თავგანწირვისა: მტრის წინაშე, ნებით გამოცხადებულიყო და სასიკვდილოდ განწირული მეგობრების გვერდით დამდგარიყო გმირი, იშვიათი მოვლენაა არათუ საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიაში.

თუმცა მაგალითები და ანალოგიები სხვა ხალხებთანაც იძებნება:

ცნობილი ფაქტია, რომ 1389 წელს დანიისა და ნორვეგიის დედოფალმა მარგარეტმა ჯვაროსნული ომი გამოუცხადა მეკობრეებს და მათი ბაზები გაანადგურა. უამრავი მეკობრე შეიპყრეს და თავის მოკვეთით სიკვდილით დასჯა გამოუტანეს. დედოფლის ბრძანებით, ყველას ჰქონდა უკანასკნელი სურვილის თქმის უფლება. ერთ–ერთმა, მათ შორის ყველაზე სასტიკმა მეკობრემ შტერტერბერკერმა ისურვა, იმდენი მეკობრე გაეთავისუფლებინათ, რამდენსაც ის თავმოკვეთილი ჩაურბენდა –

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გზით მან 11 თანამოაზრე გადაარჩინა. მეტსაც შეძლებდა, რომ არა ჯალათი, რომელმაც თავმოკვეთილ სხეულს სარმა გამოსდო და წააქცია...

გამოდის, რომ მეკობრეებსაც ჰყავდათ თავიანთი „ცოტნე დადიანი."

ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერლად წოდებული, რომელიც ცოტნეს თავგანწირვას აღწერს, გაცილებით უფრო მეტს გვეუბნება, ვიდრე, მისი ნაწერი. ამ თხრობაში ჩვენს გაკვირვებას მონღოლ ჯალათთა ქცევა იწვევს, რომელებიც აღტაცებაში მოიყვანა ცოტნეს ვაჟკაცობამ და ის მეგობრებთან ერთად გაათავისუფლეს. რა თქმა უნდა, გულუბრყვილობაა იფიქრო, ,,ქართლის ცხოვრების" ისტორიკოსი ამ ყოველივეს მონღოლთა განსადიდებლად, ან მათი ,,კეთილშობილური" სახის საჩვენებლად გვიყვებოდეს. ნათქვამია, ,,როცა გესმის, ვიღაც დაჟინებით აქებს ვიღაცას, აუცილებელია დასვათ კითხვა: ვის წინააღმდეგაა მიმართული ეს ქება?" და პირიქით: თუ სხვას გულმოდგინედ ლანძღავ, ე.ი. ამავდროულად ვიღაცასაც აქებ.

ამდენად, თუ ამ ლოგიკას მივყვებით რა გამოდის: ჟამთააღმწერლის მიერ მონღოლთა ,,დიდსულოვნების" ჩვენება, მათ მიერ ცოტნეს სიმამაცით აღფრთოვანება და ,,ქართველთა დანდობა" არის თუ არა ამავე დროს გაკიცხვა იმ სულმოკლე ქართველისაც, რომელმაც კოხტასთავს შეთქმულება გასცა, ტანჯვითი სიკვდილისთვის გაწირა მეგობრები და ქვეყანა განსაცდელის წინაშე დააყენა? ამით ხომ არ სურს ამ უჭკვიანეს ისტორიკოსს, ჟამთააღმწერლის სახელით რომ დაგვამახსოვრა თავი, ქვეტექსტით უთხრას სათქმელი, არათუ ამ ღალატის ჩამდენს, მის ნაშიერთ, მოლიპულ გზაზე მავალ სხვა სულმოკლე ქართველებსაც: წერა-კითხვის უცოდინარმა, ტყაპუჭებში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოხვეულმა ველურმა მონღოლებმაც კი იციან ვაჟკაცობის ფასი და თქვენ სახარებაზე, „ქართლის ცხოვრებასა“ და „ვეფხისტყაოსანზე“ გაზრდილებს რა ღმერთი გიწყრებათ-ო!

თავს რისთვის გაწირავ?

რომაელი პოეტი და ფილოსოფოსი ლუკრეციუსი ამტკიცებდა: „სიკვდილი საშიში არაა, ვინაიდან სანამ ჩვენ ვართ, ის არ არის, ხოლო როცა ისაა, ჩვენ აღარ ვართო.“ მაგრამ ასეთი სოფიზმებით ძნელია სიკვდილის შიშის დაძლევა, რა კულტურულ დონეზეც უნდა იდგეს ადამიანი.

ციცერონს შეეკითხნენ, თქვენი ცხოვრებით კმაყოფილი ხართ? უპასუხა, როგორ შეიძლება ბედნიერი ვიყო, როდესაც სიკვდილი მელისო.

და მაინც, სიკვდილის შიშის დაძლევა მხოლოდ რჩეულთ ხელეწიფებათ.

2500 წლის მანძილზე გამხნევება და ნუგეში უპოვიათ სოკრატეს სიტყვებში, სამსჯავროსადმი მიმართულში: „ათენელებო, თქვენ შეგიძლიათ ჩემს ბრალმდებელს დაუჯეროთ ან არ დაუჯეროთ, შეგიძლიათ გამამართლოთ ან სიცოცხლე მომისპოთ, მაგრამ არ შეგიძლიათ მაიძულოთ - ჩემი რწმენის წინააღმდეგ ვიმოქმედო, თუნდაც ათასი სიკვდილით დამემუქროთ.“

სოკრატემ უარი განაცხადა მეგობრებისა და მოწაფეების თხოვნაზე - გაქცეულიყო ტყვეობიდან და ამით თავი ეხსნა სასიკვდილო განაჩენისაგან. მან ნებაყოფლობით დაცალა საწამლავით სავსე ჯამი და თვითონ შეასრულა ათენის დემოკრატიის მიერ გამოტანილი სამარცხვინო განაჩენი.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ რა გავლენას ახდენდნენ პლატონის დიალოგები ამაღლებული სულის ადამიანებზე, შემდეგი ფაქტებიდან ჩანს: როდესაც იულიუს კეისარმა რესპუბლიკური წესწყობილების მომხრეები საბოლოოდ დაამარცხა, მათი მეთაური კატონი ქალაქ უტიკისაკენ გაიქცა. სამხედრო კარავში მან ორჯერ წაიკითხა პლატონის „ფედონი." შემდეგ თავისი მახვილი ყველაზე ერთგულ მონას მისცა და უთხრა, განმგმირეო. მონამ ვერ გაბედა ამ ბრძანების შესრულება. მაშინ კატონმა მახვილი მიწაში ტარით ჩაარჭო და ზედ წამოეგო. იულიუს კეისარმა დიდად ინანა კატონ უტიკელის თვითმკვლელობა; ის მზად იყო, მას შერიგებოდა, მაგრამ დიდმა რესპუბლიკელმა ამჯობინა თავისი სტოიკური ცხოვრება სტოიკური სიკვდილით დაესრულებინა.

მეორე ფაქტი იტალიური რენესანსის ეპოქას ეკუთვნის, როდესაც ფლორენციის მმართველმა, ახალი პლატონური აკადემიის დამაარსებელმა კოზიმო მედიჩიმ სიკვდილის მოახლოება იგრძნო. მან თავი ვილაში გადააყვანინა, სადაც ის კარგა ხანს ლოგინში იწვა დაფიქრებული და თვალდახუჭული. - რად ჩაფიქრებულხარ და თვალები რად დაგიხუჭავს? - ჰკითხა მას ცოლმა. - უცნაური ქალი ხარ, - უპასუხა კოზიმომ, - შენ ორი კვირით ადრე იწყებ ფუსფუსს, როდესაც ზაფხულში ქალაქიდან აგარაკზე აპირებ გადასვლას, ნუთუ მე არ უნდა დავფიქრდე, როდესაც სხვა ქვეყანაში გადასასვლელად ვემზადები. თვალებს კი იმისთვის ვხუჭავ, რომ სიბნელეს შევეჩვიო. შემდეგ მან მოახმობინა გამოჩენილი ფლორენციელი ჰუმანისტი მარსილიო ფიჩინო და სთხოვა, პლატონის დიალოგები წამიკითხე ხმამაღლაო. ამ კითხვის დროს მან სამუდამოდ დაიძინა.

ცნობილია, რომ ძლიერი სულის ადამიანს სიმტკიცეს ანიჭებს არა მარტო ფილოსოფიური ფიქრები, არამედ სუსხიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური და საზოგადოებრივი ატმოსფეროც, რომელიც გამანადგურებელია სუსტი და ნებიერი ადამიანისთვის.

როდესაც იმპერატორმა ნერონმა უბრძანა პეტრონიუსს თავი მოეკლა, პეტრონიუსმა ბანკეტზე მეგობრები მიიწვია და მაჯა გადაიჭრა. მაგრამ უცებ რომ არ მომკვდარიყო, ის დროდადრო იხვევდა ჭრილობას, თავისი საყვარელი ლექსების დეკლამაციას ისმენდა და მეგობრებს ესაუბრებოდა.

ახლა კი ახალ დროში გადმოვინაცვლოთ:

ბევრი დიდსულოვანი ადამიანი შეიწირა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ.

როდესაც დანტონის მეგობრებმა დაინახეს, რომ მას გილიოტინის ნაჯახი ელოდა, ურჩიეს ინგლისში გაქცეულიყო. დანტონმა უპასუხა: ,,განა ადამიანს შეუძლია თავისი სამშობლო თავისი ფეხსაცმელების ქუსლებით წაიღოს თან?" ეშაფოტზე დანტონმა განზე გადაისროლა თოკი, რომლითაც ხელების შეკვრას უპირებდნენ, რობესპიერისთვის გამოგადგებათო; ხოლო როდესაც მას ჰკითხეს, რა არის შენი უკანასკნელი სურვილიო, მან თქვა: ჩემი თავი იმის ღირსია, რომ ხალხს უჩვენოთ, ხოლო გვამი - რობესპიერსო.

,,იქ, სადაც კაცს ხიფათი არ ელოდება, არც დიდების მოპოვება შეიძლება" ამას ნაპოლეონი ამბობს. მის მიერვე ბევრჯელ თქმული სიტყვებია:

,,ჯარისკაცებო, ისწავლეთ ღირსეული სიკვდილი."

ყოველი ჭეშმარიტი ვაჟკაცი ინატრებდა მარშალ მიშელ ნეის სიკვდილს. როგორც ცნობილია, ის ნაპოლეონს მიემხრო მისი კუნძულ ელბიდან დაბრუნების შემდეგ. როდესაც ნაპოლეონი ასი დღის მეფობის შემდეგ ვატერლოოსთან დამარცხდა, ლუი XVIII-ის მთავრობამ ნეის დახვრეტა გადაუწყვიტა; მაგრამ ჯარისკაცებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაენანათ თავისი სახელოვანი მხედართმთავარი, უმამაცესი მამაცთა შორის, როგორც მარშალ ნეის ნაპოლეონი უწოდებდა, და დიდხანს უმოძრაოდ იდგნენ. მაშინ ნეიმ დამსჯელ რაზმს თავისი დაშნით თვით უბრძანა მისთვის ტყვიები ესროლათ. ალბათ, მოქანდაკეს თვალწინ, სხვათა შორის, ეს ეპიზოდიც ედგა, როდესაც მარშალ მიშელ ნეის ძეგლს დგამდა პარიზში.

1825 წლის 14 დეკემბერს პეტერბურგში, სენატის მოედანზე მოხდა დეკაბრისტების ცნობილი გამოსვლა. მეორე დღეს, რუსეთის დედოფალმა დღიურში ჩაწერა: „ოჰ უფალო! მარტო იმან, რომ ჩემი უძვირფასესი სიცოცხლე საფრთხეში იყო, საკმარისია ჭკუიდან შეშალოს ადამიანი. ღმერთო დიდებულო, რა საშინელი დღე იყო გუშინ?..“

მომდევნო წლის ივლისის 13-ში, პეტრე-პავლეს საპყრობილის ეზოში ჩამოახრჩეს დეკაბრისტთა ხუთი ბელადი: პ. პესტელი, ს. მურავიოვ-აპოსტოლი, კ. რილეევი, პ. კახოვსკი და მიხეილ ბესტუჟევ-რიუმინი. უკანასკნელ წუთს რილეევმა მღვდლის ხელი მიიდო გულზე და უთხრა: „გესმით, როგორ მშვიდად მიცემს გული?..“

როცა ჯალათმა ყულფჩამოცმულ გმირებს სკამები გამოაცალა ფეხქვეშ, მურავიოვს, რილეევსა და კახოვსკის თოკები გაუწყდათ და სახრჩობელის ქვემოთ გათხრილ ორმოში ჩაცვივდნენ. მურავიოვმა შესძახა:

-უბედურო სამშობლოვ, ადამიანის ჩამოხრჩობის უნარიც კი არ შეგწევს.

სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შემდეგ ნიკოლოზ I-მა სასწრაფო ბარათით აცნობა დედამისს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ნაჩქარევად გწერ ორ სიტყვას ძვირფასო დედილო. მინდა გაცნობო, რომ ყველაფერი წყნარად და და წესიერად ჩატარდა. საძაგლებს საძაგლად ეჭირათ თავი.

1970 წელს ესპანეთში ფრანკისტულმა რეჟიმმა სიკვდილი მიუსაჯა ახალგაზრდა ბასკ პატრიოტებს: ხავიერ ისკოს, ედუარდო ურიარტეს, მარიო ონაინდიას, ხოაკან გაროსტიდის, ხოსე მარია დორონსოროს, ფრანცისკო ლარენას. სიკვდილის განაჩენს ისინი ბასკთა საბრძოლო - პატრიოტული სიმღერით შეხვდნენ: ,,შვიდნი, როგორც ერთი."

ხოლო როდესაც ერთ-ერთი მათგანის - ხავიერ ისკოს დედას ურჩიეს დაეყოლიებინა შვილი, რათა დათმობაზე წასულიყო და პატიება ეთხოვა, მან უპასუხა:

-ჩემი შვილი მზადაა ღირსეულად მოკვდეს.

საფრანგეთის პრეზიდენტი მიტერანი პროსტატის კიბოთი იყო დაავადებული. ცხოვრებასა და მოღვაწეობას სწორად შერჩეული და ეფექტური წამლების კურსით განაგრძობდა. ერთ დღეს მიტერანმა მკურნალ ექიმს მიმართა თხოვნით, განემარტა მისთვის, მკურნალობის შეწყვეტის შემთხვევაში რამდენ დღეს იცოცხლებდა. ექიმს კატეგორიულად უთქვამს: სამ-ოთხ დღესო. მიტერანი არ შეუშინებია ნათქვამს და ნებაყოფლობით შეუწყვეტია სამკურნალო საშუალებების მიღება. განაგრძობდა მხოლოდ ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების ხმარებას.

მეოთხე დღეს, დილით ადრე, მიტერანს თავი ცუდად უგვრძნია: წვერი გაუპარსავს, თავი წესრიგში მოუყვანია, ანდერძის წერა დაუმთავრებია, საწოლ ოთახში შესულა და სამუდამო ძილიც დაუფლებია.

მიტერანის, როგორც დიდი ადამიანის დამოკიდებულება სიკვდილთან ბევრ რამეზე მიანიშნებს, მაგრამ არა ნაკლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება მიიპყრო მიტერანის მიერ დატოვებულმა ანდერძის შინაარსმა:

დიდი ფრანგი პატრიოტი და პოლიტიკური ლიდერი დე გოლის მსგავსად, ანდერძით ითხოვდა, დიდი ცერემონიალის გარეშე თავისი მშობლიური სოფლის მყუდრო სასაფლაოზე დაკრძალვას, რაც, რა თქმა უნდა, შეუსრულეს.

არის თუ არა ყველა ვითარებაში დასაძრახი ადამიანი, რომელიც გარკვეული მოტივაციის გამო წყვეტს სიცოცხლეს? გასაგებია, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იოლიც არის და ძნელიც.

პაოლო იაშვილმა ხომ თავის მოკვლით აიცილა დაცინვა, აბუჩად აგდება, სულიერი მონობა. კითხულობ თვითმკვლელობამდე დაწერილ ანდერძს შვილისადმი და ამართლებ ამ ამაყ პიროვნების გადაწყვეტილებას.

დღემდე დავის საგანია ერნესტ ჰემინგუეის მიერ თავის მოკვლა იმ თოფით, რომლითაც მამამისმა მოიკლა თავი და ანდერძში შვილს სთხოვა ამ თოფს იგივე როლი არასოდეს შეესრულებინა.

ჰემინგუეი მთელი არსებით ეძებდა ცხოვრების საზრისს: კილიმანჯაროს მთების ძირში თუ გაშლილ ზღვაში; ომის ქარცეცხლში თუ ბარების სიმყუდროვეში; ქალებში თუ დიდების სამყაროში. ყველგან იყო, ყველგან მიიღო საზღაური. ამოწურა ყოველივე და თავისთავზე განიცადა „ამაოება ამაოებათა“-ს ძალა და, როდესაც გასაკეთებელი აღარაფერი დარჩა, ყველაფერი მიღწეული აღმოჩნდა და სიბერეც კარს მოადგა, საბოლოო წერტილი თვითონ დასვა.

ცნობილი ინგლისელი მწერალი სომერსეტ მოემი იხსენებს ერთ ლიტერატორს, რომელიც თავისი მოტოციკლეტით ქალაქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე სახიფათო ადგილზე დაჰქროდა თურმე, რათა ავარიაში მოხვედრილიყო და ამრიგად თავიდან აეცილებინა მოახლოებული სიბერე.

სიბერის ტრაგედიის შესახებ კარგად ამბობს ერნესტ რენანი: „მე მიცნობდნენ ახა;გაზრდას, გონებამახვილ ადამიანს, აღარ მინდა გონებადაჩლუნგებული და დახავსებული მიხილონო."

„ყველა დროში იყვნენ ადამიანები, რომელთაც სიცოცხლე იდეალს შესწირეს," - წერდა რომენ როლანი.

„იდეით ცოცხლობდე, - წერდა გოეთე, - იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელს ისე ეპყრობოდე, თითქოს შესაძლებელი იყოს."

იდეალი შეიძლება იყოს ქარიზმატული პიროვნება, ბელადი, პოლიტიკური ლიდერი, სამშობლო, მოვლენა, საგანი, პროცესი და ა.შ. იდეისთვის სიცოცხლე-სიკვდილი ადამიანს ბედნიერს ხდის.

- დიდებულმა ქართველმა ქალმა მარიკა ჩიქოვანმა იმისათვის, რომ არ „დაშორებოდა" თავისი ცხოვრების უერთგულეს მეგობარს, სიმონ ჩიქოვანს, საოცარი ანდერძი დატოვა: „ჩემი ნეშტი დაწვით და ფერფლი მეუღლის გულთან ჩაჰფალით."

P.S. სულის უკვდავების თუ არ გწამს, იმ იდეის უკვდავება მაინც უნდა დაიჯერო, რისთვისაც თავს გაწირავ.

სიდედრი ცოლის მაგივრად

ზოგიერთი მეცნიერის მტკიცებით, მე-18-ე საუკუნემდე რუსეთში ქორწინების საკმაოდ საინტერესო თავისებურება ყოფილა. რადგან ამ დროს გოგონებს ათხოვებდნენ 9-12 წლის ასაკში, სქესობრივ მომწიფებამდე, ცოლის მოვალეობას ასრულებდა მათი დედა და ეს გრძელდებოდა 2-3 წელს. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევაში სიდედრი „ზრუნავდა“ არა მარტო საკუთარ შვილზე, სიძეზეც, რადგანაც ყმაწვილებს ქორწინების ნებას რთავდნენ 12-15 წლიდან, იგი საჭირო და აუცილებელ ჩვევებს სექსუალური ურთიერთობისათვის მეუღლის დედისგან სწავლობდა.

1714 წელს პეტრე I-მა აკრძალა ქორწინება ვაჟებისთვის 20 წელზე ადრე, ხოლო გოგონებისთვის საქორწინო ასაკი 17 წლიდან დაადგინა. მაგრამ ეს ეხებოდა მხოლოდ თავადაზნაურობას.

1775 წელს ეკატერინემ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც მამაკაცებს განურჩევლად წოდებისა ნება ეძლეოდათ 15 წლიდან დაქორწინების, ხოლო გოგონებს - 13 წლიდან.

მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან ქორწინების ასაკი კიდევ ერთხელ შეიცვალა რუსეთში. ვაჟებისთვის დადგინდა 18, ხოლო გოგონებისთვის 16 წელი, ჰოდა „სიდედრმაც“ ცოლ-ქმრული მოვალეობის შესრულება შეწყვიტა.

გასული საუკუნის 60-იან წლებიდან შვედმა ქალებმა დაიწყეს მოთხოვნა და მიაღწიეს ფინანსურ დამოუკიდებლობას, ანაზღაურებას საოჯახო საქმეების გაძღოლისთვის. ეს ასე გამოიყურებოდა: დღის ბოლოს ცოლი ქმარს წარუდგენს მომსახურების ანგარიშს. მაგალითად, ქმრის მომსახურეობისთვის: გაღვიძება, და მისთვის წინდების მოძბნა - 20 კრონი, ჭამა, გარეცხვა, ბავშვების წაყვანა, სექსი თუ ის ცოლქმრული მოვალეობის შესრულებაა უფასოა, დამატებითი დღისთვის - 200 კრონი.

როცა ოცნება განხეთქილებაშია
სინამდვილესთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების კეთილდღეობისათვის, ვფიქრობ რუსთაველის სიბრძნეზე და ილიას განუხორციელებელ ოცნებაზე: ,,მგელიც მაძღარი იყოს და ცხვარიც - უვნებელი" და მაგონდება ამერიკის პრეზიდენტის, აბრამ ლინკოლნის სიტყვები - ,,მგლის თავისუფლება, ბეკეკას სიკვდილია."

ის, რაც პარტიულ რწმენაზე მაღლა დგას

ცნობილია, რომ ილიასა და იროდიონ ევდოშვილის დამოკიდებულებას მაინცდამაინც ტკბილი არ ეთქმოდა. მით უმეტეს, რომ ევდოშვილი (ხოსიტაშვილი) სოციალ-დემოკრატი იყო. მიუხედავად იმისა, რომ იროდიონ ევდოშვილი ილიას საჯაროდაც აკრიტიკებდა და სიტყვას აწყვეტინებდა, მან ილიას მკვლელობისთანავე დატოვა სოციალ-დემოკრატიული პარტია.

საქართველოში კრემაციამ ფეხი ვერ მოიკიდა

სიკვდილის წინაშე ადამიანის მოწიწებას გამოხატავს დასაფლავების სხვადასხვა წესი. ეთნოსის ისტორიის, მისი რაობის შესაბამისად წლების, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა იმ წეს-ჩვეულებების ნუსხა, თანამიმდევრობა, იმის დაცვის აუცილებლობა, რის შესრულებასაც ესა თუ ის ერი სავალდებულოდ მიიჩნევს.

1960 წლიდან საქართველოში მაშინდელი მთავრობის მიერ შემუშავდა გვამის კრემაციის საჭიროების კონცეფცია. გადაიდგა კიდეც პრაქტიკული ნაბიჯები - მუხათგვერდის სასაფლაოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპლექსში კონსტრუირებულ იქნა ამ მიზნით შეძენილი მოწყობილობა - დანადგარები. რასაკვირველია, იგი ექსპლოატაციაში არ გაუშვიათ. მას მერე რამოდენიმე ათეულმა წელმა განვლო.

საქართველოში კრემაციამ ფეხი ვერ მოიკიდა.

რჩევები ორატორს

ციცერონი ამბობდა: ორატორის უდიდესი ღირსებაა არა მარტო თქმა იმისა, რაც საჭიროა, არამედ უთქმელობაც იმისა, რაც არაა სათქმელი. ამ დებულებას უახლოვდება საადის აფორიზმიც: „ადამიანი ცხოველზე მაღლა დგას მეტყველების უნარით, მაგრამ მასზე დაბლა დგას, თუ უმართებულოდ მეტყველებს."

თავის დროზე ალფრედ დე მიუსიე პრუსიასთან ომში პატივაყრილ ფრანგებს ასწავლიდა - ენა იმისთვის გვაქვს, რომ საკუთარი აზრის დამალვა შევძლოთო. ჩვენ კი ჩვენის მხრივ დავძენდით, რომ ეს უნდა გავაკეთოთ, არა მარტო აზრების დამალვის მიზნით, რომ მტერი არ ვაფხიზლოთ, წამდაუწუმ წამოსროლილი სიტყვებით ჩვენში დაბუდებული რისხვა არ განელდეს, ღვინო წყლად არ იქცეს. როგორც ილია იტყოდა დიდი გრძნობა უტყვია და მუნჯი, ხოლო პატარა დაუდგრომელი და ლაქლაქა.

ნამდვილი ძალა, რომელიც უნდა გაცხადდეს საქმედ, მხოლოდ დიდი გრძნობის მატარებელ ხალხს შეუძლია.

როგორ ამოვიცნოთ სულელი
და უმეცარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ რჩევას ინდოელები გვაძლევენ, მათი აზრით: „სულელსა და უმეცარს ხუთი ნიშნით გამოარჩევ: 1. უმიზეზოდ გული მოსდით; 2. ლაპარაკობენ უმიზნოდ; 3. ბოდიშს იხდიან და არ იციან რისთვის; 4. ერევიან ისეთ საკითხებში, რაც მათ საერთოდ არ ეხებათ და 5. ვერ განასხვავებენ, ვის სურს მათთვის კარგი და ავი.

გაუგონარი ცინიზმი

რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I ამგვარად აწერდა სასიკვდილო ბრძანებებს ხელს: „იმსახურებს სიკვდილით დასჯას, მაგრამ მადლობა ღმერთს, სიკვდილით დასჯა ჩვენში არ არის. გაატარეთ 12-ჯერ 1000 კაცის რიგში“ ე.ი. ორ რიგად დაწყობილ 1000 ჯარისკაცს დასჯილისათვის 12-12-ჯერ უნდა დაერტყათ შპიცრუტენი (სპეციალური წკეპლა).

ძნელი წარმოსადგენია ამ ჯოჯოხეთს თუ გადაურჩებოდა ვინმე.

ჯენტლმენების ომი

ალბერ სორელი შენიშნავდა: ნაპოლეონამდე ომი რაღაც საშუალო იყო ჭადრაკის თამაშსა და დუელს შორისო. იხსენებს ასეთ ანეგდოტურ შემთხვევას, თურმე ერთ-ერთი კამპანიის დროს ნიდერლანდებში, ინგლისელთა და ფრანგთა დაპირისპირებული ლაშქრები სქელ ნისლში ისე უეცრად შეეფეთნენ ერთმანეთს 10-15 ნაბიჯის მანძილზე, რომ ორივე მხარე სახტად დარჩა. პირველი ინგლისელთა მეთაური გამოერკვა, რომელმაც ქუდი მოიხადა, ფრანგების მისამართით ლამაზი ჟესტი ვააკეთა და დაიძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბატონო ფრანგებო, გთხოვთ პირველებმა მოახდინოთ გასროლა!“ ფრანგი მეთაური რისი ფრანგი იქნებოდა ამ ჟესტზე არანაკლები ლამაზი ჟესტით რომ არ ეპასუხა და მანაც, თავის მხრივ, შესძახა: როგორ გეკადრებათ, ბატონო ინგლისელებო, თქვენ სტუმრები ხართ და პირველი გასროლაც თქვენ გეკუთვნითო!“

უვიცობის მსხვერპლნი

ტულონის აღების შემდეგ ნაპოლეონმა თავისი უმცროსი ძმა ლუი ბრძოლის ველის დასათვალიერებლად წაიყვანა. ერთ ადგილას მან ძმას უამრავი ახლადმოწყობილი საფლავი უჩვენა და უთხრა, რომ აქ დამარხული იყვნენ ის ფრანგი ჯარისკაცები, რომლებიც უგუნური მთავარსარდლის, კარტოს ბრძანებით უაზრო იერიშზე გაგზავნეს. „შეხედე ყველაფერ ამას, ყმაწვილო, და დაიმახსოვრე: სამხედრო საქმის შესწავლა ისევეა ღირსების საქმე, როგორც კეთილგონიერება. იმ არამზადას, რომელმაც ამ ვაჟკაცების უაზრო იერიშის მიტანა ბრძანა, თავისი საქმე რომ სცოდნოდა, ბევრი მათგანი დღესაც ცოცხალი იქნებოდა და რესპუბლიკას გამოადგებოდა. ისინი კი უვიცობის მსხვერპლნი გახდნენ.“

თავად რას ისურვებდი!

მარად წინდახედულები, დიდხანს, უღიმღამოდ, მაგრამ ხანგძლივი ცხოვრებით ცხოვრობენ, დიდი გრძნობის ადამიანები კი დროს არად აგდებენ და ამ წუთისოფელში „ნამდვილ ცხოვრებასთან“ ზიარებისთვის ზოგჯერ წუთებსაც ჯერდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულგრილობის მსხვერპლი

„რომმა კი არა, კართაგენის სენატმა დაამარცხა ჰანიბალი.“ ეს იყო სახელგანთქმული კართაგენელი სარდლის ჰანიბალის უკანასკნელი სიტყვები.

როცა ჰანიბალი რომს მიადგა, მას რეზერვისთვის მცირე თანხა სჭირდებოდა, რათა რომი აეღო, ამიტომ სამშობლოში მმართველ არისტოკრატიას დახმარება სთხოვა.

საბჭოზე სიტყვით გამოვიდა უხუცესთა საბჭოს ლიდერი - ჰანონი. მან „უნიკალური“ აზრი გამოთქვა:

თუ ჰანიბალი იმარჯვებს, მაშინ რა საჭიროა დახმარება?! თუ ის მარცხდება, მაშინ რა საჭიროა ასეთი მხედართმთავარი?!

ჰანიბალი დახმარების გარეშე დარჩა. რომი იკრებს ძალას და უკვე რომაელები მიადგნენ კართაგენს.

რომის მოთხოვნები სულ უფრო და უფრო მკაცრდებოდა.

ჯერ უბრძანეს არმიის დაშლა; მერე ჩამოართვეს იარაღი; უბრძანეს მატერიკის სიღრმეში გადასახლება, რათა ზღვაზე აღარ ევაჭრათ. მხოლოდ უკანასკნელი ბრძანებისას მიხვდა უხუცესთა საბჭო, თუ როგორ ელაპარაკებიან ძლიერები სუსტებს. ზოგიერთი მათგანი მწარეთაც ატირდა. მაგრამ უკვე გვიან იყო. გვიან იყო წინააღმდეგობის გაწევაც. რომაელებმა შტურმით აიღეს კართაგენი. ქალაქი დაწვეს. ადგილი, სადაც ქალაქი იყო, თვით კართაგენელებს გადაათხრევინეს და იმ ადგილას დასახლება საერთოდ აკრძალეს. კართაგენის ყველა თავისუფალი მოქალაქე ტყვედ გაყიდეს.

კართაგენელთა სიძუნწემ და გულგრილობამ, ყველა დროის უდიდესი მხედართმთავარი ჰანიბალი დაამარცხა. ჰანიბალთან ერთად კი მისი სამშობლო - კართაგენიც დაიმარხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ ეპოტინებიან სკამებს

მაგალითი პირველი: საფრანგეთის რევოლუციის წინ ახლად დანიშნულ ფინანსთა მინისტრ კალონისთვის უკითხავთ: ნეტა როგორ მოჰკიდეთ სამეფო ფინანსების გასწორების საქმეს ხელი, როცა საკუთარი ასე ცუდად გაქვთ მოწყობილიო? კალონს ცინიკურად უპასუხნია, სწორედ ამიტომაც მოვკიდე ხელი, საკუთარი რომ ცუდ დღეში მაქვსო."

მაგალითი მეორე: როდესაც იმპერატორმა გალბამ ყველასათვის მოულოდნელად, თავის მემკვიდრედ ოტონი კი არა, პიზონი დანიშნა, პირველმა გადაწყვიტა შეთქმულება მოეწყო.

სვეტონიუსი წერს, რომ შეურაცხყოფის გარდა, ოტონს ამ ნაბიჯისაკენ უბიძგა აუარებელმა ვალებმა, რომლებშიც იგი იყო ჩაფლული.

იგი ამბობდა კიდეც ხმამაღლა:

-თუ მე იმპერატორი არ გავხდები, განა სულერთი არ არის, ბრძოლაში მტრის ხელით მოვკვდები, თუ მევალე-კრედიტორების მიერ ფორუმზეო?

ლოიდ ჯორჯი ქართველების შესახებ

1919 წელს, პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენლები კარლო ჩხეიძე და ევგენი გეგეჭკორი ეროვნულ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი, როცა მათ ჩაცმულობას ყურადღება მიაქცია ერთმა მოხუცებულმა ლორდმა და სადაურობა იკითხა. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა უპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნუ გიკვირთ ლორდ, ესენი იმ ქვეყნიდან არიან, რომელთაც შეუძლიათ ევროპა მინისტრებით მოამარაგოს.“

„ვეფხისტყაოსნის“ ხსნა

ირაკლი აბაშიძის სიტყვით, რომ ვთქვათ: „ერთადერთი, რომლის დაწვასაც და განადგურებასაც საქართველოში ვეღარასოდეს მოვახერხებთ, მრავალტანჯული „ვეფხისტყაოსანია.“ რადგანაც იგი საბედნიეროდ უამრავ ენაზეა თარგმნილი და მისი ხსნაც ამაშია. ის მარტო ჩვენს ხელთ არ არის, მისი ბედი მარტო ჩვენ არ გვეკითხება, მის დაწვას ჩვენ უკვე ვერასოდეს მოვახერხებთ.“

როგორც აღნიშნავენ ეს ჩანაწერი 1992 წლის 14 იანვრით თარიღდება. ე.ი. სიცოცხლის ბოლო დღესაა ჩაწერილი.

გააჩნია, ვინ როგორ ხედავს

ბუნებაში, ისე როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ არსებობს ერთ მნიშვნელოვანი შეფასებები. კი ვამბობთ, რომ ჯოხს ორი ბოლო აქვსო, მაგრამ არის კი ასე? იქნებ ჩვენც ასე მხოლოდ იმიტომ გვეჩვენება, რომ მეტის დანახვა, არ შეგვიძლია. განა საცოდაობა არ არის ჩემნაირმა სმენადაუქვეითებელმა მოკვდავებმა ბეთჰოვენის ყრუობაზე ვილაპარაკოთ! ისტორიიდან მახსენდება ასეთი შემთხვევაც: ერთხელ ყმაწვილკაცობისას ნაპოლეონმა სარკმელთან მიიყვანა ბიძამისი, მომავალი არქიეპისკოპოსი, რომელიც დღენიადაგ მის დამოძღვრებაში იყო გამეცადინებული. „ხედავთ ვარსკვლავებს! ეკითხება მოწმენდილ ცისკენ მაცქერალი ნაპოლეონი სტუმარს. „კი მაგრამ, მზით ასეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათებულ ცაზე ვარსკვლავები როგორ უნდა დავინახო", პასუხობს დაბნეული სტუმარი. მე კი ვხედავ - უპასუხა ნაპოლეონმა და დაუმატა: მიტომ ყოველთვის ჩემი გზით ვივლი ნურვინ ეცდება წინ გადამეღობოსო.

როცა ოცნება განხეთქილებაშია სინამდვილესთან

ნათქვამია: ,,რევოლუციას ამზადებენ განმანათლებლები, ახორციელებენ ფანატიკოსები და სარგებლობენ თაღლითები."

რუსოს წინასწარმეტყველება ,,ჰარმონიულ საზოგადოებრივ თანაცხოვრებაზე" ან ვოლტერის ,,გონების მეუფეების ხანის" დადგომაზე იდეალად დარჩა. თითქოს დაინდო განგებამ განმანათლებლები და აღარ დაანახა შემდგომი ამბები. ამან დამთრგუნველად იმოქმედა ნაპოლეონზე, რომელმაც ხელმეორედ გადაიკითხა რუსოს ნაწერები და ფანქრით მიაწერა მისი წიგნის ფურცლებზე: ,,ეს ასე არ არის, რუსო ამაში ცდება."

საქართველოს ისტორია თავის შექსპირს ელოდება

ვახტანგი, ზედწოდებით – ჭუჭუნიაშვილი, იმერეთის ბაგრატიონთა შორეული ნათესავი, 1660 წელს იმერეთის სამეფო ტახტის უზურპატორი და იმერეთის დედოფლის, ნესტან–დარეჯანის (დარეჯანის) მეორე მეუღლე გახდა. ალექსანდრე III-ს გადაცვალების შემდეგ (1660, 4 მარტი), ტახტის მემკვიდრის, ბაგრატის (შემდგომში – ბაგრატ IV) დედინაცვალმა, დარეჯანმა, რომელიც ქვეყნის ფაქტიური გამგებელი იყო, ბაგრატს ცოლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერთო თავისი ძმის, თეიმურაზ I-ს ვაჟის, დავითის ასული ქეთევანი. მაგრამ, სულ რამდენიმე თვეში, მისივე ბრძანებით, ბაგრატი დააბრმავეს და ტახტიდან გადააყენეს, თვითონ დარეჯანი კი ვახტანგ ბაგრატიონს, ზედწოდებით ჭუჭუნიაშვილს მისთხოვდა. ვახტანგი მეფედ გამოაცხადეს.

ბაგრატის მომხრეებმა დახმარებისთვის ახალციხის ფაშას, ასლანს მიმართეს, რომელსაც დადიან–გურიელიც მიემხრნენ და იმერეთში ჯარით შემოვიდნენ; დარეჯანი, ვახტანგი და ქეთევანი შეიპყრეს. ვახტანგს თვალები დასთხარეს და ახალციხეში წაიყვანეს, იქიდან კი ოლთისში გაამგზავრეს.

მაგრამ ეს ისტორია ამით არ დასრულებულა. სულ მალე ქართლის მეფის ვახტანგ V „შაჰ-ნავაზის" იგავმიუწვდომელი და სიტურფით განთქმული ძმისწული თამარი დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა უპრეცედენტო ცილობის საგანი შეიქმნა.

პირველად იგი შეირთო სამეგრელოს მთავარმა ლევან III დადიანმა.

1663 წელს იმერეთში გამეფებულმა ბაგრატ IV უსინათლომ დაამარცხა ლევან III, წაართვა ცოლი და თვითონ შეირთო თამარი. მანამდე კი ბაგრატი გაეყარა თამარის დას თათიას, ხოლო თავისი და თინათინი ლევან III-ეს შერთო ცოლად.

1678 წელს იმერეთში გამეფებულმა არჩილმა ბაგრატს IV ტახტთან ერთად ცოლიც წაართვა და თამარი თავის პირველ ქმარს ლევან III დადიანს დაუბრუნა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში საკუთარი დედინაცვლის, დარეჯან დედოფლის მიერ დაბრმავებული, ბაგრატ IV იმერთა მეფე ვერც ერთ დანაკარგს ვერ შეეგუა. მეორე წელსვე უსინათლო მეფემ ჯერ არჩილი გააძევა იმერეთიდან, ხოლო შემდეგ ლევან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადიანს თავს დაესხა, კვლავ წაჰგვარა მეუღლე და ხელმეორედ შეირთო თამარი.

1681 წელს ბაგრატ IV გარდაიცვალა. იმერეთის სამეფო ტახტზე გიორგი გურიელი ავიდა, რომელსაც ცოლად ჰყავდა ბაგრატ IV-ისა და თამარის ასული - დარეჯანი.

ახლა იმერეთში გამეფების შემდეგ, გიორგიმ დარეჯანი გაუშვა და თამარი - თავისი სიდედრი შეირთო ცოლად.

არა ნაკლებ საინტერესო უნდა იყოს ლიტერატორთათვის სამეგრელოს მთავარი ლევან მეორე დადიანი, რომელიც მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილეებს სასტიკად გაუსწორდა: საკუთარ ძმასა და სიძეს თვალები დასთხარა და ქონება ჩამოართვა, სხვა მონაწილეებს ხელ-ფეხი მოჰკვეთა და თვალები დასთხარა, ხოლო შეთქმულების მოთავე ვაზირი მერაბ ქორთოძე ჯერ დაახრჩო, ხოლო შემდეგ ზარბაზნით გაისროლა.

ევროპის ქვეყნების ისტორიაში მომუშავე ისტორიკოსებისგან ხშირად მსმენია თუ რა მწირია ის მასალა, რისგანაც საქართველოს ისტორია იქმნება. ეს მაშინ, როცა მათივე განმარტებით, განსხვავებით ჩვენგან ევროპელებს ჰქონდათ მოთხოვნილება: იქნებოდნენ ჯალათები თუ მეფეები, დედოფლები თუ მაღალი წრის წარმომადგენლები, მოუცლელობისა და დაუსრულებელი ორგიების მიუხედავად ეპოვათ დრო ყოველდღიური ჩანაწერებით უკვდავეყოთ განცდილი და ნანახი.

იქნებ საქართველოს ისტორიაში მსგავსი სიუჟეტების გაცნობამ ,,კრიტიკოსებს" აზრი შეაცვლევინოს და ყურად იღონ იაკობ გოგებაშვილის მიერ თქმული სიტყვები: ,,საქართველოს ისტორია წარმოადგენს ისეთ ხანგძლივსა და რთულ დრამას, რომელსაც ასი შექსპირიც ვერ ამოლევს."

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც არ გკლავს გაძლიერებს

ცნობილმა ნაცისტმა დამნაშავემ შტრაიხერმა ნიურნბერგის პროცესზე გაიხსენა: ლუთერმა წიგნი დაწერა -,,ებრაელობა და ტყუილები" და შემდეგ ყველასთვის მოულოდნელად განაცხადა ჰიტლერი სწორად არ მოიქცა ებრაელებს, რომ სდევნიდაო, რომ ჰკითხეს, რატომაო, უპასუხა:

ებრაელები მხოლოდ იმიტომ არიან ასე ძლიერნი, რომ მთელი მათი არსებობის მანძილზე მუდმივ დევნას და რბევას განიცდიან, ეს აძლიერებს მათ წინააღმდეგობას. იქ, სადაც ანტისემიტიზმი არ იყო, ებრაელები დაკნინდნენ და გადაგვარდნენ. ამიტომაც არიან თვითონ ებრაელები უმთავრესი ანტისემიტები. რაც უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენს ერი თავისი შვილების მიმართ, მით უფრო მტკიცეა მისი ბრძოლის უნარი.

თავად ებრაელებიც ხომ ხშირად იმეორებენ: რაც არ გკლავს, გაძლიერებსო.

სულელური სტილი

ვოლტერის მსახურმა წერა-კითხვა არ იცოდა. ერთხელ თავის ბატონს სთხოვა, სოფელში ჩემს ნათესავთან წერილი დამიწერეთო.

წერა რომ დაამთავრა, ვოლტერმა დიდი ხმით წაუკითხა წერილი მსახურს და ჰკითხა:

- კიდევ ხომ არ დავუმატო რამე?

- დიახ, ბატონო, - უპასუხა მსახურმა, - მისწერეთ, რომ მე ბოდიშს ვიხდი ასეთი სულელური სტილისათვის და რომ წერილის ავტორი თქვენ ბრძანდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანას, რომელსაც სიმაგრეები არა სჭირდება

ძველ ელადაში ოლიმპიურ შეჯიბრში გამარჯვებული ჯილდოდ ოქროს დანით მოჭრილი გარეული ზეთისხილის ტოტებისაგან გაკეთებულ გვირგვინს ღებულობდა. ეს დიდი ღირსება იყო: მეწამული სამოსით შემოსილი გამარჯვებული ოთხცხენშებმულ ეტლზე მდგარი შედიოდა მშობლიურ ქალაქში. ზოგჯერ ამ შემთხვევის გამო, მისი თანამოქალაქეები ქალაქის კედლის ნაწილს არღვევდნენ. ამით ხაზს უსვამდნენ იმას, რომ რადგან ქალაქს ასეთი დამცველები ჰყავს, სიმაგრეები აღარ სჭირდებაო. (გავიხსენოთ ნიკო ლორთქიფანიძის შესანიშნავი ნაწარმოები შექმნილი „სურამის ციხის" თემაზე, სადაც ანალოგიური აზრია გატარებული).

ასე ვცხოვრობდით დღენიადაგ

აზიასა და ევროპას შორის ჭიდილში მყოფი საქართველო, ბიჭვინთაში, ზღვის ნაპირზე აღმართულ იმ უბრწყინვალეს ძეგლს მახსენებს, დიდმა ხელოვანმა მერაბ ბერძენიშვილმა კოლხ ქალს, მედეას რომ მიუძღვნა. საქართველოც მისი სხეულის მსგავსად, ზღვისკენ გაჭრილი, წინ ევროპისაკენ მიისწრაფვის, ნაღვლიანი სახით კი უკან აზიისაკენ იყურება, სადაც თავისი ისტორიის უმეტესი პერიოდი გაატარა..

ასე ვცხოვრობდით დღენიადაგ.

რას ნიშნავს სახელმწიფოებრივად აზროვნება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუბეჩის ყრილობის წინ რუსეთის მიწა-წყლის გამაერთიანებელს, ვლადიმერ მონომახს უბედურება შეემთხვა. მთავარ ოლეგ ჩერნიგოველთან ბრძოლაში მურომის კედლებთან დაეცა მისი შვილი. მონომახის ადგილზე სხვა შურს იძიებდა, ასეთი იყო წესი. მონომახმა კი ოლეგს მისწერა: ,,მე შენი მტერი არა ვარ, არც შურისმაძიებელი... ყველაფერი ღმერთს მივანდოთ... რუსულ მიწას ხომ არ დავღუპავთ!"

ადვილი არ იყო მონომახისათვის მტერთან შრიგება, მაგრამ იგი შორსმჭვრეტელი იყო. მარტო თავის მიწას, თავის დარბაზსა და სამფლობელოს როდი ხედავდა, მის წინ გადაშლილი იყო რუსეთი.

არცთუ უსაფუძვლო შიში

ინგლისელი მწერალი ბენეტი სამეფო კარის ნადიმზე მიიწვიეს. მან შეამჩნია, რომ მისკენ იორკელი ჰერცოგი, მომავალი მეფე ჯორჯ VI გამოეშურა. შეშფოთებულმა ბენეტმა მეზობელს გადაუჩურჩულა: "ღმერთო ჩემო, თუ გამომელაპარაკა, ვშიშობ, დარჩენილ სიცოცხლეს ტაუერში გავატარებ". ბენეტს ჯორჯ VI-ის მსგავსად ენა ებმოდა.

ვაჟა, რომ გყავდეთ, ჩვენისთანა
მთებიც უნდა გქონდეთ!

ვაჟა-ფშაველას შესახებ არტურ ლაისტმა თქვა: ,,ევროპულ ლიტერატურაში არ მოიპოვება ასეთი მთის მგოსანიო," რაზეც გერონტი ქიქოძემ მოხდენილად შენიშნა: ,,ეს შეიძლება იმითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

აიხსნებოდეს, რომ არც ერთს ევროპელ ერს არა აქვს ჩვენისთანა მთები-ო.“

ჩემს შვილებთან მივდივარ

1946 წლის 16 ოქტომბრის ღამით, ნიურბერგის ციხის ეზოში სისრულეში მოიყვანეს II მსოფლიო ომის მთავარი სამხედრო დამნაშავეების მიმართ გამოტანილი განაჩენი. 2 საათსა და 11 წუთზე პირველად ჩამოახვრჩეს იოახიმ ფონ რიბენტროპი, შემდეგ მას მოჰყვა მესამე რაიხის გენერალ-ფელდმარშალი - კეიტელი. მისი უკანასკნელი სიტყვები მიმართული იყო სასიკვდილო აქტის მცირერიცხოვან დამსწრეთა, ოთხი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელთა მისამართით:

-,,მე მივმართავ ყოვლისშემძლე ღმერთს და ვთხოვ მას შეიბრალოს გერმანელი ხალხი. ჩემამდე ორ მილიონზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი დაიღუპა, ეხლა მე მივდივარ ჩემს შვილებთან.

წინა ღამით კი საწამლავით მოისწრაფა სიცოცხლე გერინგმა. ბარათში, რომელიც მან ნიურბერგის ციხის უფროსის, ამერიკელი პოლკოვნიკის ჰენდრიუსის სახელზე დატოვა, ეწერა: ,,ისტორიას ჯერ არ ახსოვს, რომ ფელდმარშალი ჩამოეხრჩოთ.“

,,ადამიანი ყველა საგანთა საზომია!“

თავისთავად იდეის დასახვა, როგორიც არ უნდა ჰუმანური და პოზიტიური იყოს შეიძლება საშინელ ტრაგედიად გადაიქცეს, თუ არ არის განხილული მისი განხორციელების საშუალებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა საუკუნეებში იესოს სახელით იეზიუტები კლავდნენ და კოცონზე წვავდნენ ათასობით ადამიანებს

საფრანგეთის რევოლუციამ ეთიკური იდეების საფარქვეშ - ძმობის, ერთობისა და თავისუფლების ლოზუნგი - მეტად მკაცრი ტერორით განახორციელა და ბევრი დიდსულოვანი ადამიანიც შეიწირა. ჯალათი რომ ვერ აუდიოდა სიკვდილმისჯილთა უსასრულო რიგებს, ფრანგებმა გილიოტინა შექმნეს.

დიდი ფრანგი მწერლის ანატოლ ფრანსის უკვდავი ნაწარმოების ,,ღმერთებს სწყურიათ" მთავარი პერსონაჟი გამლენი მოთამაშე ბავშვს ეუბნება:

- ბავშვო, შენ თავისუფალი, ბედნიერი იქნები, როცა გაიზრდები და ამას შეჩვენებულ გამლენს უნდა უმადლოდე. მე სასტიკი ვარ, რათა შენ ბედნიერი იქნე. მე ბოროტი ვარ, რათა შენ კეთილი იქნე. მე შეუბრალებელი ვარ, რათა ხვალ ფრანგებმა ერთმანეთი გადაჰკოცნონ და სიხარულის ცრემლები დააფრქვიონ.

- პაწია ბავშვო, როცა მამაკაცი გახდები, ჩემი წყალობით იქნები უმწიკვლო და ბედნიერი; მაგრამ თუ ოდესმე ჩემი სახელი გაიგონე, შეჩვენებას გამომიგზავნი."

როდესაც ანთებული სულის რესპუბლიკელი ქალი, ჟირონდელების მეგობარი მანონ როლანი იაკობინელების დიქტატურის დროს გილიოტინაზე აიყვანეს, მან თამამად გაიხსნა საყელოს საკინძი და წარმოთქვა უკვდავი სიტყვები: ,,-ოჰ, თავისუფლებავ, რამდენ ბოროტმოქმედებას სჩადიან შენი სახელით!"

ბოლშევიკებიც კაცობრიობის ბედნიერების წადილით შეპყრობილნი ჟლეტდნენ მილიონობით ადამიანებს. თუ ყველა ამ შეცდომებმა რაიმე გვასწავლეს, იქნებ დადგა დრო არა მარტო მიზნად დავისახოთ, როგორც ყველაზე ეთიკური იდეა, ჩვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდივიდუალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ვიღვაწოთ კიდეც მისი განხორციელებისათვის ისე, რომ არ დაგვავიწყდეს ყველაზე მთავარი: „ადამიანი ყველა საგანთა საზომია!"

რით ავხსნით ამას?

ოდესღაც კარლ მარქსი წერდა: „... კავკასიონის მთები ჰყოფენ სამხრეთ რუსეთს საქართველოს წარმტაცი პროვინციებისაგან, სამეგრელოსა, იმერეთისა და გურიისაგან, რომელნიც მოსწყვიტეს მუსულმანებს მოსკოველებმა. ამით გიგანტური იმპერიის ფესვები მოკვეთილია სხეულისაგან. ერდათერთი სამხედრო გზა, რომელიც ამ სახელწოდებას იმსახურებს, მიიკლაკნება მოზდოკიდან თბილისისაკენ დარიალის ვიწრო ხეობით. იგი დაცულია სიმაგრითა უწყვეტი ქსელით და განიცდის მტრულად განწყობილ კავკასიელ ტომთა მუდმივ თავდასხმებს.

ყველა ეს კავკასიელი ტომი, ერთი სამხედრო ბელადის ბრძანებლობის ქვეშ რომ გაერთიანდნენ, ისინი შესძლებდნენ სერიოზული საფრთხე გამხდარიყვნენ კაზაკთა მეზობელ ოლქებისთვისაც კი."

საქმეც ისაა, რომ ვერ მოხერხდა ასეთი გაერთიანება: პირიქით, დამსახურების მომლოდინე ქართველი მაღალი წრეების დახმარებით გაიკაფა რუსეთის იმპერიალიზმმა საშიში და უცნობი გზა მთებში. ეს იწვევდა შამილის უაღრეს გულისწყრომას ქართველთა მიმართ, რომელიც მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში იცავდა კავკასიელთა ღირსებას.

ამ მღელვარე ეპოქიდან გაივლის ათეულობით წელი და ერთ დღესაც ქართველი პოეტი ტიციან ტაბიძე დაწერს: „მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ ვერ შექმნა ეპოსი, უეჭველია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას წინდაწინ გულისხმობდა ობიექტურ პირობათა უქონლობა. ბევრი მოაზროვნე დაჰფიქრებია ამ ფაქტს და ცდილობდა გაერკვია, რა იყო ამის მიზეზი. ეხლა უეჭველ ფაქტად რჩება მხოლოდ რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელიც მოკლებული იყვნენ იმ დასაყრდნობს, რაც ძლიერ ეპოსს გვაძლევს შემდეგში. ილია და აკაკი სცდილობდნენ მოეცათ ეპიური შინაარსის ნიმუშები. მაგრამ მათი სიძლიერე აქ არ სჩანს: ეპიური შემოქმედება გულისხმობს ხალხურ შემოქმედებაზე დაყრდნობას, მტკიცე ყოფის დადგინებას და ერის ორგანულობას. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი შეეცადნენ საქართველოს წარსულში მოენახათ ეს დასაყრდნობი და უმთავრესად გამოდიოდნენ „ქართლის ცხოვრებიდან." აქედანაა პოემები: „თორნიკე ერისთავი," „ნათელა," „ბაგრატ დიდი," „თამარ ცბიერი," „დიმიტრი თავდადებული," „დედა და შვილი" და სხვები.

მაგრამ ეს პოემები ატარებენ ეპოქის მომაკვდინებელ ცოდვას, აქ პათოსი გადატანილია წარსულში. აქ არ არის პირდაპირი ხილვა და ხელის შეხება საგნებისა: აქ გამოშვებულია ისეთი მომენტები, რომელნიც თავის დროზე შეიძლება გამხდარიყვნენ თემებად: ლევ ტოლსტოიმ მშვენივრად ამოჭრა კავკასიის ეპოპეას „ჰაჯი მურატი." ჩვენთან უფრო ახლო იყო მოქმედების თეატრი, მაგრამ ამის შესახებ ქართულ მწერლობაში ერთი ხმაც არ დაძრულა და მხოლოდ ალექსანდრე ყაზბეგმა გაკვრით მოგვცა შამილისა და მთების ეპოპეის ერთი ეპიზოდი."

რით ავხსნით ამას? ეს არის კითხვა, რომლის პასუხიც მხოლოდ ისტორიის ლაბირინთებში იძებნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ XII საუკუნის 20-იანი წლებიდან საქართველოს, როგორც დიდი სახელმწიფოს, შინაგანი მექანიზმით დასუსტებას დაემატა კიდევ გარეშე ძალის გავლენით გამოწვეული ნგრევის ფაქტორიც. ძლიერი და მდიდარი ქვეყნის ნორმალურ განვითარებას გზა გადაუღობეს ჯერ ჯალალედინმა, ხოლო შემდეგ მონღოლთა ურდოებმა, საქართველოში მათმა ბატონობამ მძიმე შედეგები დატოვა. ქვეყანა გაჩანაგდა, მოიშალა კავშირი ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, მივიწყებული იქნა თამარის ეპოქის დიადი საშინაო და საგარეო პოლიტიკური ამოცანები, სამეფო ხელისუფლება აშკარა დაკნინებასა და დასუსტებას განიცდიდა. მაგრამ, მდგომარეობა რომ ჯერ კიდევ არ იყო უნუგეშო, ეს გიორგი ბრწყინვალეს მეფობიდანაც გამოჩნდა. თუმცა, სამწუხაროდ ჩვენდა, ეს პერიოდი დიდხანს არ გაგრძელდა.

საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენთვის XV საუკუნე. 1453 წელს კონსტანტინოპოლისა და მასთან ერთად ქრისტიანული ბიზანტიის დაცემა და კაცობრიობის უდიდესი ნიშანსვეტი - დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, აღმოსავლეთის კულტურული სამყაროსათვის ერთსა და იმავე დროს უდიდესი უბედურების დასაწყისადაც იქცა. არც ერთ მათგანს პირდაპირი კავშირი არ ჰქონია საქართველოს ისტორიასთან, თუმცა არაფერს არ მოუხდენია ისეთი გავლენა ჩვენს ბედზე, როგორიც ამ ორმა უკანასკნელმა გარემოებამ მოახდინა; ევროპას საქართველოსათვის აღარ ეცალა. ჩვენი ქვეყანა კვლავ მოექცა მაჰმადიანთა ზღვაში, როგორც პატარა კუნძული და ყოფნა-არყოფნის წინაშე დავდექით. აზიამ კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე ხანგრძლივი დროით გამოსტაცა ევროპას საქართველო. მაჰმადიანური აღმოსავლეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამპყრობლებმა საქართველო პოლიტიკურ და ეკონომიკურ განადგურებამდე მიიყვანეს.

მართალია, ქართველებს მხატვრულობა არასოდეს არ გაუცვლიათ იდეურობაში და სპარსული მწერლობის მხატვრულ ძეგლებს უაღრესად დიდ პატივს სცემდნენ. მაგრამ იმ დროს, როდესაც მაჰმადიანური სამყარო შთანთქმით ემუქრებოდა ჩვენს ქვეყანას, „სპარსულ-თურქული იდეოლოგიის" მიმართ მკაცრი და შეუწყნარებელი ქართველი საეკლესიო მოღვაწენი კიდევ უფრო ამკაცრებენ თავიანთ დამოკიდებულებას რელიგიური მრწამსის მიმართ.

XVII - XVIII საუკუნეები ეს ის დროა დანაწევრებული, დაჩეხილი ქვეყნისათვის, რომლის საერთო პოლიტიკურ-სოციალური ხასიათია დაუსრულებელი ომები, ტყვეთა სყიდვა, ძარცვა-გლეჯა, ეკონომიკური დაქვეითება. თვით XIX ს-ის შუა წლებამდეც კი ლეკიანობა, მართალია, არა იმ სიხშირით, მაგრამ მაინც კვლავაც გრძელდებოდა.

ასეთი ვითარებისთვის საერთო კავკასიური სახელმწიფოს ისტორიულ ცხოვრებასთან დაკავშირებული XII ს-ის ისეთი ღირსახსოვარი ფაქტი, როდესაც დავით აღმაშენებელს ძალუძდა ლოცვა როგორც ქრისტიანულ ეკლესიაში, ასევე მეჩეთშიც და სინაგოგაშიც გვიანი ეპოქისთვის უკვე გაუგებარია.

... მაგრამ ეს აიხსნება არა იმით, რომ ქართველებს აკლდათ შეგნება იმ ვალდებულებისა, რომელიც მათ საერთო კავკასიური სახლის მიმართ გააჩნდათ. ეს იყო ერთგვარი პასუხი ყოველივე იმისთვის, მაჰმადიანური აღმოსავლეთის დამპყრობლებმა საუკუნეების განმავლობაში საქართველოს და ქართველ ხალხს თავს რომ დაატეხეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკი ამბობენ კიდეც: ,,შურისძიება ერთგვარი დესერტია, რომელიც სუფრაზე გვიან შემოაქვთ"-ო.

საქართველოს მოუარე, საქართველოს!

ცნობილი კინორეჟისორი გუგული მგელაძე დიდი ქართველი მეცნიერის პავლე ინგოროყვას ცხოვრებიდან იხსენებს:

ერთ დღეს დაგვირეკეს, შევარდნაძეს სურს თქვენთან მოსვლაო. (იმ დღეებში, როცა შევარდნაძეს ველოდით, სადარბაზო შეგვიღებეს, კიბეები დაგვიპრიალეს, გოგებაშვილის ქუჩას ყოველ დილას მოსარწყავი მანქანა ჩაუვლიდა ხოლმე. მოკლედ, ვცხოვრობდით რაღაც საოცარ სისუფთავეში. მერეც, როცა დაჭუჭყიანდებოდა იქაურობა სახლმმართველს დავურეკავდი, კაცო მგონი ისევ აპირებენ მოსვლას-მეთქი და... ისევ დაფაცურდებოდნენ)...

ბატონ ედუარდს ბატონი პავლესათვის საიუბილეო თარიღი უნდა მოელოცა. დღე-დღეზე ველოდით. ჩემი მეუღლე, ლეილა ინგოროყვა, რამდენჯერაც საჭმელს შეუტანდა ბატონ პავლეს, იმდენჯერ ეუბნებოდა (მისი მეხსიერების იმედი მაინცდამაინც არ ჰქონდა - 85 წელი ხუმრობაა!?);

-შენთან უნდა მოვიდეს ედუარდ შევარდნაძე. მოგიკითხავს, გაგესაუბრება. ბოლოს, ალბათ, გკითხავს, ხომ არაფერი გიჭირს, ხომ არ დაგეხმაროო. შენ უნდა უთხრა: ჩემს შვილიშვილს, ქმარშვილიანს, ბინა არა აქვს და თუ შეიძლება დაგვეხმარეთ-თქო! გაიგე?

შემდეგ შესვლაზე ლეილა ეკითხებოდა: ხომ იცი, შევარდნაძეს რა უნდა უთხრა?

-რა უნდა ვუთხრა? - აქეთ ეკითხებოდა პავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ადამიანო, წეღან არ გითხარი? .. - და ლეილა უმეორებდა წეღან ნათქვამს... ,,ჩემს შვილიშვილს ბინა არა აქვსო."

მოკლედ, ასე გაგრძელდა შვიდი თუ რვა დღე. ბოლოს, ლეილა ეუბნება:

-აბა, ეხლა გენერალური რეპეტიცია გავიაროთ. ვითომ მოვიდა შევარდნაძე.

შევარდნაძის მაგივრად ბ-ნი პავლეს ოთახში შევდივარ მე. იწყება გენერალური რეპეტიცია.

მე: - გამარჯობათ ბატონო პავლე!

პავლე (შეშინებულივით): - გამარჯობა... რომელი ხარ?

მე: - მე ვარ, შევარდნაძე... ვერ მიცანით!

პავლე: - გიცანით!

მე: - როგორ ბრძანდებით, ბატონო პავლე?

პავლე: არა მიჭირს.

მე: - ხომ არაფერი გნებავთ... სათხოვარი ხომ არაფერი გაქვთ?

პავლე: - კი.

მე: - მიბრძანეთ.

პავლემ გახედა ლეილას და ქეთინოს (ჩემს ქალიშვილს) მერე მე (შევარდნაძეს) შემომხედა და წაიჩურჩულა:

-საქართველოს მოუარე, საქართველოს!

მიყვარს, მაგრამ აღარ მეცოდება

ფილიპე II-მ, ალექსანდრე მაკედონელის მამამ, შვილის აღსაზრდელად არისტოტელე მოიწვია და როდესაც მან შეამჩნია, რომ არისტოტელე აიძულებდა პატარა ალექსანდრეს ცივ მდინარეში ცურვას, გაკაჟების მიზნით, რაც ცხადია, ბავშვის ისტერიკას იწვევდა. განრისხებულმა მამამ მიაძახა: ,,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არისტოტელე, შენ არ გიყვარს ჩემი შვილი!“ პასუხი, არისტოტელეს მხრიდან, გენიოსის შესაფერისი იყო: „მე ისე ძლიერ მიყვარს შენი შვილი, რომ აღარ მეცოდება.“

პირმოთნე, მაგრამ გულწრფელი

საფრანგეთის მეფე ლუი XIV ხანდახან მეტად უხეირო ლექსებს წერდა. ერთხელ მან თავისი ნამოღვაწარი ცნობილ პოეტს ბუალოს წაუკითხა და ჰკითხა:

-აბა რას იტყვით ძვირფასო თანამოკალმევ?

ბუალომ პირმოთნედ უპასუხა:

-თქვენთვის შეუძლებელი არაფერია, თქვენო უდიდებულესობავ. აი, აზრად მოგივიდათ შეგეთხზათ უხეირო ლექსები და ეს შეუდარებელი ოსტატობითაც გააკეთეთ.

გენიოსები ერთმანეთს უკეთ სცნობენ

„მე მუდამ „სასწაულს დავეძებდი“ - ამას ნაპოლეონი ხშირად იმეორებდა.

ცოტა მოგვიანები კი გოეთე მასზე იტყვის: „ნაპოლეონი - კაცი, რომელმაც ქვეყანა დაანგრია სახელისათვის.“

1808 წლის 2 ოქტომბერს 11 საათზე ერფურტში შეხვდნენ გოეთე და ნაპოლეონი. საუბრის დეტალები უცნობია. ნაპოლეონს უთქვამს, რომ მისი „ვერტერი“ ეგვიპტეში ჰქონია წაღებული 7-ჯერ წაუკითხავს. ამ აუდენციით გოეთე აღფრთოვანებულა. იმავე საღამოს მას საპატიო ლეგიონის ორდენი გადასცეს.

1829 წელს გოეთეს ეწვია მიცკევიჩი. აღსანიშნავია, როცა გოეთემ გერმანულად მიმართა პოლონელ პოეტს, მიცკევიჩმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიპლომატიური პასუხი შეაგება: მე მესმის გერმანული, მაგრამ გერმანიის უდიდეს პოეტთან გერმანულად საუბარს ვერ გავბედავო.“

ვის ეთქმის კეთილი და მამაცი?

საინტერესოა ძველ ბერძენთა მოსაზრება იმის შესახებ, მამაცია თუ არა ლომი. ისინი ასე ბჭობდნენ: ,,სიმამაცე არის შიშის გადალახვა, ლომს არა აქვს შიშის გრძნობა; ამიტომაც ლომს არ ეთქმის მამაცი.“

როგორც ვხედავთ, ძველნი ელინნი უგუნურ გამბედაობას არა და არა თვლიდნენ სიმამაცედ.

ან კიდევ, კითხვა: კეთილია თუ არა კურდღელი?

პასუხი: კურდღელი არ შეიძლება იყოს კეთილი, რადგან მას ბუნებამ სხვა არჩევანი არ დაუტოვა.

კეთილი შეიძლება იყოს ლომი, ცხადია, თუ მას მოისურვებს, რადგან მას სიკეთის კეთებასთან ერთად საშინელებების ჩადენაც შუძლია.

პოეტობა პროფესია თუ გართობა?

ჯერ კიდევ მე-18 ს-ის მიწურულშიც დასავლეთის ლიტერატურაში პროფესიონალი მწერალი უცხო იყო, რადგან იგი ფრიად დეფიციტური საქმე იყო:

შილერს ჯარის ფერშლობით გაჰქონდა თავი, ჰერდერი, ლაფატერი და ვილანდი მასწავლებლობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულისა და ანგარების საუკუნემ თვით პოეტობაც პროფესიად აქცია. ლორდ ბაირონზე ამბობენ, როცა პირველი ჰონორარი მიიღო, მწარე ცრემლებით იტირაო.

ოსკარ უალდი სწერდა: „რას დასწერდა ლორდ ბაირონი, რომ იგი უბრალო კანტორის მოხელე ყოფილიყო."

ამ აზრს ეხმიანება ვოლტერის ცნობილი გამონათქვამი" „მწერალი მატერიალურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რათა მან აზრები თავისუფლად გამოთქვას"-ო.

„რა ძლიერ ხარ ღმერთო ჩემში!"

„ცხადია, ვინც ტირანსა ჰკლავს, იგი კაცის მკვლელად არ ჩაითვლება, რადგან იგი კაცს როდი ჰკლავს, არამედ ნადირს. ამიტომაც ბრუტუსსა და კასიუსს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ, როცა მათ ცეზარი მოჰკლეს, რადგან მათ ადამიანი როდი მოუკლავთ, არამედ მხეცკაცი" - ამას წერს მიქელანჯელო, რომელიც მთელი თავისი ხანგძლივი სიცოცხლია მანძილზე წმინდანებს, ღვთისმშობელს, მოციქულებსა და ღმერთს ხატავდა.

მიქელანჯელო მარმარილოს ლოდებთან ბრძოლისას გაოცებული იყო საკუთარი ძალმოსილებით. ამიტომაც წამოიძახებდა ხოლმე: „რა ძლიერ ხარ ღმერთო ჩემში!"

დიმიტრი ყიფიანს ვერავინ მოჰკლავდა?!

ცნობილი პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე შალვა ამირეჯიბი წერდა: „საქართველო რომ ბედნიერი ყოფილიყო, დიმიტრი ყიფიანს ვერავინ მოჰკლავდა, მაგრამ ისიც კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათქმელია - საქართველო რომ სულ გათახსირებული ყოფილიყო, მაშინ საჭიროც არ იქნებოდა მისი სიკვდილი."

ადვოკატები არ სჭირდებოდა

ნიკოლოზ I-მა მცოდნე და ევროპულად განვითარებულ მოსკოვის გუბერნატორს გალიცინს ადვოკატების საჭიროებაზე სასამართლოებში ასე უპასუხა: „მე, როგორც ვხედავ, შენ საფრანგეთში ხანგძლივ იცხოვრე, მგონი თვით რევოლუციის დროს, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ შენ იქაური წესწყობილება შეითვისე. ვინ დაღუპა საფრანგეთი, თუ არა ადვოკატებმა? აბა კარგად მოიგონე! .. ვინ იყვნენ მირაბო, მარატი, რობესპიერი და სხა? მინამ მე ვმეფობ, რუსეთში ადვოკატები საჭირონი არ არიან, უმაგითოთაც ვიცხოვრებთ."

კარგი ნიშანი

კ. ცინცაძე იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან ასეთ შემთხვევას გვამცნობს: „უკანასკნელ დღეებში, როცა მახლობლებმა უამბეს იაკობს, შენს სადღეგრძელოდ და სენისგან განსაკურნებლად საქართველოს ყოველ კუთხეში პარაკლისები გადაუხდიათო, მოხუცი, მიუხედავად ძლიერი ტკივილებისა, დამშვიდდა, გამხიარულდა და სიამოვნებით წარმოსთვა: „მადლობა ღმერთს, ჩემთვის ლოცულობენ, ეს კარგი ნიშანია, ვინაითგან სხისთვის ლოცვა მარტო ზნეობრივად განვითარებულ არსებათა კუთვნილებაა..."

გულწასული მხედართმთავარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატიანე ირწმუნება, რომ თითქოს 1380 წელს გამართული კულიკოვოს სისხლისმღვრელი ბრძოლის დროს დიმიტრი დონელს, რუსთა ჯარების მთავარსარდალს ცნობა წაერთვა. იგი ხის ქვეშ მხოლოდ მაშინ იპოვეს გულწასული, როცა რუსთა მამაცმა მხედრობამ მამაის თთართა ურდოები უკვე გაანადგურა.

გენიოსის სიფრთხილე

აკაკი გაწერელია ერთ ფაქტს იგონებს: როცა 1909 წელს ტოლსტოის შეეკითხნენ ამერიკელი კორესპონდენტები - რატომ მხატვრულ ნაწარმოებს არ წერთო, მან უპასუხა - დიდი ხანია მზად მაქვს ერთი მოთხრობა ,,ჰაჯი მურატი"-ო. მეორე კითხვაზე - რატომ არ აქვეყნებთო, მწერალმა უპასუხა: ,,არ მინდა წავიკითხო მასზე დაწერილი კრიტიკული წერილები." და ამას აცხადებდა გენიალური მოთხრობის ავტორი!

მთავარია აზრებმა გაიმარჯვოს

იოსებ მეგრელაძე წერს: ,,როცა აკად. ნიკო მარს უთხრეს ცნობილი ენათმეცნიერი მეიე ძველი და ახალი სომხური ენის თავისებურებებზე თქვენს აზრებს იმეორებს და არც კი გიხსენებთო! მარს უპასუხია: ,,რა მნიშვნელობა აქვს ჩემს მოხსენიებას, მთავარია აზრებმა გაიმარჯვოსო."

ინგლისს გული არა აქვს

ბალკანეთის ომების დროს რუსეთის ერთ-ერთმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფისწულმა ინგლისის სამეფო ტახტის მემკვიდრეს სთხოვა, რათა ბრიტანეთი დახმარებოდა ბალკანელებს. უელსის პრინცმა ეს თხოვნა გადასცა მაშინდელ პრემიერ-მინისტრს ლორდ პალმერსტონს, რომელმაც თავის მხრივ რუსეთის მეფისწულს განუცხადა:

-მე ბედნიერი ვარ დაგარწმუნოთ ინგლისის ტახტის მემკვიდრის გულკეთილობაში, მაგრამ ამავე დროს გაცნობებთ, რომ თვით ინგლისს გული არა აქვს.

ადამიანები მამულიშვილებად არ იბადებიან

მართალი იყო იაკობ გოგებაშვილი, როცა ამბობდა: ადამიანები მამულიშვილებად არ იბადებიან, მათ აღზრდა სჭირდებათო.

,,რვა წლისა თელავში სასულიერო სასწავლებელში მიმაბარეს... უნდა მოგახსენოთ, რომ მაშინ რაზიკოვად ვიწერებოდი და არა რაზიკაშვილად. იქნებ შეურახყოფადაც კი მიმეღო, თუ ვინმე რაზიკაშვილს დამიძახებდა, ასე ძვირფასად მიმაჩნდა ჩემი გვარის დაბოლოვება ,,ოვი"- თ. - ირონიულად იგონებს თავის ყმაწვილკაცობის წლებს ვაჟა-ფშაველა.

რა არის სახიფათო?

,,სახიფათოა, - აამბობდა პასკალი, - აშკარად დაანახო ადამიანს მსგავსება ცხოველთან და იმავდროულად სიდიადეზეც არ მიუთითო. ასევე საძრახისია, მას მხოლოდ სიდიადე ჩააგონო და არაფერი უთხრა ქვენა გრძნობებზე. მაგრამ უფრო მეტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძრახისია, თუ არაფერი იცის არც ერთსა და არც მეორეზე. სასარგებლოა, რომ ერთიც ახსოვდეს და მეორეც.“

ან გახდი ძლიერი, ან დამორჩილდი!

- მეფეო, - მიმართა ერთ დღესაც თავმობეზრებულმა რომაელმა სარდალმა გაიუს მარიუსმა, პონტოს სახელგანთქმულ მეფეს მითრიდატე VI ევპატორს, - ან გახდით რომაელებზე ძლიერი, თუ არა და კეთილი ინებეთ და დაემორჩილეთ რომაულ კანონებს!

ყველა იმისთვის იბრძვის,
რაც არ გააჩნია

მილოვან ჯილასმა სტალინთან შეხვედრისას მოყვა ანეგდოტი: ,,ომში დროებითი დაზავების დროს თურქი და ჩერნიგოლიელი საუბრობდნენ. თურქი დაინტერესდა, რა არის, რომ ჩერნიგორიელები წარამარა ომს იწყებთო? - ძარცვის მიზნით, - მიუგო ჩერნიგორიელმა, - ჩვენ ღარიბი, ღატაკი ხალხი ვართ და სულ იმაზედ გვიჭირავს თვალი, ვის რა წავგლიჯოთო.

,,თქვენ რიღასთვის ომობთო“, - სახელისა და ღირსებისთვისო, - მიუგო ამაყად თურქმა. ამაზე ჩერნიგოლიელმა უპასუხა: რას იზამ, ყველა იმისთვის ომობს, რაც მათ არ გააჩნიათ.“

სტალინმა გულიანად გადაიხარხარა და სიცილით დააყოლა:

-ღმერთმანი, მანდ ღრმა აზრია ჩადებულიო.

გენიოსის მეტამორფოზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციისაგან აღფრთოვანებული ჰაინე გოეთეს ეწვია ვაიმარში და მოუთხრო, თუ როგორ ჰქუხდნენ ზარბაზნები პარიზში. გოეთემ გულდამშვიდებულმა ჰკითხა: ,,ვაიმარის გზაზე, თუ შეამჩნიე, ტყემლები ხომ არ აყვავებულანო."

ლანდტაგის ერთ-ერთ სხდომაზე ბისმარკმა განაცხადა: გოეთეს ,,ფაუსტში" ასეთივე საშიში იდეებია გაბნეული, როგორსაც ამ დაბოლოს ჩვენი სოციალისტები ჰქადაგებენო."

ამ დროს ვაიმარელმა ბრძენმა უშფოთველად განვლო თავისი ცხოვრების დღენი.

ამბობენ იმასაც, თითქოს ვალმასთან გოეთე თან ახლდა ჰერცოგს, რომელიც ვილჰელმის მონარქიულ ჯართან ერთად რესპუბლიკურ საფრანგეთს ებრძოდა.

რუსეთში აწმყო არ არსებობს

ივანე მაჩაბელი იხსენებს: 1891 წელია ილია ახალი დაბრუნებულია რუსეთიდან. ბანკში რომ შემოვიდა, შემოვეხვიენით და ველაპარაკეთ. საქმის გარემოება რომ გვიამბო, ანტონ ფურცელაძემ ჰკითხა ილიას:

- სხვა რა ამბავია რუსეთში?

-რა უნდა იყოს, უპასუხა ილიამ, რუსეთში აწყმო არ არსებობს, რუსეთი მომავლით ცხოვრობს.

გამქრალი საფლავები

როდესაც ჩინგიზ-ხანი მოკვდა, მისივე სურვილით შერჩეულ ადგილზე, თვალუწვდენელ სტეპში გათხარეს საფლავი. სანიშნობლად არც ერთი ხე, ბუჩქიც კი არ დატოვეს. უფრო მეტიც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალის გაქრობის მიზნით, სტეპზე გადარეკეს თვალუწვდენელი ტაბუნი. საფლავი ჩვენამდე აღმოუჩენელია. არადა მას მონღოლებთან ერთად საგულდაგულოდ იაპონელი არქეოლოგებიც ეძებენ.

410 წელს კალამბრიაში მოკვდა ვესტგოთების მეფე ალარიხი. სწორედ ის, ვინც გაძარცვა რომი. მდინარე ჯებირით გადატიხრეს და დროებით შეუცვალეს დინება. ხოლო მის ფსკერზე ღრმა ორმო ამოჭრეს, ჩაასვენეს ოქროს კუბო და მასთან ერთად ძვირფასეულობა. შემდეგ მდინარე კვლავ მიუშვეს თავის დინებით. იმავე ღამეს ვესტგოთებმა დახოცეს ყველა, ვინც კი იცოდა მდინარის რომელ ნაწილში იყო მათი ბელადის საფლავი.

გავიდა საუკუნეები, გაქრა თვით ეს ხალხიც, მაგრამ დღემდე ეს საფლავი თვალით არავის უნახავს.

453 წელს მოკვდა ჰუნთა ბელადი - ატილა, „ღვთის მათრახად“ წოდებული, რომელმაც საშინელებები დაატრიალა ევროპაში.

მისი ნეშთი ჩაასვენეს ოქროს კუბოში, შემდეგ ვერცხლისაში, შემდეგ რკინისაში. იმისთვის, რომ სამუდამოდ დარჩენილიყო საიდუმლოდ ჰუნებმა დახოცეს ყველა, ვინც კი იცოდა ეს ადგილი.

ეს საფლავიც დღემდე უკვალოდ არის გამქრალი.

არისტოკრატული ქველმოქმედება

ერთხელ ერთ-ერთ რადიოსადგურში სტუმრობისას ცნობილმა იტალიელმა პოეტმა, მწერალმა და სცენარისტმა ტონინო გუერამ მსმენელებს ასეთი ამბავი მოუთხრო:

"მე და ვიტორიო დე სიკა მისი ფილმის ("ქორწინება იტალიურად") სცენარზე ვმუშაობდით და ნეაპოლში მომიწია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩასვლა. დე სიკამ ნიშნისმოგებით მითხრა: "ვიცი, რომ ჩრდილოეთ იტალიელებს სამხრეთელები ნაკლებად გიყვართ, მაგრამ ახლა ისეთ რამეს გაჩვენებ, რის გამოც სამხრეთელები შეგიყვარდება". დე სიკამ ყავაზე დამპატიჟა. ჩვენ სადგურის მოედანზე მდებარე საზაფხულო კაფეში დავსხედით. შემოვიდა ორი ახალგაზრდა მამაკაცი და მიმტანს უთხრა: "ხუთი ყავა - ორ ფინჯანს აქვე დავლევთ, სამი კი დავიმახსოვროთ". მათ ხუთი ფინჯანი ყავის საფასური გადაიხადეს, თითო-თითო ფინჯანი ყავა დალიეს და წავიდნენ. დე სიკას მივუტრიალდი: "რას ნიშნავს დამახსოვრებული ყავა?" დე სიკამ მითხრა: "მოიცადე". შემოვიდნენ ახალგაზრდები - გოგონები, ვაჟები, ჩვეულებრივად შეუკვეთეს ყავა, საფასური გადაიხადეს, შესვეს და წავიდნენ. კაფეში სოლიდურად ჩაცმული სამი მამაკაცი შემოვიდა და შვიდი ფინჯანი ყავა შეუკვეთა - "სამს დავლევთ, ოთხი - დავიმახსოვროთ". შვიდი ფინჯნისა გადაიხადეს, სამი ფინჯანი შესვეს და წავიდნენ. შემდეგ ერთმა ბიჭმა შეუკვეთა ორი ფინჯანი, ერთი დალია, ერთიც დაიმახსოვრა. მე დე სიკას შევყურებდი, ის დუმდა. შუადღე დადგა. მზე ანათებდა. ვაგზლის წინ მდებარე მოედანი მზის თვალისმომჭრელ სხივებში იყო გახვეული. ამ სინათლეში ნელ-ნელა ჩრდილი გამოიკვეთა. კაფეში წყნარად შემოვიდა აჩაჩულ-დაჩაჩული მათხოვარი. მან აქეთ-იქით მორიდებით მიმოიხედა, შემდეგ ბარმენს ჩუმად, ძლივს გასაგონად მიმართა: "დამახსოვრებული ყავა არის?"

სიამაყე ძალაა

ფრანგულ საზოგადოებაში მოფუსფუსე თავის თავზე მაღალი წარმოდგენის მქონე მეშჩანებზე ბალზაკი ოხუნჯობდა: ,,ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანები უკანიდან მარკიზებს ჰგვანან, წინიდან გლეხებსო."

თავის დროზე თანადროული ფილისტერების გასაცოფებლად ბალზაკმა განაცხადა: ფრანგული ენა სამმა კაცმა ვიცითო მთელ ქვეყანაზე: ვიქტორ ჰიუგომ, თეოფილ გოტიემ და მე," ან კიდევ: ,,სამი დიდი კაციაო ევროპაში: ვოლტერი, ფრიდრიხ დიდი და მე."

ამბობენ, ბალზაკს თავის სამუშაო კაბინეტში კორსიკელის ქანდაკება ედგა და ნაპოლეონის ხმლის ვადას ასეთი წარწერა ამშვენებდა: ,,რაც ხმლით ვერ გაკეთდა, იგი კალმით აღსრულდება."

დღეს მისი განცხადება უკვე აღარ იმის არც როგორც პარადოქსი და არც როგორც ქადილი.

თავად გენიალური ბეთჰოვენიც ადასტურებს, რომ ,,ცხოვრების აზრი ამაყ უშიშროებასა, გმირულ წინააღმდეგობასა და დაუღალავ ბრძოლაშია."

,,მე უაზროდ მიმაჩნია ამ ქვეყნის მიტოვება იქამდე, ვიდრე არ შევასრულებ ყოველივე იმას, რისთვისავ ვარ მოწოდებული."

"ჩვენს საუკუნეში მხოლოდ ერთი კლასიკოსია, ერთადერთი, გესმით ეს, თუ არა?! ეს მე ვარ! მე ფრანგული ენა ყველაზე უკეთ ვიცი... მე ბრალს მდებენ, რომ ამაყი ვარ; დიახ, ეს მართალია, ჩემი სიამაყე ჩემი ძალაა!" - ამას ვიქტორ-მარი ჰიუგო ბრძანებდა, ადამიანი, რომელმაც მთელი XIX საუკუნის მანძილზე თავისი ქვეყნის ჭირ-ვარამით იცხოვრა და იმის მიუხედავად, რომ დიდხანს იძულებით ლტოლვილად იქცა საფრანგეთიდან და ბავშვობის დიდი ნაწილიც ესპანეთში გაატარა, მას მაინც სამართლიანად უწოდა ერთმა ბიოგრაფმა XIX საუკუნის "საფრანგეთის ტყუპისცალი."

ეროვნული ბიბლიოთეკა

1885 წელს, 83 წლის ჰიუგოს უკანასკნელ გზაზე 3 მილიონი თვალცრემლიანი ფრანგი მიაცილებდა.

გენიოსთა შერკინება

თითქმის ყველა გენიოსს, ერთი საერთო აქვთ ხასიათში: საშინლად არ უყვართ ერთმანეთის შექება. ამ მხრივ განსაკუთრებით მიქელანჯელო გამოირჩეოდა. მისი მძიმე ხასიათის შედეგი იყო მისივე მეგობრის ტორიჯანის მიერ მისთვის დამახინჯებული ცხვირი და ეს იმიტომ, რომ მისი ნამუშევრის ნახვისას ორიოდე თბილი სიტყვა ვერ გაიმეტა შესაფასებლად, უფრო მეტიც დასცინა. ერთხელ დასცდა კომპლიმენტი, ისიც რაფაელის ნამუშევრზე: თავად გავიმეორო ის, რაც არის არ მინდა, არადა უკეთესის შექმნაც არ შემიძლიაო.

ცნობილია, რომ ლეონარდო ასაკით უფროსი იყო მიქელანჯელოზე. მის აღზევებას ცოტა არ იყოს შურით უყურებდა დიდი ხელოვანი. ერთხელაც მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა: „იცი რა ყმაწვილო, შენ ჯერ დაბადებული არ იყავი, რომ მე უკვე ცნობილი ვიყავი.“ მერე რა, უპასუხა მიქელანჯელომ, „სამაგიეროდ შენი სიკვდილის შემდეგ გავხდები აღიარებული.“ და კიდევ, მისი ენამწარე პასუხიდან: „თქვენ იცით, ჩვენ შორის რა განსხვავებაა? მე რაც არ ვიცი, იმას ვსწავლობ, ხოლო თქვენ, რაც იცით, ისიც გავიწყდებათ.“

ბრძოლა მოიგო, მაგრამ წააგო ომი

აღა-მაჰმად ხანმა, 1795 წლის 11 სექტემბერს, მართალია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრწანისის ბრძოლა მოიგო, მაგრამ წააგო ისტორიული ომი საქართველოსთან, ოცდახუთი საუკუნე რომ გრძელდებოდა.

ბრძოლა რომ არ ასწავლო...

ცნობილი ბერძენი კანონმდებელი ლიკურგე თავის თანამოქალაქე სპარტელებს ურჩევდა ერთსა და იმავე მტერზე ხშირად არ ელაშქრათ, რათა უკანასკნელნი თავდაცვაში არ გაწაფულიყვნენ. ამიტომ იყო, რომ შემდგომშიო, - წერს პლუტარქე, - მეტისმეტად კიცხავდნენ მეფე აგესილაეს, რომელმაც ბეოტიაში ხშირი ლაშქრობებითა და თავდასხმებით თებელები, სპარტელთა დარი მეომრები გახადა. თებელებთან ომში დაჭრილი აგესილაე რომ იხილა, სპარტელმა სახელმწიფო მოღვაწემ ანტალკიდამ, უთხრა:

-კარგი ჯილდო კი მიიღე თებელებისაგან, რომელთაც მაშინ ასწავლე ბრძოლა, როცა ეს არ უნდოდათ და არც იცოდნენ.

როცა ბგერები თავისუფალია

„მართალია სიტყვები შებორიკილია, მაგრამ ბგერები, ბგერები ხომ, საბედნიეროდ, თავისუფალია!“ - თქვა ბეთჰოვენმა მეტერნიხისეულ ვენაზე.

„საცოდავ დამონებულ იტალიას ლაპარაკი ეკრძალება და მას მხოლოდ მუსიკით შეუძლია თავისი გრძნობების გადმოცემა,“ - წერდა ჰაინე.

მაძინი 1848 წელს ჯუზეპე ვერდის წერდა: „რასაც მე და გარიბალდი ვაკეთებთ პოლიტიკაში, რასაც ჩვენი საერთო მეგობარი მანძონი აკეთებს პოეზიაში, ამასვე აკეთებთ თქვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკაში. ჩვენ ყველანი, როგორც შეგვიძლია ისე ვემსახურებით ხალხს და იტალიას.

ისევე როგორც ავსტრიელებისგან თავმოყვარეობა შელახულ იტალიელებს, რუსეთის იმპერიაში სასტიკი ეროვნული ჩაგვრის პირობებში პოლონელ ხალხს თავისი ნაციონალური ერთიანობის შენარჩუნება მხოლოდ ეროვნული კულტურის მეშვეობით შეეძლო.

ისეთმა გამჭრიახმა მუსიკოსმა, როგორიც შუმანი იყო, უმალვე შეაფასა შოპენის შემოქმედების პატრიოტული შნაარსი, უწოდა რა მის ნაწარმოებს ,,ყვავილებში დამალული ზარბაზნები."

,,ჩრდილოეთის მძლავრმა თვითმპყრობმა მონარქმა, რომ იცოდეს, თუ რა საშიში მტერი ემუქრება მას შოპენის ნაწარმოების, მისი მაზურკების უბრალო მელოდიების სახით, იგი აკრძალავდა მის მუსიკას"....წერდა დიდი გერმანელი კომპოზიტორი.

ბეთჰოვენის შურისძიება

1804 წლის მარტში ბეთჰოვენმა დაასრულა სიმფონია და ხელნაწერის თავფურცელზე გამოჩნდა სათაური: ,,დიდი" სიმფონია....ბონაპარტე.

თუმცა არის მოსაზრებაც, რომ კომპოზიტორმა მეცხრე სიმფონია ქართველ მეფეს, ერეკლე მეორეს მიუძღვნა და მის თავდაპირველ მიძღვნა-წარწერაში მითითებული ყოფილა: ,,ეძღვნება აღმოსავლეთის ნაპოლეონს".

ბეთჰოვენის ეს ნაბიჯი გასაკვირად სულაც არ მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ დაუმარცხებელი მხედართმთავრის მიმართ პატივისცემით იყვნენ განწყობილნი როგორც კავკასიის, ასევე აღმოსავლეთის ხალხები. შემონახულია კიდეც ფრიდრიხ დიდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვები: ქვეყანაზე ახლა ორი სარდალია: დასავლეთში მე და აღმოსავლეთში ერეკლე მეფეო.

შემონახულია საქართველოში მოღვაწე ფრანცისკელი ბერის ბონიფაციუს ებერჰარდტის წერილები, რომელიც მან დიდ კომპოზიტორს (ბეთჰოვენი და ებერჰარდტი მეგობრები იყვნენ) გაუგზავნა და საქართველო, ქართველი ხალხის მდგომარეობა კიდევ უფრო ახლოს გააცნო: ,,ძმაო ლუდვიგ, რომ იცოდე, რა გმირი ხალხია ქართველები და როგორ ვაჟკაცურად იტანენ ტანჯვას, რომელიც უფალმა რუსთა ბატონობის სახით მოუვლინა მათ. ქართველების ქვეყანა ოდესღაც ჰყვაოდა, მეფენი მისნი იყვნენ ბრძენნი და ძლევამოსილნი. უკანასკნელი მათგანი იყო დიდი კახი - ერეკლე მეორე.

...ძალზე გამახარა იმ ამბავმა, რომ რომ ირაკლიზე, რომელსაც ჩვენმა მეგობარმა მათიამ ,,აღმოსავლეთის ნაპოლეონი" უწოდა, სიმფონიის შექმნა გქონია განზრახული და კიდევაც შესდგომიხარ მუშაობას..."

მუშაობის დასრულების შემდეგ ბეთჰოვენს მართლაც, წაუწერია სიმფონიისთვის ,,ეძღვნება აღმოსავლეთის ნაპოლეონს", მაგრამ ეს ევროპაში ბევრისთვის გაუგებარი ყოფილა და ,,აღმოსავლეთის" ამოუღიათ. დარჩენილა ,,ეძღვნება ნაპოლეონს."

მაგრამ, როდესაც ვენის მცხოვრებლებმა გაიგეს, ნაპოლეონის იმპერატორად გვირგვინკურთხევის ამბავი, გაკვირვებულები ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

-,,განა დასანანი არ არის, ბონაპარტე იყო და იმპერატორობას თანხმდებოდე?

ბეთჰოვენმა, ,,რევოლუციის გმირის" ღალატით აღშფოთებულმა, თავფურცელი დახია, ხოლო ახალფურცელზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინანდელი სათაურის ნაცვლად გამოჩნდა მოკლე წარწერა „Eroica" („გმირული").

ცნობილი ფაქტია, რომ ამჟამად ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიაზე ერთადერთი წარწერა "გოლიათური" არის მხოლოდ დარჩენილი.

გენიოსები ხალხს უკეთ ცნობენ

ერთხელ, როდესაც ხალხი აღფრთოვანებას ვერ მალავდა ნაპოლეონის დანახვაზე და ის მათ გულგრილად შეჰყურებდა, დაახლოებულმა პირმა ვეღარ მოითმინა და ჰკითხა: „განა არ გიხარიათ ხალხის ასეთი ენთუზიაზმი, ნუთუ არ გსიამოვნებთ მათგან ამოდენა სიყვარულის გამომჟღავნება?" არაო, უთქვამს ნაპოლეონს, ხალხი ასეთივე ინტერესითა და ყიჟინით გამომეკიდებოდა, ეშაფოტზე რომ მივყავდეთო!"

ცხოვრების წესად ქცეული

როცა ცხოვრების წესად გვაქვს ქცეული, ერთს ვფიქრობდეთ, მეორეს ვლაპარაკობდეთ და მესამეს ვაკეთებდეთ, რაც სხვა ხალხთა კულტურებში წარმოუდგენელია. იქნებ მისი ახსნა ეთნოფსიქოლოგებს მივანდოთ, რათა გაერკვნენ მიზეზებში ჩვენი ისტორიის ლაბირინთებში რომ იძებნება.

მანამდე კი საქმიანი ურთიერთობის დასამყარებლად ან კომუნიკაციისათვის იქნებ გვახსოვდეს შესანიშნავი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის პერსონაჟებისთვის დამახასიათებელი „გულწრფელობით" უცხოელს, განსაკუთრებით ევროპელს, ნურასოდეს ვეტყვით, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,აღფრთოვანებული ვართ მისი გაცნობით," ან კიდევ ,,გელით საქართველოში," რადგან ის პირდაპირი მნიშვნელობით აღიქვამს ნათქვას და აუცილებლად გვესტუმრება, სიტყვას ხომ არ გატეხს.

რა უნდა გავაკეთოთ, როცა ერთია ბრბოც და ტირანიც?

1793 წლის დეკემბერში, სორბონის ეკლესიის მარმარილოს აკლდამიდან 150 წლის წინ გარდაცვლილი კარდინალ რიშელიეს ნეშტი ამოაგდეს, ნაწილ-ნაწილ დაჩეხეს და პარიზის ქუჩებში ათრიეს.

არაფერი არ არის ისე საშიში, როგორც ხალხის ბრბოდ აზვირთება. გავიხსენოთ, რომ ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე სწორედ ბრბოს მოთხოვნით იქნა დასჯილი, ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ილიას მკვლელობა. მისი მკვლელებიც ბრბოს წაქეზებითა და დასტურით მოქმედებდნენ.

ამიტომ რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ თავისუფალი მოქალაქეები შევქმნათ, საკუთარ თავში მონა რომ მოვკლათ?

ბაირონის ნატვრაც ხომ ეს იყო:

,,მე მომავალი ასეთი მსურს ამა ქვეყნისა -

,,თავისუფალი ბრბოსგან ისე, როგორც მეფისგან."

თაიგული ტყვე გენერლისათვის

მტერი ჯოჯოხეთური ცეცხლით დახვდა შეტვაზე გადასულ რუს მეომრებს, მაგრამ ისინი ბაგრატიონის მეთაურობით ნიაღვარივით მიიწევდნენ წინ. ხელჩართული ბრძოლა ხუთ საათს გაგრძელდა, შევიწროებულმა ფრანგებმა უკან დაიხიეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარე ტრებიას მარჯვენა ნაპირზე გამაგრდნენ. რუსებმა ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი: 16 ქვემეხი, საკმაო რაოდენობის პროვიანტი, ორი დროშა, ხუთასამდე ტყვე, მათ შორის გენერალი ლეკურბი. ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ დადებითად გადაწყდა ტყვეების გაცვლა ფრანგებსა და რუსებს შორის.

ის დღეც მზიანი გათენდა. ტყვეების გაცვლა თითქმის შუადღემდე გაგრძელდა. ყველას უკვირდა, რომ სუვოროვმა გენერალი ლეკურბი არავისზე არ გადაცვალა. იგი ისევ ტყვეობაში დარჩა. განცვიფრებული და იმედგაცრუებული მამაცი ფრანგი გენერალი გაქვავებული იდგა ერთ ადგილზე. მის ნაღვლიან თვალებში ადამიანი მხოლოდ კითხვასა და გაკვირვებას თუ ამოიკითხავდა.

უცებ ყველასათვის მოულოდნელად სუვოროვი ალერსიანი ხმით შეეკითხა ლეკურბს:

-გყავთ თუ არა მეუღლე გენერალო?

-კი. - ლეკურბს კიდევ უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ სუვოროვი უკვე შორს იყო, იგი ციცაბო კლდეზე გადაეკიდა და ყვავილებს ჰკრებდა.

ყვავილები პატარა თაიგულად შეკრა, ლეკურბთან მივიდა და მომღიმარი სახით გაუწოდა თაიგული.

გთხოვთ, ნიშნად პატივისცემისა, გადასცეთ ჩემგან თქვენს მეუღლეს.

ლეკურბმა მოწიწებით გამოართვა თაიგული, თავი დახარა სუვოროვის წინაშე და ძლივს წარმოთქვა: - გმადლობთ, ფელდმარშალო, ეს ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდოა, რომელიც ოდესმე მღირსებია, - ლეკურბს თვალები აუწყლიანდა, ამბობენ ეს ლეკურბის პირველი და უკანასკნელი ცრემლები იყოო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპა ვართ თუ აზია?

საქართველო ევროპაა თუ აზია? ამ შეკითხვაზე ვერც უცხოელები იძლევიან ერთმნიშვნელოვან პასუხს. აზროვნების მანერა აქ დასავლურია, ხოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში თვალშისაცემია აღმოსავლურ ელემენტთა სიჭარბე - ასეთია ჩვენში სტუმრად ჩამოსულ უცხოელთა პირველივე შთაბეჭდილება.

ევროპა ვართ თუ აზია? ეს საკითხი ჩვენი ინტელიგენციისათვის ინტენსიური რეფლექსის საგანი გახდა მეოცე საუკუნის დასაწყისიდანვე, ანუ იმ დროიდან, როცა რეალური შეიქმნა რუსეთის იმპერიიდან თავდაღწევის შესაძლებლობა და ევრაზიის საზღვარზე მდებარე ჩვენი ქვეყნის მომავალი ორიენტაცია დადგა დღის წესრიგში.

ჩვენი საუკუნის ათიან და ოციან წლებში ამ პრობლემას დასტრიალებდა თავს მაშინდელ ქართველ ინტელიგენტთა ახალგაზრდა თაობის აზრი - ამაზე სერიოზულად ფიქრობდნენ და წერდნენ კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, აკაკი პაპავა და მრავალი სხვა მათი თანამედროვე.

აქ დასახელებულ ავტორთაგან ერთნი მთლიანად დასავლეთისაკენ იყვნენ მიმართულნი და ქართული კულტურის ხსნას ევროპულ ორიენტაციაში ხედავდნენ. გერონტი ქიქოძის აზრით, ,,ევროპულმა კულტურამ უცილობლად დაამტკიცა თავისი უპირატესობა...თუ აქამდე კულტურული იდეები გვაკლდა, ეს იმით აიხსნებოდა, რომ ჩვენს ქვეყანასა და დასავლეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპას შორის გარდაუვალი ბუნებრივი და სოციალური ზღუდეები იყო აღმართული."

დიამეტრულად განსხვავებულ პოზიციაზე იდგა ვახტანგ კოტეტიშვილი: ,,ევროპამ შეგვშალა და, ალბათ, წაგვშლის კიდეც, თუ ასე გაგრძელდა. აზიაში მყოფნი ევროპიდან ვუმზერთ აზიას. ამიტომ ჩაგვიქრა, შემოქმედება, მკვდარ მიმბაძველობამ კი დაგვასნეულა. ასე იყო და არის, ასე ვეღარ გაგრძელდება...დევიზი: უკან აზიისაკენ, წინ წასასვლელად."

ვახტანგ კოტეტიშვილს დავესესხები და სათქმელს ასე ვიტყოდი ჩვენი უბედურება ისიც არის, რომ ,,აზიაში მყოფნი ევროპიდან ვუმზერთ აზიას" და ,,ევროპაში მყოფნი აზიიდან ვაკვირდებით ევროპას."

უფრო მრავალრიცხოვანი მომხრე ჰყავდა იმ თვალსაზრისს, რომ საქართველოში ოდითგანვე ევროპული და აზიური კულტურების ორგანული სინთეზი ხორციელდებოდა და მომავალშიც ამ გზით უნდა ვიაროთ. ამ პოზიციის გამომხატველი იყო ტიციან ტაბიძის ფორმულა - ,,ჰაფიზის ვარდი მე პრუდონის ჩავდე ვაზაში." ამ მოსაზრებას იზიარებდნენ კონსტანტინე გამსახურდია და გრიგოლ რობაქიძე. გრიგოლ რობაქიძის სიტყვით, ,,ძვირფასია დასავლეთ ევროპა, მაგრამ ევროპისათვის აღმოსავლეთს ვერ დავსთმობთ. უმჯობესი იქნება მათი ქორწილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ...და საქართველოც თითქო ამისთვისაა შობილი, აბა დააკვირდით რუსთაველს: განა მან არ შეჰკრა სინთეზი აღმოსავლეთის დაჩრდილული ფიქრისა და იტალიის აშადრევნებული რენესანსის გაქანებისა!."

ქართული კულტურა და ქართული მენტალიტეტი არასოდეს ყოფილა და, ალბათ, არც არასოდეს იქნება წმინდად ევროპული, ან წმინდად აზიური. ჩვენთვის არ არის უცხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპული იდეალები, მაგრამ უცხო იყო და, ალბათ უცხო დარჩება ევროპული რაციონალიზმი და ტექნიციზმი.

ჩვენთვის არ არის უცხო აღმოსავლეთის კულტურული ფასეულობანი, მაგრამ უცხო იყო და, ალბათ, უცხო დარჩება აღმოსავლური მისტიზიცმი და ფანატიზმი.

ამ უკიდურესობათაგან თავისუფალი ქართული სული დასავლურ და აღმოსავლურ ორიენტაციებს შორის მანევრირების უნიკალურ უნარს ამჟღავნებს, და, ვინ იცის, იქნებ იგი მართლაც გამოდგეს ურთიერთდაპირისპირებულ ევროპულ და აზიურ კულტურათა შემაერთებელ ხიდად; იქნებ მართლაც გამოვდგეთ იმის მაგალითად, თუ როგორ შეიძლება დასავლეთისა და აღმოსავლეთს შორის არსებული წინააღმდეგობის დაძლევა არა მარტო დიდი მოაზროვნეებისა და ჰუმანისტების (გოეთე, აბულ-ფარაჯი...), არამედ რიგითი ადამიანების დონეზეც. მგონი, მსოფლიოს მომავალიც აქეთკენ მიდის...(გავიხსენოთ ლადო ასათიანის სტრიქონები ლექსიდან ,,სპარსელ ასულს": ,,მე წამოვდგები, ცის ლაჟვარდებში კვლავ აინთება ვარსკვლავთ ჭავლეთი, მე ხელებს გავშლი და შეერთდება, დასავლეთი და აღმოსავლეთი")

ღმერთის იმედი იქონიე და
თვითონაც ხელი გაანძრიე!

პოლონელების საყვარელი ანეგდოტია: ,,წარღვნაა. ერთ ღვთისმოსავ მოხუცს წყალმა სახლის ქვედა სართული დაუფარა. მივიდნენ მაშველები, წასვლაზე მან უარი უთხრა. მეორე დღეს კიდევ მივიდნენ მაშველები, მოხუცი სახურავზეა. მან კვლავ უარით გაისტუმრა ისინი - მე ღმერთი მიშველისო. მესამე დღეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მივიდნენ, ის უკვე დამხვრჩალი ნახეს. ზეცაში მიცვალებული ღმერთს შეხვდა და საყვედური უთხრა: მე მჯეროდა შენი, შენ კი მომკალი.

მაგრამ მე ხომ სამჯერ გამოგიგზავნე მაშველი - გაიკვირვა ღმერთმა.

არარაისგან არ იქმნება არც არაფერი

დასავლეთ ევროპის კულტურულ ცხოვრებაში რენესანსმა თავისებური რევოლუცია მოახდინა. რენესანსი ესაა ანტიკური მემკვიდრეობის, ადამიანური საწყისების აღორძინება, რომელმაც დაამსხვრია ძველი, შუასაუკუნოებრივი ფასეულობების სისტემა და ჩამოაყალიბა ახალი შეხედულება ადამიანის პიროვნებაზე.

როდის დაიწყო რენესანსი ევროპაში? ზოგჯერ თარიღს ასახელებენ თვისა და რიცხვის მითითებითაც კი, რომ იგი დაიწყო 1341 წლის 8 აპრილს, აღდგომა დღეს. ამ დღეს ქალაქ რომის სენატორმა კაპიტოლიუმის ბორცვზე დაფნის გვირგვინი გადასცა პოეტს ფრანჩესკო პეტრარკას. ამით შედგა პოეტების დაჯილდოების ის ცერემონიალი, რომელიც ანტიკურ წარსულში იყო დაწესებული და რამდენიმე საუკუნის მანძილზე არ სრულდებოდა. ამ ტრადიციის აღორძინებით მართლაცდა, ეპოქალური მნიშვნელობის ხანა დაიწყო.

ადამიანებმა, რომლებმაც შეისწავლეს ძველი ანტიკური ხელოვნება და მიაწოდეს საზოგადოებას, ეწოდათ ჰუმანისტები. მათი შემოქმედების გაცნობით შეგვიძლია შევიმეცნოთ ახალი ადამიანის დაბადება.

შემთხვევითი არ იყო, რომ ჰუმანისტების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ადამიანი, ვინაიდან მათთვის მთავარი გახდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ზეციური, არამედ მიწიერი ღირებულებები. გავა დრო და იაკობ ბურკჰარტი იტყვის: ,,რენესანსი საიქიო ცხოვრების სააქაოს გადმოტანაა."

სიცოცხლეში ჰუმანისტები ზრუნავდნენ, რომ სიკვდილის შემდეგ მიეღწიათ არა იმდენად იმქვეყნიური ნეტარებისათვის, რამდენადაც ამქვეყნიური მარადიული დიდებისათვის. მათთვის საოცნებო იყო უნივერსალური, სრულყოფილი ადამიანი.

ერთ-ერთი ჰუმანისტი წერდა: ,,რა დიდი სასწაულია ადამიანი"! ამ ჰუმანისტის აზრით, ადამიანის ღირსება იმაში იყო, რომ მას არ გააჩნდა გარკვეული ადგილი სამყაროში, რომ თავის ბედ-იღბლის პატრონი თვითონ იყო და შეეძლო დამდგარიყო, როგორც ანგელოზზე უფრო მაღლა, ისე პირუტყვზე უფრო დაბლაც.

ჰუმანისტი შეიძლებოდა გამხდარიყო ნებისმიერი ადამიანი დამოუკიდებლად თავისი წოდებრივი კუთვნილებისა თუ სოციალური მდგომარეობისა. იტალიელ ჰუმანისტთა შორის იყვნენ მეწარმეებისა და ჰერცოგების შვილები, ხელნაწერთა გადამწერები და რომის პაპები, ვაჭრები და მხედართმთავრები, სახელმწიფო მმართველები და პოეტები.

ჰუმანიზმი იტალიაში თავდაპირველად ჩაისახა საზოგადოების უმაღლეს წრეებში და შემდეგ გავრცელდა მოსახლეობის ფართო ფენებში.

იტალიური ჰუმანიზმის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი პეტრარკა, ისევე როგორც ბოკაჩო და მისი უფროსი თანამედროვე დანტე ალიგიერი, ფლორენციელია. თუმცა დაიბადა არა უშუალოდ ფლორენციაში, არამედ ქალაქ არეცოში, ფლორენციასთან ახლოს. დანტე დევნილი იყო, პეტრარკა დევნილის შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იყო შემთხვევითი, რომ აღორძინება დაიწყო ფლორენციაში და შემდეგში ნელ-ნელა მოედო მთელს იტალიას. თავი და თავი ამ ყველაფრის კი ის იყო, რომ 150 წელი არსებობდა ფლორენციის ბურჟუაზიული რესპუბლიკა, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში თავისუფლების იდეით კვებავდა თავის შვილებს.

აკი წერდა გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი იპოლიტ ტენი ,,ხელოვნების ფილოსოფიის" მკითხველისათვის: ,,მწერლობა, ფერწერა თუ ქანდაკება ეპოქის იდეებით საზრდოობს, ეპოქის იდეებით სუნთქავს. ისე ვერ შეიქმნება ხელოვნების ვერც ერთი მშვენიერი ნაწარმოები, მშვენიერი ქმნილება."

,,გაივსეთ თქვენი გონება და გული, რაგინდ ფართოც არ უნდა გქონდეთ, თქვენი საუკუნის იდეებით და გრძნობებით და ხელოვნების ნაწარმოებიც გაჩნდება." - წარმოთქვა დიდმა გოეთემ.

თუ რა შინაარსი შეიძლებოდა ჰქონოდა ამ ნათქვამს ამ სიტყვებითაც გავიგებთ:

,,ცხადია, ვინც ტირანს ჰკლავს, იგი კაცის მკვლელად არ ჩაითვლება, რადგან იგი კაცს როდი ჰკლავს, არამედ ნადირს. ამიტომაც ბრუტუსსა და კასიუსს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ, როცა მათ ცეზარი მოჰკლეს, რადგან მათ ადამიანი როდი მოუკლავთ, არამედ მხეცკაცი." - ამას წერს აღორძინების ხანის დიდი ხელოვანი მიქელანჯელო, რომელიც თავისუფლების იდეით შთაგონებული მთელი თავისი ხანგძლივი სიცოცხლის მანძილზე წინდანებს, ღვთისმშობელს, მოციქულებსა და ღმერთს ხატავდა.

ან ვირი მოკვდება, ან მოსამართლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნული ხასიათი ჰომეროსის დროიდან მოყოლებული უფრო შეზოფრენულია. ფართო გასაქანს აძლევენ ემოციას და შედეგზე ნაკლებად ფიქრობენ. მაგალითად ადმირალი მიაულისი, რომელმაც მე-19 საუკუნეში უკმაყოფილომ მთავრობით დაწვა ბერძნული ფლოტი.

ყველა ბერძენის ოცნებაა, გამდიდრდეს თითის გაუნძრევლად. მათი საყვარელი სადღეგრძელოა: ,,გაუშვი დიდხანს ნუ ვიცოცხლებ, მაგრამ გვეცხოვროს სავსე ცხოვრებით."

ბერძნებს ქართველების მსგავსად შეუძლიათ მთელი ფული სიამოვნებისთვის დახარჯოს და თქვას ,,ღმერთი მოგვცემს"? ამასთან დაკავშირებით თავად ბერძნები ყვებიან ასეთ ანეგდოტს: ,,თურქთა ბატონობის დროს, ერთმა ბერძენმა მოსამართლესთან სანაძლეო დადო, რომ ერთ წელიწადში თავის ვირს ასწავლიდა კითხვას და წერას, სანაცვლოდ მიიღებდა 1000 ოქროს, მაგრამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში თავს მოკვეთდნენ. ბერძენმა ფული აიღო, შეირთო ლამაზი ქალი და სიმდიდრეში დაიწყო ბედნიერი ცხოვრება. ერთ დღესაც მისი ბედით შეწუხებულმა მეგობარმა ჰკითხა: კი, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია, როგორ აპირებ პირობის შესრულებას? პასუხი: ერთი წლის შემდეგ ან ვირი მოკვდება, ან მოსამართლე, ორივე ხომ ბებერია.

ხასიათის ხალხი

ცნობილია, რომ ბერძნები ვერ იტანენ თურქებს, არა პიროვნულად, არამედ თურქეთს, როგორც კონცეფციას. წარსულს გუშინდელ დღესავით იხსენებენ და ოცნებობენ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე. მათი ეს დამოკიდებულება არცთუ სასიამოვნო მეზობლის მიმართ ანეგდოტებშიც აისახა. ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნული წარმოშობის ამერიკელი არიგებდა თავის სავიზიტო ბარათებს, რომელზეც ეწერა: ,,უმჯობესია საქმე მქონდეს ათასობით თურქთან, ვიდრე ერთ ბერძენთან.“ მისი ბარათის მეორე მხარეს კი ეწერა: ,,მაიკის დამკრძალავი ბიურო.“

სიცილითაც იცნობი

მითხარი რაზე იცინი და გეტყვი ვინ ხარ შენ. ასეა ერის შემთხვევაშიც. მისი ეთნიკური ხასიათი ყველაზე უკეთ მისსავე იუმორში ვლინდება.

ცნობილია, რომ ბერძნებს გასაოცარი იუმორის გრძნობა აქვთ... მაგალითად: ,,კითხვაზე თუ პონტოელმა მეძავმა ოცწლიანი მუშაობის შემდეგ რატომ მოიკლა თავი? პასუხია: იმიტომ, რომ გაიგო, რომ სხვებს ანალოგიური საქმიანობითვის ფულს უხდიან.

ბერძნების დამოკიდებულებაზე დროის მიმართ ანეგდოტების მთელი კასკადია. გთავაზობთ ერთ-ერთს: თვითმფრინავი უნდა დაფრინდეს ნიუ-ორკში, პილოტი ეკითხება დისპეტჩერს, ადგილობრივი დროის შესახებ. პასუხი: ,,თუ თქვენ დელტა ხართ დროა 14 საათი და ნულ-ნულ წუთი, თუ ეარ ფრანსი, უკვე 2 საათია, ხოლო თუ ,,ოლიმპიკ ეარლეისი“ - დღეს სამშაბათია.“

მაგრამ ეს უკვე ანეგდოტი კი არა ნამდვილი ამბავია: 1830 წელს საბერძნეთში პირველად შეიტანეს კარტოფილი. ნაფლიონის ხელისუფლებას უნდოდა მშიერი ოჯახებისათვის დაერიგებინა, რათა ხალხი შიმშილით სიკვდილისგან გადაერჩინა. ბერძნები კარტოფილს არ მიჰკარებიან, როგორც უცხოს და უჩვეულოს უნდობლად შეხედეს. მაშინ პოლიციის შეფმა ასეთ ეშმაკობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართა, დაუყენა შეიარაღებული დაცვა გუშაგად. მეორე დღეს იქ აღარაფერი დარჩა.

შვედების უცნაური მეფე

ეროვნებით ფრანგმა ახალგაზრდამ, კორონაციის დროს არ იცოდა შვედური ენა. ცნობილია 1810 წელს მისი გაგზავნილი წერილი საფრანგეთში: „ღვინო აქ საშინელია, ხალხი - უჟმური, „ტემპერამენტის გარეშე, მზეც კი აქ სითბოს არ გამოსცემს."

1844 წლის 8 მარტს, როდესაც მისი 30–წლიანი წარმატებული მეფობა დასრულდა, გარდაცვლილი შვედეთის მეფის კარლ–იოჰან მე–14-ის გვამზე მისმა პირადმა ექიმმა ტატუ აღმოაჩინა წარწერით: „სიკვდილი მეფეებს!". ეს ამბავი გახმაურდა და მაშინ გაახსენდათ, რომ კარლი ოდესღაც ნაპოლეონის არმიის მარშალი იყო, გვარად ბერნადოტი, რომელსაც მონარქია საშინლად სძულდა.

ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ ტრავასთან დატყვევებულ შვედ მეომრებთან ჟან ბატისტ ბერნადოტის ჰუმანურმა დამოკიდებულებამ მისი სახელი შვედეთში იმდენად პოპულარული გახადა, რომ შვედი მეფის კარლ XIII მიერ მოწვეულმა სახელმწიფო საბჭომ, რომელსაც ტახტის მემკვიდრე უნდა შეერჩია უშვილო მონარქისთვის, ერთსულოვნად გადაწყვიტა გვირგვინი ნაპოლეონის მარშალისთვის შეეთავაზებინა. ბერნადოტი დათანხმა. სანაცვლოდ მას ლუთერანობა უნდა მიეღო. 1810 წელს ნაპოლეონმა იგი გაათავისუფლა სამხედრო სამსახურიდან და უკვე 31 ოქტომბერს სტოკჰოლმში სახელმწიფო მოხელეთა წინაშე წარსდგა, 5 ნოემბერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი შვედეთის მეფემ იშვილა. ამ დროიდან ბერნადოტი რეგენტი გახდა, ფაქტიურად კი -- შვედეთის მმართველი.

ტახტის მიღების სანაცვლოდ, ბერნადოტმა რწმენასთან ერთად სამშობლოზეც თქვა უარი. 1812 წელს შვედეთის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მან შეწყვიტა საფრანგეთთან ყველანაირი ურთიერთობა და რუსეთის მოკავშირე გახდა. 1813–1814 წელს შვედეთის ჯარით ის თანამემამულეების წინააღმდეგ იბრძოდა მეექვსე ანტინაპოლეონურ კოალიციაში და დიდი წვლილი შეიტანა ფრანგთა იმპერატორის დამარცხებაში.

1818 წელს ბერნადოტი შვედეთის სამეფო ტახტზე ავიდა კარლ XIV იუჰანის სახელით და გახდა ბერნადოტების დინასტიის დამაარსებელი, რომელიც დღესაც ერთგულად ემსახურება შვედ ხალხს.

უფლისწული და ზარბაზნები

რუსეთის იმპერატრიცას, ეკატერინე მეორეს, სურდა, რომ თავისი შვილიშვილი და ტახტის მემკვიდრე, ალექსანდრე, ბავშვობიდანვე გაწაფულიყო სამხედრო საქმეში. ამ მიზნით, სხვა ღონისძიებათა შორის, რომელნიც მიზნად ისახავდნენ პატარა უფლისწულის დიდ მხედართმთავრად ჩამოყალიბებას, ერთ-ერთი იყო - ალექსანდრეს გაღვიძებისთანავე, სისხამ დილით ზარბაზნების დაქუხება.

ეკატერინესათვის მოულოდნელად, ზარბაზნების ყოველდღიურმა ზალპებმა სხვა შედეგი გამოიღო: უფლისწული თითქმის დაყრუვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ სურთ ხელისუფლებაში ყოფნა

მაგალითი პირველი:

როდესაც იმპერატორმა გალბამ, ყველასათვის მოულოდნელად, თავის მემკვიდრედ ოტონი კი არა, პიზონი დანიშნა, პირველმა გადაწყვიტა შეთქმულება მოეწყო.

სვეტონიუსი წერს, რომ შეურაცხყოფის გარდა, ოტონს ამ ნაბიჯისაკენ უბიძგა აუარებელმა ვალებმა, რომელშიც იგი იყო ჩაფლული.

იგი ამბობდა კიდეც ხმამაღლა: - თუ მე იმპერატორი არ გავხდები, განა სულერთი არ არის, ბრძოლაში მტრის ხელით მოვკვდები, თუ მევალე-კრედიტორების მიერო?

მაგალითი მეორე:

1921 წლის თებერვალში, როცა საბჭოთა რუსეთმა განახორციელა საქართველოს ოკუპაცია. უკვე ყოფილი დამოუკიდებელი ქვეყნიდან გაქცეულ სოციალ-დემოკრატთა მინისტრებს, რომელთა პარტიამაც ილია ჭავჭავაძის იდეური მკვლელობა შეამზადა, საკუთარ კაბინეტებში ფქვილის ტომრები დარჩათ...

ესეც საოცრად სიმბოლურია!

ეკლესიას თურმე უპაპოდ არსებობაც შეუძლია

855-858 წლებში, რომის პაპის ტახტზე, ყველასათვის მოულოდნელად, აღმოჩნდა ქალი - ინგლისელი იოანა. პაპობის ისტორიაში ქალის მოხვედრა კათოლიკური ეკლესიის სათავეში ერთადერთი შემთხვევა იყო და მის დამალვას გულმოდგინედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდილობდნენ ეკლესიის მამები, მაგრამ ისტორიას არაფერი დაემალება. ფაქტი ფაქტად დარჩა. პაპის ტახტი 2 წელი და 7 თვე ეკავა ქალს, რომელმაც თავის მსახურთან შესცოდა. კონსტანცის საეკლესიო კრებაზე იან ჰუსმა განაცხადა: ეკლესიას შეუძლია უპაპოდ არსებობა, რაკი ორნახევარი წელიწადი მის ტახტზე ქალი იჯდაო. კრებაზე მყოფი 22 კარდინალი, 49 ეპისკოპოსი და 272 ღვთისმეტყველი ამ გამანადგურებელ სიტყვებს სამარისებული სიჩუმით შეხვდა. თვით თანამედროვეებმა კი მამაკაცურად გამოწყობილ პაპში ქალი მხოლოდ მაშინ შეიცნეს, როცა იოანამ, ერთ-ერთი საზეიმო პროცესიის დროს, პირდაპირ შუა ქუჩაში შვა ბავშვი, ხოლო თვითონ იქვე გარდაიცვალა.

რადგან საეკლესიო კანონის თანახმად, პაპი უნდა იყოს მხოლოდ მამაკაცი. მე-11 საუკუნიდან სავალდებულოდ ერთი ასეთი უხერხული ცერემონიალი შემოიღეს: ახლად არჩეულ პაპს ზეიმის დროს სვამდნენ საგანგებოდ გახვრეტილ მარმარილოს სავარძელში, რათა ხალხი დარწმუნებულიყო, რომ პაპი მამაკაცია. მას ორი ექიმი შეამოწმებდა და შესძახებდა: „ჰქონია ტესტიკულებიო!“ ამაზე ხალხი და სამღვდელოება იგრიალებდა: „მადლობა უფალსო!“

პაპობის ისტორიიდან კიდევ ერთი ეპიზოდიც გავიხსენოთ, რომელიც შესაძლოა ყველამ არ იცოდეს. მე-15 საუკუნეში ბესტსელერი წიგნი იყო ეროტიკული ნაწარმოები "ორი საყვარლის ამბავი," რომელსაც დღესაც კითხულობენ.

გასაკვირია, მაგრამ მისი ავტორი გახლავთ აენეს სილვიო პიკოლომინი, ისტორიაში ცნობილი, როგორც რომის პაპი პიუს II.

რა არის სახიფათო და რა სასარგებლო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სახიფათოა, - ამბობდა პასკალი, - აშკარად დაანახო ადამიანს მსგავსება ცხოველთან და იმავდროულად სიდიადეზეც არ მიუთითო. ასევე საძრახისია, მას მხოლოდ სიდიადე ჩააგონო და არაფერი უთხრა ქვენა გრძნობებზე. მაგრამ უფრო მეტად საძრახისია, თუ არაფერი იცის არც ერთსა და არც მეორეზე.

სასარგებლოა, რომ ერთიც ახსოვდეს და მეორეც."

როგორ იქცევიან, როცა ერბო-კვერცხის შეწვა სურთ?

რუსეთის იმპერატორს პავლე პირველს 1801 წელს შეთქმულები შეუვარდნენ ოთახში. ერთ-ერთი მათგანი - იაკობ სკარიატინი შარფით ცდილობდა მის მოხრჩობას... მკვლელობის აქტი გაჭიანურდა. განწირული იმპერატორი წინააღმდეგობას განაგრძობდა. მაშინ ბარონმა ლეონტი ბენინგსენმა მძიმე საგანი ჩაარტყა თავში საცოდავ იმპერატორს და წამოიძახა: ჩვენ ძალიან შევტოპეთ იმისათვის, რომ უკან დავიხიოთ, როცა ერბო-კვერცხის შეწვა სურთ, საჭიროა კვერცხის გატეხვა."

გაუბედავი თხოვნა

ოცდაათიან წლებში სტალინმა მოიწვია დიდი კინომატოგრაფისტები და ჰკითხა, თუ რა სჭირდებოდათ მათ ნორმალური მუშაობისათვის: „ითხოვეთ, ნუ მოგერიდებათ, ვეცდებით დაგეხმაროთ."

რომმა დაიჩივლა, რომ მთელი ოჯახი ერთ პატარა ოთახშია შეყუჟული, ცოლი ავადმყოფობს, სჭირდებათ ბინა.

-კარგი, გექნებათ ბინა. - თქვა სტალინმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუდოვკინმა კი განუმარტა, რომ მას მხოლოდ ქალაქგარეთ შეუძლია ნორმალური მუშაობა, ამიტომ სჭირდება აგარაკი.

-კარგი, გექნებათ აგარაკი, - დაჰპირდა სტალინი.

პირაევმა თქვა, რომ მას აქვს აგარაკი, მაგრამ იქამდე ძნელი მისასვლელია, გზაში ძლიერ იღლება, რაც ხელს უშლის მუშაობაში, ამიტომ უნდა მანქანა.

ალექსანდროვმა გაიცინა და დასძინა:

-მე ისეთი დიდი თხოვნა მაქვს, ვერც კი გამიბედავს მისი გამხელა.

-თქვით, თქვით, ნუ გერიდებათ, - გაამხნევა სტალინმა.

-ამხანაგო სტალინ, თავს ბედნიერად ჩავთვლიდი, რომ მიმეღო თქვენი წიგნი „ლენინიზმის საკითხები“ თქვენი ავტოგრაფით.

-კეთილი, მიიღებთ წიგნს ავტოგრაფით, - უპასუხა სტალინმა.

-ალექსანდროვმა მართლაც მიიღო ავტოგრაფიანი წიგნი... ბინის, მანქანის და აგარაკის დამატებით.

უცნაური გადასახადები

უცნაური გადასახადები ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. მაგალითად, რომის იმპერატორმა ვესპასიანემ, პირველ საუკუნეში, რომაელებს საზოგადოებრივი ტუალეტებით სარგებლობისთვის დაუწესა გადასახადი, ხოლო შვილს, რომელსაც ტუალეტებით გამდიდრება სამარცხვინო "ბიზნესად" მიაჩნდა, ცხვირთან ოქროს ფული მიუტანა და ჰკითხა: უსიამოვნო სუნი ხომ არ უდისო? ამ დროიდან დამკვიდრდა ფრაზა: "ფულს სუნი არ აქვს," რომლითაც სიმდიდრის მოხვეჭის ნებისმიერ ხერხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამართლებენ.

იმავე რომში, მონათმფლობელები მონის გათავისუფლებისათვის იბეგრებოდნენ, რაც საბოლოო ჯამში კიდევ უფრო ზრდიდა გამოსასყიდი თანხის ოდენობას, რომელიც მონას პატრონისათვის თავისუფლების სანაცვლოდ უნდა გადაეხადა.

როდესაც საქმე გადასახადებს, მითუმეტეს, კანონებს ეხება, რასაკვირველია პირველნი ინგლისელები არიან, როგორც ჭკვიანური, ისე სულელური და უსამართლო კანონებისშემოღებაში.

ასე, მაგალითად: 1113 წელს მეფე ჰენრი პირველმა შემოიღო "შიშის გადასახადი". მას იხდიდა ყველა სრულწლოვანი მამაკაცი, რომელიც ომში წასვლაზე უარს იტყოდა. გადასახდელი თანხის ოდენობა არც ისე დიდი იყო. ამის გამო ბევრმა მდიდარმა შეწყვიტა ლაშქრობებში მონაწილეობა. მაშინ მეფე ჯონ უმიწაწყლომ, გადასახადი გაასამმაგა და ხელქვეითებს თანხას მაშინაც ახდევინებდა, როდესაც ქვეყანაში მშვიდობა იყო. ამ კანონმა 300 წელი იარსება. მსგავსი გადასახადი დღესაც არსებობს გვინეის რესპუბლიკაში, სადაც მოქალაქეები მშვიდობისთვის ყოველწლიურად 700 ბელგიურ ფრანკს უხდიან სახელმწიფოს.

მე-14 საუკუნეში, ინგლისელმა მონარქმა ხაზინის შევსების უნივერსალური ხერხი მოიფიქრა. შემოიღო "გადასახადი სიცოცხლისათვის," ანუ უკლებლივ ყველა ბრიტანელს ფული უნდა ეხადა მანამ, სანამ ცოცხალი იყო, მხოლოდ იმისათვის, რომ ცოცხლობდა. გადასახადის შემოღებას სახალხო აჯანყება მოჰყვა.

1655 წელს, ინგლისის რევოლუციის მეთაურმა ოლივერ კრომველმა მონარქიის მომხრეთათვის "მიუმხრობელთა გადასახადი" დააწესა. გადასახადს იხდიდა ყველა, ვინც ხმამაღლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღიარებდა მონარქისტობას. აღებული თანხით კი სახალხო ლაშქარს აყალიბებდა, რომლითაც მონარქიის მომხრეებს უსწორდებოდა. ეს თავად მონარქისტებმაც იცოდნენ, მაგრამ, თავისი პრინციპების ერთგულნი, მაინც განაგრძობდნენ გადასახადისგადახდას.

იორკში კი შუასაუკუნეებში მოქმედებდა კანონი, რომელიც ინგლისელს ნებას რთავდა მოეკლა შოტლანდიელი ნებისმიერ დღეს კვირის გარდა, ხოლო კვირასაც იმ შემთხვევაში, თუ ჰაერის გაფუჭებისასწაასწრებდა.

1660 წელს გადასახადი ბუხრებსა და ღუმელებზე დააწესეს. გადასახადს მოსახლეობა იმის მიხედვით იხდიდა, თუ რამდენი საკვამური გამოდიოდა მათი სახლიდან. ამან გამოიწვია ის, რომ გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, ინგლისელებმა სახლებში საკვამური მილების ერთმანეთთან გაერთიანება და გადაბმა დაიწყეს, რაც ხანძრით დაგვირგვინდა. შედეგად, 1684 წელს, ლამის ნახევარი ლონდონი დაიწვა. მოგვიანებითგადასახადიგააუქმეს.

1696 წელს ლონდონში დააწესეს "გადასახადი ფანჯრებზე" - სახლების მფლობელებს კედელში გაჭრილ ყოველ ფანჯარაზე ფული უნდა ეხადათ. ამის გამო ღარიბებმა ეკონომიის მიზნით, ფანჯრების ამოშენება, ანდა მათი ბუტაფორიების კეთება დაიწყეს კედლებზე (ასეთი სახლები დღესაცაა შემორჩენილი ბრიტანეთის ქალაქებში), მდიდრებმა კი პირიქით, საკუთარი სიმდიდრის ხაზგასასმელად, ყოველ მეტრში ფანჯრები დაატანეს სახლებს. გადასახადმა1851წლამდეიარსება.

ინგლისში დღემდე მოქმედებს კანონი, რომლის თანახმად, ქუჩაში მყოფ ნებისმიერ ფეხმძიმე ქალს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს პოლიციელის ქუდში მოისაქმოს, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიტანეთის კუთვნილ სანაპირო წყლებში აღმოჩენილი მკვდარი ვეშაპის ტანი - მეფის, ხოლო კუდი დედოფლის კუთვნილებადაა გამოცხადებული.

1990 წელს ბრიტანეთში "ქონების გადასახადი" "სულადობრივი გადასახადით" შეცვალეს, რომლის შედეგად, ღარიბები უფრო მეტად იბეგრებოდნენ, ვიდრე მდიდრები. ამას ინგლისის ისტორიაში ყველაზე დიდი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. ტრაფალგარის მოედანზე 200 ათასი კაცი გამოვიდა, რამაც დაასრულა მარგარეტ ტეტჩერის პოლიტიკური კარიერა.

ბრიტანეთში დიდი ხანია საუბრობენ ამ არქაული კანონების გაუქმებაზე, მაგრამ ამისათვის მთავრობისა და პარლამენტის სპეციალური ნებართვაა საჭირო, თანაც თითოეულზე ცალ-ცალკე, არადა ისინი ასეულობითაა. ბუნებრივია, ამისათვის ვერავინ მოიცალა.

საოცარი აღმოსავლური "სიბრძნითაა" აღბეჭდილი ჩინეთში მოქმედი კანონი, რომელიც მოქალაქეებს წყალში დასაღრჩობად განწირულის დახმარებას უკრძალავს. იქ ასეთი საქციელი, ადამიანის ბედისწერაში "უხეშ ჩარევად" ითვლება.

გასული საუკუნის 20-იან წლებში ტიბეტი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა. სახელმწიფო ხაზინა იმდენად დაცარიელდა, რომ არმიაც კი დაშალეს. გამოსავალი ისევ დალაი ლამამ მონახა: 1926 წელს,მან ტიბეტელებს "ყურების გადასახადი" დაუწესა, რომელსაც იხდიდა ყველა, ვისაც ყურები ჰქონდა. კანონი გამონაკლისსაც ითვალისწინებდა - ცალყურები თანხის ნახევარს იხდიდნენ. შესაბამისად, უყუროები საერთოდ გათავისუფლებულნი იყვნენ გადასახადისაგან.

ლიბანში მამაკაცებს უფლება აქვთ მხოლოდ მდედრობითი სქესის ცხოველს "დაუმეგობრდნენ", მამრთან კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევაში, დამნაშავეს სიკვდილით სჯიან. ანდორაში კი ადვოკატის პროფესიაა აკრძალული, ვინაიდან ითვლება, რომ მათ ყველა ნაძირალას გამართლება შეუძლიათ.

1722 წელს, რუსეთის იმპერატორმა პეტრე პირველმა თავის ქვეშემვრდომებს წვერის ტარებისთვის გადასახადი დაუწესა - წელიწადში 30-დან 600 მანეთამდე, წოდებისა და ჩინის მიხედვით. გლეხებს მხოლოდ საკუთარი სოფლის ფარგლებში შეეძლოთ წვერის ტარება, ქალაქში შესვლისას 1 კაპიკი უნდა გადაეხადათ. ყველას, ვინც წვერს ატარებდა, ბაჟის გადახდის დამადასტურებელ სპილენძის ჟეტონს აძლევდნენ, რომელიც შემოწმებისას უნდა წარმოედგინა. ჟეტონის ერთ მხარეს ეწერა "ფული აღებულია," ხოლო მეორე მხარეს განთავსებული იყო "სარეკლამო" წარწერა: "წვერი ზედმეტი ტვირთია".

საინტერესო და ჩვენთვის საგულისხმო კანონები მოქმედებს კანადაში, კერძოდ კვებეკში. იქ მაღაზიის აბრაზე წარწერა აუცილებლად ფრანგულ ენაზე უნდა იყოს, ხოლო თუ ინგლისურადაც გინდა დააწერო, ასოები ორჯერ უფრო პატარა ზომისა უნდა გამოიყვანო. რადიოში გაჟღერებული სიმღერებიდან კი სავალდებულოა, ყოველი მე-5 შემსრულებელი კანადის მოქალაქე იყოს.

საფრანგეთში აკრძალულია ღორებისათვის ნაპოლეონის დარქმევა, ასევე, რკინიგზის სადგურებზე კოცნა, რათა მატარებლების გასვლა არ შეყოვნდეს. იტალიის ქალაქ სიენაში პროსტიტუცია ეკრძალებათ ქალებს, რომელთაც სახელად მარია ჰქვიათ.

ამერიკის სხვადასხვა შტატებში ხომ უცნაურობათა მთელი ფოიერვერკია: დენვერში აკრძალულია საკუთარი კბილის პროთეზის ლომბარდში ჩაბარება. ჰოლივუდში დაგაჯარიმებენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ წაგასწრეს, რომ აბაზანაში ორ ბავშვს ერთად აბანავებ. მასაჩუსეტსში, ქელეხში 3 სენდვიჩზე მეტის შეჭმის უფლება არ გაქვს და ხვრინვისთვისაც დაგაჯარიმებენ, სახლის ყველა ფანჯარა თუ არ დაკეტე. ნიუ-ჯერსიში დაგაპატიმრებენ პოლიციელს არაკეთილმოსურნე მზერით თუ შეხედე, ასევე, სასტიკად იკრძალება მძინარე მეხანძრის გაღვიძება. ოკლაჰომაში სხვისი ჰამბურგერის მოკბეჩაა აკრძალული. ვაშინგტონში კი თუ საყაჩაღოდ მიდიხარ, გევალება ამის შესახებ ტელეფონით შეატყობინო პოლიციის უფროსს. ილინოისის შტატში ქალებს ეკრძალებათ მაღაზიაში ერთ ჯერზე 6-ზე მეტი კაბის მოზომება, ხოლო თუ მანქანის საჭეს მიუსხდნენ, მანქანას წინ მეუღლე უნდა წაუძღვეს საფრთხის მანიშნებელი წითელი დროშით. იმავე ილინოისში მამლებს ეკრძალებათ ყივილი, თუ საცხოვრებელი სახლიდან 300 ფუტით არ არიან დაშორებულნი, ხოლო ქათმებს - 200 ფუტზე ახლოს კაკანი. ოჰაიოში მდგმურს სახლის მფლობელის კბენა ეკრძალება, სამაგიეროდ, პოლიციელს აქვს უფლება უკბინოს ძაღლს, თუ სხვაგვარად ვერ დაამშვიდა.

საქართველოს „მოოხრების" სათავეებთან

1223 წლის 18 იანვარს გარდაიცვალა საქართველოს მეფეთა-მეფე, გიორგი IV ლაშა. „მოკუდა გიორგი მეფე ბაგავანს იანვარსა თურამეტსა, დღესა ოთხშაბათსა. ქრონიკონი იყო ოთხას ორმოცდაორი" (ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, „ცხოვრება გიორგი მეფისა, თამარის ძისა" - „ქართლის ცხოვრება").

იგი სულ 30 წლისა იყო მაშინ. მისი სიკვდილი საქართვლოსთვის დიდი უბედურება გახლდათ. მიუხედავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა მეფის რთული ხასიათისა, რის შესახებაც დაწვრილებით გვესაუბრება ჟამთააღმწერელი:

,,ლაშა-გიორგი იყო მხნე, ახოვანი, ლაღი, ამპარტავანი, თავხედი, ჯიუტი, უხვი, მუსიკისა და წარმოდგენების მოყვარე, უყვარდა ჭამა-სმა. მის სამეფოში მშვიდობიანობა სუფევდა. ის ქეიფითა და დროსტარებით ერთობოდა. ამისთვის მას შემოსწყრნენ მამები, რადგან ვნებისგან წარმოიშობა ყოველგვარი ბოროტება: ჭამა-სმის სიყვარული, ვერცხლისმოყვარეობა და დიდებისმოყვარეობა. ამათი პირმშო კი არის სიძვა, მრუშება, რისხვა, ამპარტავნება, ამ ბოროტებათაგან კი მოდის ამქვეყნიურ სიამეთა მოყვარეობა და სხვა, რომელთა აქ სათითაოდ აღწერის დრო არ გვაქვს, როგორც წინასწარმეტყველი ამბობს, როცა იაკობმა ჭამა, გაძღა, გასუქდა და თავის შემოქმედი ღმერთი უარყო, თავის მხსნელ ღმერთს განუდგა.

ქართველებსაც ასე დაემართათ, რადგან უგუნური კაცები გაძღნენ, უწესო ცხოვრების წესს მისცეს თავი და დროს ლოთობასა და სიძვაში ატარებდნენ. ისინი მეფის კარზე ყოფნის ღირსნი არ იყვნენ. ამ სამეფოს ორივე კათალიკოსსა და თავადებს, განსაკუთრებით ივანე ათაბაგს, უმძიმდათ ეს საქმე და აღარ ისურვეს მასთან მუდმივად ყოფნა, განშორდნენ და თავ-თავისთვის იყვნენ. ეს გახდა მიზეზი ცოდვის გამრავლებისა და საქართველოს მოოხრებისა.

მეფე სმამ, თამაშმა, ლოთობამ და გადამეტებულმა ჭამამ უფრო და უფრო გადარია. მან მოიშორა თავისი სანატრელი დედის ვაზირები, რომლებიც მას ასწავლიდნენ და შეიყვარა ისეთი თანატოლები, რომლებთან ერთადაც ლოთობდა და უწესო ქალებში დადიოდა. ისეთი საშინელი გახდა, რომ ერთხელ, როდესაც თბილისში ღვინოს ეძალებოდა, გადაცმული რინდებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაიყვანეს, რომ მათთან ერთად მისცემოდა თავაშვებულობას. რინდები, რომელთაც ღვინისგან გონება ჰქონდათ დაკარგული მისცვივდნენ და ისე სცემეს, რომ მარჯვენა თვალი დაუბრმავეს. ეს რომ საქართველოს დიდებულებმა გაიგეს, ძალიან შეწუხდნენ, განსაკუთრებით ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელი, მათ საერთოდ მიატოვეს მეფე. ეუბნებოდნენ, შენს მეფედ ყოფნას ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთო, თუკი ცუდ ამხანაგებს არ ჩამოშორდები და თავს არ გაანებებ ცხოვრების ამგვარ წესს. ხოლო მეფემ მოინანია და აღუთქვა, რომ არაფერს იქმდა მათთან შეთანხმების გარეშე. დანაპირებს კი ასრულებდა, მაგრამ ვერაფრით დაარწმუნეს, რომ ცოლი შეერთო. კახეთის ერთ სოფელში, ველისციხეში, ნახა ერთი მშვენიერი ქალი, გულში ჩაუვარდა. თავისთან წაიყვანა. ქალი დაფეხმძიმდა და შვა ყრმა, რომელსაც დავითი უწოდეს. ამის გამო არ ინდომა ცოლის შერთვა. შეიკრიბნენ კათალიკოსები, ეპისკოპოსები და ვაზირები და უთხრეს: არ შეიძლება, რომ მხევალი გესვას და არა ცოლი. როგორც მოციქული პავლე ამბობს, ქორწინება წმინდა რამეა და საწოლი შეუგინებელი. ხოლო მათ, ვინც მრუშობს, ღმერთი დასჯისო. მეფემ მათი ყურის დაგდება არ ისურვა. ამიტომ ეს ქალი წაართვეს და ქმარს დაუბრუნეს. მაგრამ არც მაშინ დაქორწინდა და იყო უქორწინოდ."

და აი ამ ყოველივეს მისი მეფობის დასასრულს დაემატა კიდევ ქართველთათვის გაუგონარი საბედისწერო მარცხი, რომელიც ასევე ლაშა-გიორგის სახელს უკავშირდება.

1221 წლის ბოლოს, 24 000 მონღოლთან 90 000 ქართული არმიის დამარცხებაში ლაშა-გიორგის პასუხისმგებლობას ნაწილობრივ მხოლოდ ის ამართლებს, რომ მიუხედავად მონღოლებთან განცდილი მარცხისა და ამ ბრძოლაში მიღებული ჭრილობისა, მეფემ შეძლო ჯარის სწრაფი რეორგანიზება და წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუდგა მონღოლებს, რათა დედაქალაქისკენ არ დაძრულიყვნენ. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მონღოლებს ეს განზრახვა არც ჰქონიათ. ისინი ჩინგიზის ბრძანებით კავკასიაში არა დაპყრობის, დაზვერვის მიზნით იყვნენ შემოსულნი. ამ ბრძოლის შემდეგ მონღოლები ჯებესა და სუბუდაის მეთაურობით დარუბანდის გზას გაუყვნენ და სანამ მთავარ ბანაკში დაბრუნდებოდნენ მათ კვლავაც არაერთი „სასწაული" მოახდინეს.

ასე დაასრულა მეფობა გიორგი-ლაშამ, „განმანათლებელმა ქვეყნისა," რომლის დაბადებას ქართველები დიდი „მესიანისტური" იდეოლოგიით შეხვდნენ. მას ჰქონდა დიდი ავტორიტეტი იმდროინდელ მსოფლიოშიც. ევროპელ და აზიელ ქრისტიანებს ქართველი მეფე უფლის საფლავის გამომხსნელად, „ქრისტიანობის ბურჯად," „ახალ ალექსანდრე მაკედონელად" ესახებოდათ.

არის ვარაუდი, რომ ლაშა-გიორგი მსხვერპლი გახდა შეთქმულებისა. ასახელებენ რამდენიმე მოტივს (სომხური სახელმწიფოს ჩამოყალიბების ცდა; დიდგვაროვნების მხრიდან ლაშას დის გამეფების სურვილი და ამის მეშვეობით მეტი ძალაუფლების ხელში ჩაგდება და სხვა). მაგრამ, ჯერ-ჯერობით ეს მხოლოდ ვარაუდია...

ასეა თუ ისე, ახალგაზრდა ლაშას სიკვდილი მაინც დიდი უბედურება იყო სახელმწიფოსათვის.

ის, რომ ლაშას გარდაცვალების შემდეგ მისი და რუსუდანი მხოლოდ დროებით უნდა გამხდარიყო მეფე ამას გიორგი-ლაშას ანდერძიც კარგად გვიჩვენებს, სადაც ვკითხულობთ, რომ შვილის მცირეწლოვნობის გამო ლაშამ ანდერძით მეფობა დაუტოვა თავის დას, რუსუდანს, მხოლოდ იმ დრომდე, სანამ მისი ვაჟი, დავითი (მომავალში დავით ულუ) სრულწლოვანი გახდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე, რომ, მართალია ძმის გარდაცვალების შემდეგ რუსუდანი, მეფე კი გახდა, მაგრამ, მას ფაქტიურად, უფლისწულის მზრუნველობა დააკისრა ლაშამ. თავისთავად ის, რომ შემდგომ რუსუდანს დავით ლაშას ძის მკვლელობის სურვილი გასჩენოდა, როგორც შემზარავი ფაქტი უცხო არ უნდა ყოფილიყო „ქართლის ცხოვრებისთვის." გავიხსენოთ თუნდაც დემნას ისტორია.

„განიზრახა მეფემან რუსუდან, თავით თჳსით დამტკიცებად მეფობისა ძისა თჳსისა" - წერს ჟამთააღმწერელი.

ზოგიერთი ისტორიკოსის თქმით, ლაშას ვაჟი არ იყო კანონიერი მემკვიდრე, ვინაიდან ქორწინების გარეშედ იყო შობილი და თანაც ქვეშევრდომი ქალისგან და თითქოს ამ მიზეზით არ სურდათ რუსუდან მეფეს და სხვა დიდებულებს უფლისწულის ტახტზე ასვლა. მაგრამ, ქართული სამართლის მიხედვითაც ქალ ქვეშევრდომთაგან შობილ მეფის შვილებს არ ეკრძალებოდათ ტახტზე ასვლა, თუ მამა ცნობდა შვილად. არც ამგვარი ქორწინება იყო აკრძალული. ამის დამადასტურებელი არც ერთი დოკუმენტი არ არსებობს, ვარაუდის გარდა.

ამდენად, რუსუდანის არა სრულფასოვანი (არა სიკვდილამდე, არამედ დავით ლაშას ძის სრულწლოვანობამდე), დროებითი მეფობა, რუსუდანის მხრიდან, უნდა გამოყენებულიყო, რათა ძმისშვილის მოცილებით შვილისათვის ტახტი დაემკვიდრებინა.

საამისოდ კი რუსუდან მეფემ იარაღად გამოიყენა საკუთარი ასული.

მოწყალე და დიდსულოვანი, საეჭვო საქმეთაგან განრიდებული ჭეშმარიტი მონა ღვთისა, ბანოვანთა ღირსება - მათ შორის ყველაზე უმწიკვლო და ნამუსიანი, კეთილბუნებოვანი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათნოდმყოფელი, მომავლის მჭვრეტელი, სიკეთის მთესველი, დიდად პატივდებული, ხელმწიფური ბუნების მქონე, მეფეთა მეფისშთამომავალიხათუნი.

ასე ახასიათებს აღმოსავლეთის ყველა დროის უდიდესი მოაზროვნე მევლანა რუმის სასულთნოს ქართველ დედოფალს. თამარ მეფის შვილიშვილი თამარი, რომელიც გათხოვების შემდეგ გურჯ ხათუნად მოიხსენიება რუმის სულთნის ყიას-ედ-დინ ქეიხოსროვზე 13 წლის ასაკში გაათხოვეს. ისტორიული წყაროების თანახმად როდესაც რუსუდან თამარის ძის მშვენიერი ასულის სილამაზისა და გონიერების ამბავმა სელჩუკთა სულთნის ყურამდე მიაღწია, მან მაშინვე სთხოვა რუსუდანს თამარის ხელი, სანაცვლოდ კი პირობა დადო რომ მის ასულს სარწმუნოების შეცვლასარმოსთხოვდა.

მიუხედავად იმისა რომ გურჯი ხათუნის მამა და ქმარი ბიძაშვილები იყვნენ მუსლიმური სამართლით ასეთი ქორწინება დაშვებული იყო და 1236-37 წელს რუსუდანმა თავისი ასული ქეიხუსროვII-სმიათხოვა.
თავად სულთანი მეუღლის მშვენიერებით მოხიბლული და მასზე უზომოდ შეყვარებული გახლდათ. ქორწინების შემდეგ ქეიხუსროვ II-მ მისი ზეობის ჟამს მოჭრილ მონეტაზე გურჯი ხათუნის სახის ამოტვიფრაც კი გადაწყვია, რასაც ისლამი სასტიკად კრძალავდა. მაშინ ხერხი იხმარა და ემბლემა შექმნა - მზე ლომის ზოდიაქოში. 1236 წელს მოჭრილ მონეტაზე ფაფარაშლილ ლომთან ერთად მზის დისკოში უმშვენიერესი ქალის სახე ამოატვიფრინა და მაინც დაარღვიამუსლიმთაწესი.

ქმრის სიყვარულით განებივრებული გურჯი ხათუნის ჰარმონიული ცხოვრება რუსუდან მეფის მზაკვრულმა გეგმამ დაარღვია. რადგან მას საკუთარი ვაჟის გამეფება სურდა, ძმისშვილი დავითი სიძესთან გაგზავნა იმ იმედით რომ სულთანი ლაშა გიორგის ძეს დავითს მოკლავდა. რუსუდანის გეგმამ არ გაამართლა, რადგან ქეიხუსროვ მეორემ და გურჯი ხათუნმა თბილად მიიღეს დავით ლაშას ძე. განრისხებულმა რუსუდანმა მიზნის მისაღწევად სხვა ხერხს მიმართა და სიძეს წერილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუგზავნა, სადაც ქართველი დედოფალი საკუთარ ასულს ქმრის ღალატში ადანაშაულებდა და სულთანს ატყობინებდა რომ გურჯი ხათუნიმასდავითლაშასძესთანღალატობდა:

„ამისთვის მენება მოკულა ძმისწულისა ჩემისა დავითისი, რომე ცოლსა შენსა და ასულსა ჩემსა ძმისწული ჩემი დავითი თანა-ეყოფის“ - წერდა რუსუდანი. სულთანმა ირწმუნა დედისაგან თქმული. მან თმებით ათრია და სისხლი ადინა თამარს, სიკვდილით დაემუქრა "უკეთუ არა დაუტეოს სჯული ქრისტესი დამუსულმანიქმნას".

სიდედრის წერილმა განარისხა ქეიხუსროვ II. რთული სათქმელია დაიჯერა თუ არა ცოლის ღალატი, მაგრამ ფაქტია, რომ ცოლს სარწმუნოების შეცვლა მოსთხოვა. განრისხებულ ქმარს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია გურჯი ხათუნმა და მართლმორწმუნე მუსლიმის შარავანდედით შეიმოსა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ის ეზიარა არა ორთოდოქსულ ისლამს, არამედ მის სუფიურ მიმდინარეობას - მევლევიობას. მევლევიობა კი არ მოითხოვდა გამაჰმადიანებას. გურჯი ხათუნი შეიძლებოდა ქრისტიანად დარჩენილიყო და ისე გაჰყოლოდა მევლანას მოძღვრებას.

1246 წელს ქეიხუსროვ მეორის გარდაცვალების შემდეგ, გურჯი ხათუნი მეორედ გათხოვდა. ისტორიული წყაროების თანახმად სულთნის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის გამგებლობა ხელთ იგდო ვეზირმა მუინ ედ-დინ სულეიმან ფერვანამ და იმდროინდელი ტრადიციების მიხედვით სულთნის ქვრივი – გურჯი-ხათუნი ცოლად შეირთო.

გავიდა ხანი და ლაშა-გიორგის დის, რუსუდანის მეფობისას, ჯალალ-ედ-დინის შემოსევის დროს, ქართული სახელმწიფო უკვე მოშლილი იყო. ვერც სარდლობამ ივარგა გარნისის ბრძოლაში და ვერც სახელმწოფოს მესვეურებმა ვერ დაახვედრეს ჯარი ტფილისისაკენ წამოსული ხვარაზმ-შაჰს. მარტო ქალაქის გამაგრება რას უშველიდა. უფრო მეტიც, რუსუდან მეფის უნიათობით, მონღოლებისგან დევნილ ჯალალედინს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლებლობა მიეცა სრული ხუთი წლის განმავლობაში ქვეყანაში განუკითხავად ეპარპაშა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დიდი, წმინდა მეფე, ჩვენი სიამაყე - თამარი, დედასავით უყვარდა მთელს ერს. რუსუდან მეფის „წყალობით" ქალის ტახტზე აყვანის კანონი ვერ დამკვიდრდა საქართველოში.

არც ქალით გადადის სამეფო მემკვიდრეობა, არც სამეფო გვარი. დაახლოებით ასე ამბობს დიდი სარგის თმოგველი, დავით ულოსა და დავით ნარინის გამეფების პერიოდში, ურდოში მყოფი. „თმოგუელი სარგის ძლიერად წინააღუდგებოდა თჳთ ნარინ დავითს და რომელნი მის წინაშე იყვნეს თანაზრდილნი მისნი, რამეთუ ეტყოდა: „არა ჯერ არს, რათამცა ნაშობმან დედაკაცისამან დაიპყრას მეფობა და არა ძემან თჳთმპყრობელისა მეფისა მამაკაცისამან" (ჟამთააღმწერელი).

საქართველოში, არც ქალით გვარის გადაცემის პრაქტიკა შემოვიდა დინასტიაში. მიუხედავად იმისა, რომ რუსუდანის შვილები ბაგრატიონებად იწოდებოდნენ, შემდგომში ბაგრატიონთა გვარი მხოლოდ მამრობითი ხაზით გაგრძელდა.

რაც შეეხება რუსუდან მეფის შთამომავლობას, სამწუხაროდ, მისი შვილის დიდი ხელმწიფის, დავით ნარინის პირდაპირი მემკვიდრეების ხაზი რამდენიმე თაობის მერე შეწყდა,

შესაძლოა შთამომავლობა რომელიმე მათგანს კი ჰყავდა, მაგრამ გვარი აღარ გაურგძელდათ ბაგრატიონისა.

რუსუდან მეფის შთამომავლობა რამდენიმე თაობაში უკვე აღარ ჩანს.

დაუძლეველი შიში

ამბობენ სტალინს ამქვეყნად მხოლოდ სამი რამის ეშინოდა: ბულგაკოვის "თეთრგვარდიელების" (ხშირად უთქვამს, ღამე მესიზმრებიანო), უხმაუროდ მოსიარულე ხალხის (შიშობდა, რომ ვინმე, ვთქვათ, რომელიმე დაცვის წევრი მოსაკლავად მიეპარებოდა) და თვითმფრინავების. ამ უკანასკნელს სახიფათო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უაზრო გამოგონებას უწოდებდა და თუკი სადმე მიდიოდა, მხოლოდ მატარებლით. მეორე მსოფლიო ომის დროს პოლიტბიუროს წევრებსაც კი უკრძალავდა თვითმფრინავით მგზავრობას - ომის დროს გამოცდილი კადრების ნაკლებობას უჩიოდა და ღელავდა, რაიმე "კონფუზი" არ შექმნილიყო. ხრუშჩოვი იხსენებს - მიუხედავად სტალინის აკრძალვისა, ერთხელ თვითმფრინავით მომიწია კიევიდან მოსკოვში გადაფრენა და გზაში სულ იმას ვფიქრობდი, ეს რომ სტალინმა გამიგოს, დახვრეტა არ ამცდებაო. ხრუშჩოვი მაშინ გადარჩა, თუმცა, სამაგიეროდ, სტალინის ლექციის მოსმენა მოუხდა თვითმფრინავებისა და, ზოგადად, ცის არასანდოობის შესახებ...

იდეის ფენომენი

რომის იმპერიაში ქრისტიანობის სწრაფად გავრცელებამ მრავალი მისი მოწინააღმდეგე დააფიქრა, მათ შორის იმპერატორი ტრაიანე. მან გამოსცა კანონი, რომლის თანახმად იკრძალებოდა ყოველგვარი შეკრება. აიკრძალა მეხანძრეთა საზოგადოებაც კი.

ამ აკრძალვამ ქრისტიანთა შეკრებას თავისებური მომხიბვლელობა შესძინა, კანონმა კანონმდებლისათვის უარყოფითი შედეგი გამოიღო.

ტრაიანემ კანონის გამკაცრება გადაწყვიტა. დაიბარა პროკურატორები და რომაელ ქრისტიანთა სიის წარდგენა მოსთხოვა. როდესაც სიას თვალი გადაავლო, მიხვდა, რომ მათი განადგურება რომის იმპერიაში ინტელექტის კრიზისს გამოიწვევდა. ამ მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით ტრაიანემ შემდეგი შინაარსის კანონი გამოსცა: ,,სიკვდილით დაისჯება ყველა ის, ვინც პირადად გამოცხადდება პროკურატორთან და ქრისტიანებთან კავშირს აღიარებს.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ვინ გიჟი მოვა ნებაყოფლობით? - დამწუხრდნენ პროკურატორები.

-მეც ეს მინდა. - იყო იმპერატორის ლაკონური პასუხი.

კანონი ძალაში შევიდა.

მოხდა ის, რასაც ვერც პროკურატორები და ვერც ტრაიანე ვერ წარემოიდგენდნენ. მეორე დღეს ქრისტიანთა რიგები დადგა პროკურატორებთან მიღებაზე. ზოგიერთი უდისციპლინო ქრისტიანი შესვლას ურიგოდ ცდილობდა, რაც რიგში მდგომთა სამართლიან აღშფოთებას იწვევდა.

ისინი სამოთხისაკენ მიმავალნი, პირდაპირი გზისთვის მოწამებრივ სიკვდილს ,,ეძიებდნენ და ჰპოვებდნენ."

ვის რა მოსწონს

ცნობილია, რომ ტრაფალგარის ბრძოლამდე ცოტა ადრე ნელსონმა ნახა კორიდა. მისი თქმით, საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა თუ ხარი რქაზე ტორეროს გარდა ყველა მაყურებელს ააგებდა. სხვა აზრი აქვს ჰემინგუეს. თავად ესპანელები ფიქრობენ, რომ ეს ტურისტებისთვის არაა მოგონილი.

უკვდავებას ნაზიარევი

1956 წელს, აკადემიის საერთო კრების შემდეგ, ნიკო მუსხელიშვილმა იქ მყოფნი თავის სამუშაო ოთახში მიიწვია - გალაკტიონთან სურათი გადავიღოთო. პრეზიდენტთან შეიკრიბნენ გალაკტიონ ტაბიძე, ივანე ბერიტაშვილი, ვლადიმერ ჟღენტი, რაფიელ აგლაძე, პეტრე ქომეთიანი სერგი დურმიშიძე. როდესაც ფოტოკორესპონდენტმა თავისი საქმე მოათავა, ბატონმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკომ ბრძანა: „ჩვენ ახლა გალაკტიონთან სურათის გადაღებით უკვდავებას ვეზიარეთო.“

გალაკტიონმა ჩვეულებისამებრ ჩაიქირქილა და ისე, რომ ყველას გაეგო პასუხი არ დააყოვნა: „ძამიკოებო, ხომ დამემოწმებით, რომ პრეზიდენტი არასოდეს არ ცდება?“

ფილოსოფოსთა იდეალი

პლატონი სოკრატეს მოწაფე იყო, არისტოტელე - პლატონის, ხოლო ალექსანდრე მაკედონელი - არისტოტელეს. მოაზროვნე, მეომარი ადამიანის სიდიადეს ყველა მათგანი ერთად ქმნიდა. პლატონის იდეალიც ხომ ისეთი სახელმწიფო იყო, სადაც იქნებოდნენ ფილოსოფოსები და მეომრები.

ღატაკი ქტიტორი

ნიკო ცხვედაძეს ზოგი გიჟს ეძახდა, ზოგი – გადარეულს. თვითონ ღატაკი და უქონელი, დადიოდა და ხვეწნა-მუდარით, ლამის მათხოვრობით ფულს აგროვებდა, უარს არავინ ეუბნებოდა, რადგან მის პატიოსნებაში ეჭვი არ ეპარებოდათ. მას ფული ქართული უნივერსიტეტის შენობის ასაგებად სჭირდებოდა.

რა არის საშინელება?

აშშ-ის პრეზიდენტის, აბრაამ ლინკოლნის სახელს ამერიკელები ეთაყვანებიან. არადა, არც ერთი პრეზიდენტი მათ ისე არ "უწვალებიათ," როგორც ლინკოლნი. დავიწყოთ იმით, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 წლიდან მოყოლებული, სხვადასხვა სახის არჩევნებში 18-ჯერ დამარცხდა. ბოლოს როგორც იქნა 52 წლისა გახდა ქვეყნის პრეზიდენტი. მაგრამ, მისი ,,წვალება" ამით არ დამთავრებულა: დიდების ზენიტში მყოფი, წუთისოფელს გამოასალმეს. სიმშვიდე ვერც სიკვდილის შემდეგ პოვა. მისი ნეშტი, უსაფრთხოების დაცვის თუ აკლდამის რეკონსტრუქციის მიზეზით, 17-ჯერ სხვადასხვა ადგილას გადაიტანეს.

შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის ისტორიაში არც ერთ სახელმწიფო მოღვაწეს არ რგებია იმდენი შეურაცხყოფა და ცილისწამება, რამდენიც აბრაამ ლინკოლს, მაგრამ იგი ადამიანებს არასოდეს აფასებდა მისადმი დამოკიდებულების მიხედვით. თუ ამას რომელიმე მნიშვნელოვანი საქმე მოითხოვდა, მას შეეძლო მიენდო იგი თავისი მტრისთვისაც კი. როცა საქმე სამუშაოს შეეხებოდა, იგი ერთმანეთისაგან არ განასხვავებდა მტერსა და მოყვარეს.

მისი ბიოგრაფები ერთ შემთხვევასაც იხსენებენ:

1860 წელს თერთმეტი წლის გრეის ბედელიმ აბრაამ ლინკოლნს წერილი მისწერა და ურჩია მას წვერის მოშვება. პრეზიდენტმა მისი რჩევა მიიღო.

ისტორიიდან იხსენებენ ერთ ამბავსაც: ერთხელ გენერალ ეიზენჰაუერის შვილისათვის უკითხავთ, ,,შეიძლება თუ არა მამას გულღრძო ეწოდოს? - არა, უთქვამს მას, - მამა წუთითაც არ ფიქრობს იმ ადამიანებზე, ვინც მისთვის არასასიამოვნონი არიან"...

კონფუცი ამბობს: ,,საშინელება ის კი არ არის, რომ მოგატყუეს, საშინელებაა, თუ თქვენ გამუდმებით გახსოვთ იგი."

ხელწერა არ იცვლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

1815 წლის პარიზის პრესა ნაპოლეონის ელბიდან საფრანგეთში დაბრუნების შესახებ:

,,კორსიკელი ურჩხული გადმოჯდა ჟუანის ნავსადგურში."

,,კაციჭამია გრაბისაკენ მიდის."

,,უზურპატორი გრენობლში შევიდა."

,,ბონაპარტმა ლიონი დაიკავა."

,,ნაპოლეონი ფონტენებლოს უახლოვდება."

,,მის იმპერატორობით უდიდებულესობას ხვალ ელიან მის ერთგულ პარიზში."

მთელი ეს ლიტერატურული გამა ოცი დღის განმავლობაში ერთსა და იმავე გაზეთში მოთავსდა.

მედიცინის ისტორიის ბინადარნი

ამპერმა ტრაქტატი ,,ქიმიის მომავლის შესახებ" იმ მოტივით დაწვა, რომ იგი დაწერილი იყო სატანის მიერ;

ჰალუცინაციები სტანჯავდა არქიმედეს, პასკალს, გობსს, გოეთეს, ჩელინის.

მოცარტი დარწმუნებული იყო, რომ იტალიელები მოწამვლას უპირებდნენ;

შუმანი 24 წლის ასაკში ფსიქიკურად დაავადდა, 46 წლისამ სრულიად დაკარგა გონი. მას ეჩვენებოდა, რომ სკამები და მაგიდები დასდევდნენ, ზოგჯერ ბგერებს ხედავდა, ზოგჯერ ეჩვენებოდა ბეთჰოვენი და მენდელსონი, რომლებიც მელოდიებს საფლავიდან კარნახობდნენ;

ნიუტონს 1693 წელს დაეწყო ფსიქიკური აშლილობა და არქიეპისკოპოსის დანდასწრებით ისეთ უცენზურო მოსაზრებებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოთქვამდა, რომ იძულებულნი იყვნენ სრულ იზოლაციაში ჰყოლოდათ. ზამთრის მოახლოებისას ავადმყოფობამ ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანა, მთელი ორი კვირა არ სძინებია. თუ სთხოვდნენ, მისი თხზულების რომელიმე ადგილი განემარტა, ის პასუხობდა: „მიმართეთ მავრს, მას ჩემზე მეტი გაეგება.

პასკალის მსგავსად, ნიუტონმაც მიმართა ღმერთს წერილით, რომელიც პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში საკურთხევლის ქვეშ ამოდო.

მენდელსონს, შუმანის მსგავსად, ეჩვენებოდა, რომ მელოდიებს საფლავიდან კარნახობდნენ. გერმანელი ფილოსოფოსი არტურ შოპენჰაუერი მოსამსახურეს წვერის გაპარსვის უფლებას არ აძლევდა, შეიძულა ქალები, ძაღლები კი იმდენად შეიყვარა, რომ თავისი ქონება ანდერძით მათ დაუტოვათ. 50 წლის ასაკში დედას მამის ღალატში დასდო ბრალი. უარყოფდა მონოგამიას და პატივს სცემდა ოთხცოლიანობას.

ნიკოლოზ გოგოლი, როცა მწერლობაში დიდების ზენიტს მიაღწია, ჩაიკეტა სახლში და მთელ დროს ლოცვაში ატარებდა. შემდეგ იერუსალიმშიც იმოგზაურა, საიდანაც ცოტათი დამშვიდებული დაბრუნდა.

1852 წელს გოგოლი ხატების წინ ნახეს მკვდარი გულმხურვალე ლოცვების შემდეგ.

ბოტიჩელმა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე თავისი შედევრების 80 პროცენტი დაწვა.

ასე, რომ თავისუფალნი არც გენიოსები იყვნენ. ამას ფაქტებიც ადასტურებს, ისინიც ტყვეობაში იყვნენ, ოღონდ მათთვის მისჯილ შიზოფრენიის ტყვეობაში.

თუ გსურს ღირსეული დარჩე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბერძნეთის საუკეთესო ადამიანები ღარიბნი იყვნენ, - გადმოგვცემს ბერძენი ავტორი ელიანი. ერთ-ერთი ღირსეულთაგანი იყო ფიკიონი, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელმა 100 ტალანტი გაუგზავნა.

-რატომ მიგზავნის ფულს? - იკითხა ფიკიონმა. უპასუხეს, რომ მას ალექსანდრე მიიჩნევს ყველაზე ღირსეულად ათენელთა შორის.

-მაშ, დაე მან მომცეს ნება, ასეთივე დავრჩე, - უპასუხა ფიკიონმა და დიდი დამპყრობლის ნაჩუქარ ფულზე უარი განაცხადა.

უკვე გამოკვლევებულები ვართ

ქალბატონი ელენე თევდორაძე ქართულ ენასთან ცოტა არ იყოს მწყრალადაა, ამიტომ უხერხულ სიტუაციებში არაერთხელ ჩავარდნილა. ერთხელ საქართველოს პარლამენტის სპიკერის რეპლიკაზე, ამ დარბაზში ბევრი ფსიქიკურ გამოკვლევას საჭიროებსო, ელენე თევდორაძემ აღშფოთებით უპასუხა - ჩვენ აქ ყველანი უკვე გამოკვლევებულები ვართო.

ერთ მშვენიერ დღეს ჟურნალისტი ეკითხება ქალბატონ ელენეს, ბატონ შევარდნაძეზე რას იტყვით, როგორი კაციაო. მან კი ასეთი პასუხი გასცა:

- როგორი კაცია, მე ვერ გეტყვით, მაგრამ ის არის პოლიტიკოსი დიდი ასოთი.

(უნდა ეთქვა: "Политик с большой буквы")

ტანი არ დაიბანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაურია, მაგრამ აღორძინების ხანის იტალიაში, თურმე, დიდ გამბედაობად ითვლებოდა ტანის დაბანა. როგორც ჩანს, ,,ახალ იტალიელებს" სრულად დაევიწყებინათ ძველ რომაელთა წეს-ჩვეულებანი და იმპერატორ კარაკალას აბანოებს მხოლოდ მოსალოცადღა თუ იყენებდნენ. თუმცა პროგრესული ადამიანები (ძირითადად, ქალაქებში მცხოვრებნი), ასე თუ ისე, მაინც ახერხებდნენ ტრადიციული წესების ერთგულებას - წყლით სარგებლობაზე უარს არ ამბობდნენ, ხოლო სხვებზე მეტად თამამები აუზებშიც არ თაკილობდნენ ნავარდს. განა ინკვიზიციის ეშინოდათ? არა. რატომღაც ასე იყო ცნობილი, რომ წყალს ზიანის მიყენება შეეძლო კანისთვის. ამიტომაც უგზავნიდა რომში წასულ მიქელანჯელოს მამამისი მუქარებითა და გაფრთხილებებით აღსავსე წერილებს: არ გაბრიყვდე, რომალებს არ დაუჯერო და ტანი არ დაიბანო, თორემ სიკვდილი ნაადრევად გეწვევაო. მამა ჰიგიენის დაცვის წესის შემდეგნაირ რეცეპტს სთავაზობდა ახალგაზრდა მოქანდაკეს: მიქელანჯელოს სველი ჩვრით უნდა დაეზილა ტანი, მაგრამ სახელდობრ წყალს არამც და არამც არ უნდა მიკარებოდა. ჩვენ, შენი წინაპრები, საუკუნეებია ვიზელთ და აგერ, ცოცხლები და ჯანმრთელები ვდგავართ, ღრმა სიბერემდე ძველი, ტრადიციული და კარგად გამოცდილი ჩვარი თუ მიგაღწევინებსო...

სამედიცინო ექსპერიმენტები ....

მართალია, 1300 წელს პარიზის სამედიცინო ფაკულტეტმა დაუფარავად გამოხატა ქირურგისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება, თუმცა, ინტერესი ადამიანის ანატომიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართ პირქუშ შუა საუკუნეების ევროპაში კვლავაც გრძელდებოდა.

როგორც ქრონისტი სალიმბენე მოგვითხრობს, იმპერატორ ფრიდრიხ მეორეს (1212 – 1250 წწ.), სამედიცინო ექსპერიმენტის მიზნით, მაგრად გაუძღია ორი მსახური, რის შედეგადაც, ერთისთვის უბრძანებია, მეორისთვის კი აუკრძალია დაძინება; გარკვეული დროის შემდეგ, ორივე მსახური მოუკვლევინებია, რათა გაეკვეთათ და დაედგინათ, რომელს უკეთესად შეერგო საჭმელი.

ფრიდრიხ მეორის სხვა ცდა უფრო „თეორიულ" ხასიათს ატარებდა: მან მჭიდროდ დაგმანულ ყუთში კაცი ჩაკეტა, და როცა ყუთი გახსნეს, იქ მხოლოდ სხეული იპოვნეს, სული კი აღარსად იყო; ამ გარემოებამ კიდევ უფრო საეჭვო გახადა ფრიდრიხისათვის საიქიო ცხოვრების არსებობა.

ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ევროპაში ადამიანის ორგანიზმის აგებულებისა და ფუნქციონირების შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, ღვიძლი - კერიად, კუჭი კი ამ კერიის ცეცხლზე შედგმულ ქვაბად წარმოედგინათ, რომელშიც საჭმელი იხარშებოდა აღმოსავლეთში ექიმებისთვის იბნ-სინას, დასავლეთში ავიცენას (980 – 1037 წწ.) სახელით რომ იცნობენ, მისი „სამკურნალო მეცნიერების კანონი" სამაგიდო ხელნაწერი წიგნი იყო. ევროპის ქვეყნებში მას მოგვიანებით გაეცნენ.

პოლონეთი და პოლონელები

სამხედრო სპეციალისტთა აზრით, მთელი ტერიტორია პოლონეთის სამხედრო მოქმედებისთვის იდეალური თეატრია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისი შვილებისთვის მტრისაგან ღირსეულად დაეცვათ მამული.

ცნობილია, ომის დროს პოლონელი კავალერისტები ხმლით ხელში, როგორ ეკვეთნენ ფაშისტთა ტანკებს.

ადამ მიცკევიჩს, რომელმაც შოპენთან ერთად 1830 წლის ნოემბრის აჯანყების გამო დატოვა ქვეყანა, ეკუთვნის ეს სიტყვები: „სამშობლოვ, შენი ჭეშმარიტი ფასი მხოლოდ იმან იცის, ვინც შენ დაგკარგა."

პოლონეთის ქალაქ ზაკოპანეს სასაფლაოს კარებს აწერია „ნაცია - ეს ერია და მისი საფლავები." ვარშავაში არის ასეთი საფლავიც: „ჯარისკაცი 14 წლის" - ტირილამდე მიგიყვანს კაცს.

პოლონეთში, ისე როგორც საქართველოში, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ შეგიძლია გახდე პოპულარული. იმიტომ, რომ პოლონელები განვლილ ცხოვრებაზე ბევრს ფიქრობენ.

დღესაც ქვეყანაში ასეთი აზრია, რომ პოლონეთში კომუნისტები 15 წლით ადრეც შეწყვეტდნენ არსებობას, რომ არა დასავლეთის განკების დახმარება. საერთოდაც აშშ-ის ერთ-ერთი რჩეული პრეზიდენტის რუზველტის დანაშაულებრივი შეცდომა, რომ არა, რომელსაც ეშინოდა ბრიტანული იმპერიის რეანიმაციის და ჩერჩილს სტალინით აბალანსებდა, პოლონეთი, ისევე როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიც უსათუოდ გადაურჩებოდნენ რუსულ ჩექმას, რომლის ქვეშაც მათ სულ ცოტა ნახევარი საუკუნე რომ გაატარეს.

გააკეთოთ, რაც შეიძლება
მეტი სიკეთე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი თვალისა წილ, კბილი კბილსა წილ: ებრაელთა კანონმდებლის მოსეს (მე-16 საუკ. ჩვ. წ. აღ-მდე) ათ მცნებაში ეს დევიზი გულისხმობს: თვალის ამოთხრისათვის - თვალის ამოთხრა, მკლავის მოტეხისათვის - მკლავის მოტეხვა, კბილების ჩამტვრევისათვის - კბილების ჩამტვრევა. ძველ ებრაული ეპოქის სამაგიეროს გადახდის ამ მცნებას ქრისტიანებმა თავისი მორალი დაუპირისპირეს.

ნაპოლეონ ბონაპარტე ამბობს: ,,ალექსანდრე მაკედონელმა, იულიუს ცეზარმა, კარლოს დიდმა და მე შევქმენით უდიდესი იმპერიები, მაგრამ ისინი ეფუძნებოდნენ ძალას. საუკუნეების წინ კი იესომ შექმნა თავისი სამეფო, რომელიც სიყვარულს ეფუძნებოდა და დღესაც მილიონები მზად არიან, მოკვდნენ მისთვის. იმპერიები ფერფლად იქცნენ... იესოს სამეფო კი ხელთუქმნელია და დიდებულად დგას. შეირყა რომის იმპერიის კედლები, იესოს სწავლება კი მთელი კაცობრიობის საკუთრებად იქცა."

,,თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა ,,შეიყვარე მოყვასი შენი და შეიყვარე მტერი შენი. მე კი გეუბნებით: გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევნით." (მათეს სახარება)

ამ ღვთაებრივ სიმაღლემდე ასვლ;აა ნაჩვენები ქართულ ხალხურ შედევრში ,,ლექსი ვეფხისა და მოყმისა"... აქ არის უდიდესი ზნეობრივი გმირობა. მოყმის დედა წუხს: ,,იქნებ ვეფხისა დედაი, ჩემზედ მწარედა სტირისა, წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა, იმასაც დარდი ექნების"... ეს სტრიქონები გასდევს და საუკუნეების მანძილზე განსაზღვრავდა მთელ ჩვენს ისტორიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტემდელი, წარმართული მთელი ბერძნული სამყაროც გაჟღენთილი იყო მსგავსი სულისკვეთებით: როგორ უნდა იძიო შური შენს მტრებზე? ეკითხებიან სოკრატეს მოწაფეები. პასუხი: - შეეცადეთ გააკეთოთ, რაც შეიძლება მეტი სიკეთე"...

რა იცოდა თუ მეფე არ ფხიზლობდა

ერთხელ მეფე ერეკლე ქალაქიდან თელავში მიდიოდა. გზად თუში მწყემსი შეხვდა, რომელიც თავში ხელებს იცემდა.

-რა იყო, თუშო, რა მოგივიდაო - ჰკითხა მეფემ.

-მწყემსიც მოუყვა: მთიდან დაღლილი ჩამოვედი, თვალი მოვატყუე და ცხენიც მოუპარავთო.

- ფხიზლად უნდა ყოფილიყავიო - უთხრა ერეკლემ.

- მე რა ვიცოდი შენი ჭირიმე, თუ მეფე არა ფხიზლობდაო - მიუგო მწყემსმა.

პოტიომკინის სოფელი

1761 წელს რუსეთის სამეფო ტახტზე პეტრე III დაჯდა. მას თავის საქმიანობა პრუსიის მეფის ფრიდრიხ II-ს იდეების მიხედვით უნდოდა წარმართვა, რის გამოც პეტრეს საგარეო პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალებმა შეთქმულება მოაწყვეს და იმპერატორი აიძულეს, ტახტიდან გადამდგარიყო. ტახტზე მისი ცოლი ეკატერინე ავიდა. 1762 წლის 28 ივნისს, შეთქმულების ხელმძღვანელმა ალექსი ორლოვმა, რომელიც დედოფლის მიერ პეტრეს მცველად დაინიშნა, სუფრა გამართა. მოხდა აურზაური და ამ დროს მოკლეს გადამდგარი იმპერატორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანაში მდგომარეობა უკიდურესად გართულდა. რუსეთში დაიწყო გლეხთა მასობრივი აჯანყებები. ეკატერინემ მემამულეების მისამხრობად დაურიგა მათ მრავალი სოფელი და მილიონზე მეტი გლეხი იურდიული აქტებით გაფორმებული. ცბიერი და ჭკვიანი ეკატერინე განათლებაში ევროპას მისდევდა. ეთაყვანებოდა დიდროსა და ვოლტერს.

იმ ხანებში ეკატერინეს რჩეული გახდა გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინი (1739-1791), რომელსაც გააჩნდა საკმაო ნიჭი და მოხერხება. მაგრამ მას ეკატერინეს ყურადღება თავისი გონებით არ მიუპყრია. ვნებიანი დედოფალი მისმა გარეგნულმა და ფიზიკურმა შესახედაობამ გაიტაცა და ამან პოტიომკინი დედოფალთან დაახლოვა. ამის შემდეგ იმპერიის ფაქტიური მმართველი პოტიომკინი იყო.

ამ პერიოდში რუსეთ-თურქეთის ომი მორეჯერ მოხდა. რუსეთმა შეიერთა ოდესა, სევასტოპოლი და შავი ზღვის სხვა საუკეთესო ადგილები. ამასთან ყირიმიც შეიერთა, რაშიაც განსაკუთებული წვლილი პოტიომკინსაც ეკუთვნის.

პოტიომკინის მოწინააღმდეგეები დედოფალს არწმუნებდნენ, რომ შემოერთებული მხარეები მწირია, ,,უდაბნოა და არ ღირს იმ თანხის დახარჯვა, რაც მასზეა გაცემულიო."

ეკატერინემ მოინდომა ამ ადგილების ნახვა. პოტიომკინმა მოწინააღმდეგეები რომ გაეცუცურაკებინა, ამ ადგილებში დროებით ჩაასახლა მრავალი სოფელი, უჩვეულოდ მოაწყო ადგილები, სადაც ეკატერინეს უნდა გაევლო, მორთო და მდიდრულად საზეიმო ხასიათი მისცა დედოფლის მგზავრობას. მოწყობილი ყველაფერი ბუტაფორია იყო, დამსგავსებული კეთილმოწყობილ სოფლებს. მსგავსება სინამდვილესა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკეტებს შორის იმდენად სრული იყო, რომ ეკატერინე აღტაცებას ვერ ფარავდა „აყვავებული მხარის“ ნახვით.

როცა ეკატერინემ ჩაიარა, სოფლები კვლავ „დაშალეს“, მოსახლეობა უკან სახლებში დააბრუნეს, ბევრი მათგანი, განსაკუთრებით ბავშვები გზაში გადაყვან-გადმოყვანის დროს დაიხოცა. ზარალი დიდი იყო, რომ აღარაფერი ვთქვათ, ამ უაზრობაში გახარჯულ ფულზეც. აქედან წარმოსდგა გამოთქმა „პოტიომკინის სოფელი“, რაც ნიშნავს თვალის ახვევას, მოჩვენებას.

ვიღამ გაანათოს!

დედამიწა რომ მზის გარშემო ბრუნავს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მესამე საუკუნეში, ბერძენი ასტრონომი, არისტარქეც ამტკიცებდა. მაგრამ, ნამდვილი მეცნიერული თეორია შეიქმნა ცხრამეტი საუკუნის შემდეგ. 1612 წელს იტალიელმა მეცნიერმა გალილეო გალილეიმ (1564-1642) გამოიყენა ტელესკოპი. მთვარეზე შენიშნა მთები, იუპიტერის თანამგზავრები და სხვ. შეამოწმა და დაასაბუთა „ჰელიოცენტრული სისტემა“ თეორიის ავტორის, ნიკოლოზ კოპერნიკის აღმოჩენა და გაავრცელა იგი. ეს თეორია ეკლესიის მესვეურებისათვის არ იყო სასურველი. ამიტომ მის ავტორს დაუწყეს დევნა. 1616 წელს პაპმა გააფრთხილა მეცნიერი, თავი მიენებებინა ამ უაზრო თეორიისათვის. 1633 წელს გალილეო გალილეი ეკლესიამ გაასამართლა და წაუყენა არჩევანი: ან სიცოცხლე, ან კოცონი. გალილეიმ სიცოცხლე არჩია და, როდესაც სამსჯავროდან გამოჰყავდათ, წამოიძახა: „მაინც ბრუნავს.“ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოთქმა კი ნიშნავს ურყევ რწმენას, მაგრამ, მისი საჯაროდ უარყოფის ფასად შენარჩუნებულს.

ჯორდანო ბრუნო (ბერად აღკვეცამდე - ფილიპე) - იტალიელი რელიგიური მოაზროვნე და პოეტი იყო. იგი გატაცებული იყო მაგიით და ასტრონომიით. დაიბადა 1543 წელს ქ. ნოლეში. 1563 წელს ბერად აღიკვეცა დომინიკანელთა ორდენში, მაგრამ დოგმატების ეჭვქვეშ დაყენების გამო (კერძოდ, ქალწულ მარიამისგან უბიწოდ განხორციელებული ღმერთის შესახებ), მწვალებლად იქნა მიჩნეული და ამიტომ 1576 წელს იძულებული გახდა იტალიიდან გაქცეულიყო. მოგზაურობდა ევროპაში, დროდადრო კითხულობდა ლექციებს. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში ლექციების კითხვა აეკრძალა.

ბრუნომ თავისი ფილოსოფიური შეხედულებები ჩამოაყალიბა შრომებში: „მიზეზის, საწყისისა და ერთიანის შესახებ," „მონადის, რიცხვისა და ფიგურის შესახებ," „განუზომლისა და ურიცხვის შესახებ." ბრუნოს აზრით, სამყარო უსასრულოა, იგი ერთგვაროვანი (ერთი და იმავე ელემენტებისაგან - ჰაერის, ცეცხლის, მიწის, წყლისა და ეთერისაგან შემდგარი) და ერთი საწყისიდან - მონადიდან წარმომდგარი სისტემაა, რომელსაც აქვს ახალ-ახალი ფორმების წარმოქმნის უნარი.

მაგრამ ბრუნო არც ფიზიკოსი იყო და არც ასტრონომი. გალილეო გალილეის, რომელიც ბრუნოს უდავოდ ნიჭიერ ადამიანად მიიჩნევდა, - არასდროს უღიარებია იგი მეცნიერად და მითუმეტეს, ასტრონომად. უფრო მეტიც, იგი ყოველნაირად გაურბოდა ბრუნოს მოხსენიებას თავის ნაშრომებში.

1592 წელს ბრუნო კვლავ დაბრუნდა იტალიაში, იგი დააპატიმრეს და ინკვიზიციას გადასცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1600 წლის 17 თებერვალს ჯორდანო ბრუნო მწვალებლობისთვის და ბერობის აღთქმის დარღვევისათვის ინკვიზიტორებმა რომში კოცონზე დაწვეს.

როგორც მოაზროვნემ, ჯორდანო ბრუნომ, მართლაც, დიდი გავლენა იქონია თავისი დროის ფილოსოფიური ტრადიციების განვითარებაზე და ამით - ახალი დროის მეცნიერების განვითარებაზეც. მაგრამ, იგი გაასამართლეს არა როგორც მეცნიერი და მოაზროვნე, არამედ როგორც ღვთისაგან განდგომილი და ბერობის აღთქმის დამრღვევი.

მეტად საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოებაც. ბრუნოს ზოგიერთ მოსაზრებას მეტ-ნაკლებად იზიარებდა მისი მრავალი თანამედროვეც. მაგრამ ცნობილია, რომ ისინი ბრუნოს მსგავსად ინკვიზიციას არ დაუსჯია. მაშ, რატომ დაწვეს ჯორდანო ბრუნო? რატომ მიიღო ინკვიზიციამ, უკიდურესი ზომები? ამის მრავალი მიზეზი არსებობდა. ჯერ ერთი, ბრუნოს საქმის გამოძიება 8 წლის მანძილზე მიმდინარეობდა. ამ ხნის განმავლობაში ინკვიზიტორებმა ზედმიწევნით შეისწავლეს მისი ნაშრომები. ისინი პატივს სცემდნენ ბრუნოს, როგორც ნიჭიერ მოაზროვნეს და ამიტომ გულწრფელად სურდათ, რომ ბრუნოს უარი ეთქვა თავის ანტიქრისტიანულ და ოკულტურ შეხედულებებზე, მაგრამ ბრუნო ჯიუტად იდგა თავის პოზიციებზე. კათოლიკური ეკლესია გამუდმებით მოუწოდებდა ბრუნოს სინანულისკენ და არ სურდა მისთვის საბოლოო, მკაცრი განაჩენის გამოტანა. სწორედ ამაზე მოწმობს მემატიანეს ცნობა იმის შესახებ, რომ თავად მოსამართლეები უფრო განიცდიდნენ ბრუნოს განაჩენს, ვიდრე ბრალდებული. ჯორდანო ბრუნოს კი ეს ფაქტი თავისებურად ესმოდა; მან განაცხადა, რომ ინკვიზიტორებს უფრო ეშინოდათ მისთვის განაჩენის გამოტანა, ვიდრე თავად მას - ამის მოსმენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინკვიზიციის მიერ ბრალდებული იმ ეპოქის მრავალი მეცნიერი და ფილოსოფოსი მსგავს ვითარებაში სინანულისთვის მზად იყო, მაგრამ არა სასჯელის შიშით, არამედ იმიტომ, რომ მათ ქრისტეს დაკარგვა და ეკლესიურ ტრადიციებთან განშორება აშინებდათ. ბრუნოს კი პროცესის დროს ქრისტეს დაკარგვის შიში არ ჰქონია, რადგან მან იგი თავის გულში ბევრად ადრე დაკარგა...

ნიკოლოზ კოპერნიკი, დაიბადა 1473 წლის 19 თებერვალს ქ. თორნში (პოლონურად თორუნი), დასავლეთი პრუსია — გარდაიცვალა, 1543 წლის 24 მაისს ფრაუენბერგში (დღევანდელი ფრომბორკი), ერმლანდის სამთავრო). ამდენად, გახლდათ პოლონელ-პრუსიელი ასტრონომი.

კოპერნიკმა ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად დაამტკიცა, რომ სამყაროსა და პლანეტების ცენტრი მზეა. დედამიწაც, როგორც საერთო პლანეტა, ბრუნავს მზის გარშემო. ამ აღმოჩენით საფუძველი ჩაეყარა ჰელიოცენტრულ სისტემას (**ბერძნ.** ‘ἡλιος. „ჰელიოს“ ნიშნავს მზეს, **ლათ.** *centrum* „ცენტრუმ“ — ცენტრს).

კოპერნიკი ვერ მოესწრო თავისი წიგნის გამოცემას, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მან სთხოვა მოწაფეებს, მისი ნაშრომი გამოეცათ მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდგომ. კოპერნიკის შიშით გამოწვეული სიფრთხილე, არცთუ უსაფუძვლო გამოდგა. როცა მისი ნაშრომი დაიბეჭდა, კათოლიკურმა ეკლესიამ ის აკრძალულ წიგნთა სიაში შეიტანა.

მაშ ასე სამი მაგალითი, სამი განსხვავებული გზა სიმართლის თქმისთვის არჩეული. კოპერნიკმა თავი აარიდა უსიამოვნო განსაცდელს; გალილეიმ ურყევი რწმენა, საჯაროდ უარყოფის ფასად შეინარჩუნა; ბრუნომ კი თავის რწმენას სიცოცხლე შესწირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი შეხედვით ყველაზე უფრო გონივრულად და წინდახედულად, ჩანს კოპერნიკი მოიქცა. მის საქციელთან შედარებით, აღარაფერი რომ ვთქვათ გალილეის სამარცხვინო ქმედებაზე, ბრუნო ყველაზე უფრო ნაკლებად პრაგმატული გამოდგა. მაგრამ მან იცოდა რაზეც მიდიოდა და ამაში ის ნამდვილად არ ცდებოდა.

ყველამ რომ მხოლოდ თავის გადარჩენაზე ვიფიქროთ, რა მოხდება მაშინ? ,,შენ თუ არ იწვი, მე თუ არ ვიწვი, ვიღამ გაანათოს!"

ბურიდანის ვირი

ფრანგი ფილოსოფოსი ჟან ბურიდანი (მე-14 ს.) უარყოფდა ნებისყოფის თავისუფლებას, რომ ადამიანის ნებისყოფა გარემოზე - ბუნებაზეა დამოკიდებულიო და ამის დასამტკიცებლად მშიერი ვირის მაგალითს იშველიებდა. ვირი დგას ორ თივის კონას შორის თანაბარ მანძილზე. მანძილი ორივე მხარეს იმდენად ზუსტია, რომ ვირი ვერ ირჩევს, რომელ მხარეს გადადგეს. ბურიდანი ასკვნის, რომ ვირი ფეხს ვერ მოიცვლის და შიმშილით მოკვდება. მაშასადამე მისი ნებისყოფა არ არის თავისუფალი.

სტალინის სასტიკი ხუმრობები

1943 წლის 30 ნოემბერს თეიერანში გამართულ შეხვედრაზე სტალინმა ჩერჩილსა და რუზველტს შესთავაზა, ომის დამთავრების შემდეგ ბერლინის შუაგულში 50 ათას ნაცისტ ოფიცერს მოვუყაროთ თავი და სახალხოდ დავხვრიტოთო. ამაზე ჩერჩილმა სასტიკი პროტესტი გამოთქვა. სიტუაციის განმუხტვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუზველტი ხუმრობით შეეცადა - ჯანდაბას, 49 ათასი იყოსო. ჩერჩილი გაბრაზდა. ცალკე ოთახში გავიდა და უკან აღარ შემობრუნებულა, სანამ სტალინმა არ მიაკითხა და არ უთხრა, - ვიხუმრეო.

სტალინი მოსკოვის სამხატვრო აკადემიურ თეატრში სპექტაკლს ესწრებოდა. დამთავრდა მეორე მოქმედება. სტანისლავსკი და თეატრის სხვა ხელმძღვანელები კრთომით შეჰყურებდნენ. ხმის ამოღებას ვერავინ ახერხებს. დუმს სტალინიც. ბოლოს ერთ-ერთმა მაინც შებედა:

-ამხანაგო სტალინ, როგორ მოგწონთ ჩვენი სპექტაკლი?

-მოსაწყენია...

ყველა შეშფოთდა. გულწასული რაჟისორი იქვე ჩაიკეცა.

-შესვენებებზე. თქვა სტალინმა და გაიღიმა.

ყველანი იცინიან.

გამარჯვებულებს არ ასამართლებენ

ეს გამონათქვამი სუვოროვთან არის დაკავშირებული. 1773 წლის მაისში, მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომის დროს, მას მიზნად ჰქონდა ქალაქ ტურტუკაის (მდინარე დუნაის გაღმა მდებარე) აღება, მაგრამ თურქებმა გაიგეს ეს და რუსები მოიგერიეს. სუვოროვმა ბრძანება მიიღო უმაღლესი სარდლობისაგან, მეორედ არ გაელაშქრა, რადგან მისი მცირე რაზმით გამარჯვება საეჭვოდ მიაჩნდათ. სუვოროვმა 22 მაისს, შუადღისას, სწრაფად შეუტია და დაიკავა ტუტრტუკაი და თავისი გამარჯვება ასე გალექსა: „მადლობა ღმერთს, მადლობა თქვენ, ტურტუკაი აღებულია და იქ ვარ მე."

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარების სარდალი რუმიანცევი აღაშფოთა სუვოროვის ჯიუტობამ და პასუხისგებაში მისცა. სამხედრო კოლეგიამ სუვოროვს სიკვდილი მიუსაჯა. იმპერატორმა ეკატერინემ არ მიიღო სამხედრო კოლეგიის აზრი და განაჩენზე წააწერა: „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ."

დიოგენეს ფარანი

ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენი (404-323 წლები ჩვენს ერამდე) წინააღმდეგი იყო კერძო საკუთრების, ქორწინების წესებისა და კულტის, რადგან მიაჩნდა: ქონება, სიმდიდრე, ფუფუნება რყვნის ადამიანს და ადამიანობას უკარგავსო. მას ზედმეტად მიაჩნდა საოჯახო ნივთებიც კი, თავი მიანება თავის ქონებას და მხოლოდ ვერცხლის თასი დაიტოვა წყლის დასალევად. ღამესაც კი კასრში ათევდა. ერთხელ დაინახა. მწყემსმა წყალი დალია პეშვით და ვერცხლის თასიც გადააგდო, ზედმეტი ყოფილაო. იგი მოითხოვდა, რომ ადამიანი ყოფილიყო სრულყოფილი, უნაკლო, მაგრამ ასეთს ვერ ხედავდა და დღისით ანთებული ფარნით დადიოდა ათენის ქუჩებში. შემხვედრთა შეკითხვაზე, თუ რატომ იქცეოდა ასე? ის პასუხობდა: ადამიანს ვეძებო.

კასრში ცხოვრების მიუხედავად, თავი ყოველთვის ამაყად ეჭირა. ერთხელაც ალექსანდრეს მოუწია, მეგობრებთან ერთად მასთან შეხვედრა. ფილოსოფოსი ის ის იყო კასრიდან გამოსულიყო და მზეს ეფიცხებოდა.

- დიოგენე, რას ისურვებ შენთვის, რომ გავაკეთო! ეკითხება მაკედონელი ფილოსოფოსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ცოტა გვერდზე გადადექი, ასე მზეს მიჩრდილავო, უპასუხა დიოგენემ.

ამაზე ყველა დროის უდიდესი სარდლის პასუხიც ღირსეული იყო: ეჰ, ალექსანდრე არ ვიყო, დიოგენობას ვინატრებდიო.

დრო ფულია

ცნობილია, რომ კანადელმა ფაბრიკანტმა არ შეუშვა ფაბრიკაში კარნეგი. მისი აზრით, მასთან 600 ქალი მუშაობდა. თუ სტუმარი იქ შევიდოდა, 600 ქალი ერთხელ მაინც წამოსწევდა თავს და ამით დაეკარგებოდა ნახევარი წუთი.

დრო ხომ ფულია!

ეროვნულობის განუმეორებელი სურნელი

ქართველებმა მოსკოვში ქართული პურის თონე გახსნეს. დიდი მცდელობის მიუხედავად, პური ისეთი არ გამოცხვა, როგორიც საქართველოში. რჩევისათვის მიმართეს ნიკო კეცხოველს. ბატონმა ნიკომ ქართული ფქვილის მოსკოვში ჩატანა შესთავაზა. მიიღეს სწორედ ისეთი პური, რომლის სურნელსაც თონესთან ჩავლისას ყველა ჩვენგანი მოუხიბლავს... თურმე ჩვენს ხორბალს თან მიჰყვება ბალახების მტვერი, რომელიც განუმეორებელ სურნელს აძლევს ქართულ პურს....

ისტორიაც საკვებია და საკვები კი ისტორია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე ერეკლეს, მძიმე ავადმყოფობის დროს მარხვის პერიოდში ვარიის წვენი მოუმზადეს თურმე. მეფემ ყნოსვით იგრძნო და განრისხდა:

-მე რომ ხორციელს პირი დავაკარო, სხვები რას იზამენ, ქვეყანა გაირყვნებაო.

რას ნიშნავს გერმანელისთვის „კაი ყმა“

გერმანიაში სამი ტიპის გერმანელს გამოყოფენ: ადამიანი, რომელიც ორგანიზაციას უკეთებს ჭის გათხრას, სოფელს წყალს აძლევს, თუმცა გასამრჯელოს იღებს, კარგი გერმანელია;

გერმანელს დაავალეს ჭის გათხრა და მან ეს პატიოსნად შეასრულა, ის არის წესრიგის მოყვარული გერმანელი;

გერმანელმა მოქალაქემ საკუთარი ძალებით გათხარა ჭა, ხალხს წყალი მისცა და არავითარი გასამრჯელო არ აუღია, აი, ეს არის ჭეშმარიტი გერმანელი.

„მემენტო მორი“

მე-17 საუკუნის რელიგიური ორდენის - ტრაპისტებს, ყოველდღე და ყოველ წამს როცა ისინი ხვდებოდნენ, სიკვდილის გარდუვალობას ახსენებდნენ ერთმანეთს. წესად ჰქონდათ მისალმება ლათინური სენტენციით: „მემენტო მორი“ - „გახსოვდეს სიკვდილი!“

საყოველთაოდ ცნობილია, როგორ დაგმო დიდმა საბჭოთა პოეტმა მაიაკოვსკიმ ასევე დიდი პოეტის ესენინის თვითკვლელობა:

„სასიხარულოს ცოტას გვაძლევს პლანეტა ვრცელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მოვტაცოთ სიყვარული მყოფადს ეკლიანს,
თავი მოიკლა სიცოცხლეში არ არის ძნელი,
ცხოვრება შექმნა, გაცილებით უფრო ძნელია."

ცოტა ხნის შემდეგ, შექმნილი სიტუაციის გამო, „ბაღდათელმა ბიჭმა" თვითონაც მოიკლა თავი.

მოსკოვში, ვაგანკოვის პანთეონში, ესენინის საფლავის გვერდით, განისვენებს მისი მდივანი ქალი გალინა ბენისლავსკაია, რომელმაც ერთი წლის შემდეგ მისსავე საფლავზე მოიკლა თავი.

მკვლევართა შორის სხვადასხვა მოსაზრება არსებობს იმის შესახებ, თუ რატომ გაიქცა ასაკოვანი ლევ ტოლსტოი იასნაია პოლიანადან: ერთნი ცოლთან გამუდმებულ დავას ასახელებენ, მეორენი მისი ხასიათის თავისებურებაზე მიუთითებენ, ყურადღებას სხვა ფაქტორებზე და მიზეზებზეც ამახვილებენ.

თომას მანმა გენიალურად შენიშნა: „ტოლსტოი იასნაია პოლიანადან სიკვდილს გაექცა, რადგან იგრძნო, რომ მიქელ გაბრიელმა მოაკითხაო."

სიკვდილი კი დიდ მწერალს გზაში, რკინიგზის ერთ პატარა სადგურში დაეწია.

ბუსიდოს სული

ბუსიდო (სიტყვ. „მეომრის გზა") წარმოადგენს მოძღვრებას რაინდულ ქცევაზე. ბუსიდო, ერთი მხრივ, სამურაების მორალური კოდექსია, მეორე მხრივ კი დროთა განმავლობაში ტრადიციად ქცეული - იაპონელი ერის საწყისი სული.

მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს მოუხდენიათ ბუსიდოს, როგორც სამურაების კოდექსის სისტემატიზაცია სახელმძღვანელოდ, წესების კრებულად ან კანონთა კოდექსად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუსიდოს გავლენა იაპონელთა ცხოვრებაზე ამით არ შემცირებულა. იგი იაპონელთა გულებში მყარად დაფუძნდა.

როგორც ცნობილი იაპონელი მწერალი კან კიკუტი ამტკიცებდა, ადრინდელი ბუსიდო იყო „მეომრის გზა," ახლა კი „ერის გზად" გადაიქცაო.

დღესაც მოზარდი თაობის აღზრდას ისევე, როგორც ოდესღაც სამურაების, ბუსიდოს სული უდევს საფუძვლად. ბუსიდო ასწავლის იაპონელს ეროვნული პატივმოყვარეობით იყოს შეპყრობილი. მუდამ ესწრაფოდეს იაპონია ყველაზე წინ დააყენოს. აი, სად იმალება იაპონური დაუშრეტელი ენერგიის სათავეები. თავად ამ მდინარეს კი კვებავს ქვეყნის ისტორიაში დიადი საქმეები, სადაც ადამიანები ხელახლა პოულობენ საკუთარი თავის რწმენას. ამდენად იგი არა მარტო ხსოვნაა წარსულის, იგი ამასთანავე ქმედითი მონაწილეა მომავლისაც.

ამჯერად გვსურს იაპონელთა ეროვნული ერთგულებისა და მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის დაუჯერებელი ისტორია მოგითხროთ.

1974 წელს. მარტის შუა ხანებში ომიდან იაპონიის გამოსვლის სამი ათეული წლის შემდეგ ფილიპინებზე შედგა იაპონური არმიის ერთ-ერთი ქვეგანაყოფის „კაპიტულაცია," რომელიც 1945 წლამდე იქ იბრძოდა. ცოცხალი მხოლოდ ერთი კაცი გადარჩა - სპეცდანიშნულების ჯგუფის მეთაური პოდპორუჩიკი ონოდა. ამ ფაქტს მსოფლიოს მრავალი გაზეთი იტყობინებოდა. კითხულობდნენ რა იაპონურ ჟურნალ „მანტაიმში" დაბეჭდილ ამბავს ონოდას - „კაპიტულაციაზე" - მკითხველებს ანცვიფრებდა თანამემამულის საქციელი, უცხოელთ მითუმეტეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1944 წლის ბოლოს საიმპერატორო არმიის სპეცდანიშნულების ჯარების ქვეგანაყოფის მეთაურმა ტანიგუტიმ გამოიძახა პოდპორუჩიკი ონოდა და უბრძანა: უნდა დაიმალოთ კუნძულ ლუბანგის მთებში. თქვენი მიზანია - ტერორი, მოწინააღმდეგეზე ინფორმაციის შეფროვება, ზიანის მიყენება. ჩვენ კიდევ დავბრუნდებით ლუბანგზე და თქვენი ჯგუფის ამოცანაა, გაგვიადვილოთ დაბრუნება. გასაგებია?

-და ბოლოს, ამ ბრძანებას მე გაძლევთ და ჩემს გარდა მისი შეცვლის უფლება არავის აქვს.

ასე მოხვდა ფილიპინების პატარა კუნძულის ჯუნგლებში პოდპორუჩიკი ონოდა. მასთან ერთად დავალების შესასრულებლად გააგზავნეს უმცროსი უნტერ-ოფიცერი სიმადა და პირველი კლასის რიგითი ჯარისკაცები: აკაცუ და კოცუკა. სპეცდანიშნულების ჯგუფმა დაიწყო თავისი ,,ომი," რომელიც წლობით და ათწლეულობითაც კი გაგრძელდა.

ოთხეულს პირველი გამოაკლდა აკაცუ: 1951 წლის გაზაფხულზე ტყვედ ჩაბარდა. სამი წლის შემდეგ მაისში 1954 წელს ფილიპინების არმიის სამთო მშვილდოსანთა ქვეგანაყოფებთან შეტაკებებში დაიღუპა უნტეროფიცერი სიმადა. კიდევ 18 წლის შემდეგ პატრულთან შეტაკებაში მოკლეს კაცუკა. ჯგუფის მეთაურმა ყველა ხელქვეითი დაასამარა, მისთვის კი ომი მხოლოდ 1974 წლის 10 მარტს, ე.ი. მაიორ ტანიგუტის საბრძოლო დავალების შესრულების დაწყებიდან 29 წლისა და 3 თვის შემდეგ დამთავრდა.

როგორ ცნო კაპიტულაცია ონოდამ?

1946 წლის მარტი იდგა. ლუბანგის ტყეებში ამერიკელი ჯარისკაცების თანხლებით დაეხეტება იაპონელი მეგაფონით ხელში და მარადმწვანე მთების კალთებს ამცნობს იაპონიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბოლოო კაპიტულაციას. მის მოწოდებას, შეწყვიტონ წინააღმდეგობა, დაემორჩილა ჯარისკაცების ოთხი ათეული, რომლებმაც თავის ნაწილებთან ერთად ევაკუაცია ვერ მოასწრეს. ონოდა კი ჯუნგლებში დარჩა.

1954 წლის მაისში იაპონიამ ლუბანგზე გააგზავნა დელეგაცია ონოდასა და კაცუკის გადასარჩენად. ჯგუფში ახლობლები და ნათესავებიც იყვნენ. მთებში სამი კვირის ხეტიალმა შედეგი არ გამოიღო. ხმის ჩახლეჩამდე მოუწოდებდნენ იარაღი დაეყარათ და ხელისუფლებას ჩაბარებოდნენ, ბოლოს დელეგატები უშედეგოდ დაბრუნდნენ იაპონიაში. 1959 წლის მაისში ლუბანგზე იმავე დავალებით რიგრიგობით ჩავიდა სამი ჯგუფი. ერთ-ერთში პოდპორუჩიკის ძმაც იყო. ონოდამ მოისმინა მისდამი მოწოდებანი და ძმაც იცნო, მიუხედავად ამისა ,,ბრძანების აღსრულება" არ შეუწყვეტია. 1972-1973 წლებში მძებნელთა კიდევ ოთხი ჯგუფი წავიდა, ამჯერად ფილიპინების ტყიდან ონოდას გამოყვანაში მამამისიც იღებდა მონაწილეობას. ეს უკანასკნელი დაეხეტებოდა ლუბანგის მთებში და იაპონური კლასიკური სამტაეპიანი ლექსის ჰაიკუს სტრიქონებს გაყვიროდა:

,,რამდენი მოგონებანი
სულში გააღვიძეთ,
ო, ალუბლებო ძველი ბაღისა!"

ონოდა კი ,,ომს" განაგრძობდა...

ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს ,,ომი" და საბოლოოდ რითი დასრულდებოდა ონოდას სიცოცხლე, რომ მას ,,ტყვედ არ ჩაეგდო" თანამემამულე - ახალგაზრდა იაპონელი ტურისტი. მასთან საუბარში ონოდამ კატეგორიულად განაცხადა სანამ სამი ათეული წლის წინ გაცემულ ბრძანებას არ გააუქმებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი უშუალო უფროსი, ის, საიმპერატორო არმიის ოფიცერი, ომს გააგრძელებდა.

ამ საუბრის შემდეგ კიდევ ერთი მხსნელი ექსპედიცია გაიგზავნა. მის შემადგენლობაში იყო ყოფილი მაიორი ტანიგუტი - ის, ვინც ონოდა გააგზავნა. გვიანი მარტის ერთ საღამოს ფილიპინების ჯუნგლებში გადამდგარმა მაიორმა სმენაზე მდგომ შაშხანიან პოდპორუჩიკ ონოდას წაუკითხა ბრძანება დაკისრებული საბრძოლო დავალების გაუქმებაზე. ოფიცრის ოცდაათწლიანი ომი დამთავრდა.

თუ როგორ ღრმად დაიბუდა ბუსიდოს სულმა ონოდაში, კიდევ ერთხელ გამოჩნდა მის საუბარში ტელეკამერების წინ: „არ ვნებდებოდი. მე ხომ მოვალე ვიყავი, მხოლოდ უშუალო უფროსის ბრძანებით მემოქმედა... ხელქვეითთა დაღუპვა არ მინაღვლია, სურვილი კი მქონდა მათი სიკვდილისთვის შური მეძია... მშობლები არ მახსოვდა. ვფიქრობდი - თუ დაღუპულად მთვლიან სულიერად ამაღლებულან. ეს კი სიცოცხლეს გაუხანგძლივებდა მათ."

P.S. ისტორიკოსის ამოცანაა, აჩვენოს არა მხოლოდ ის, რაც ნამდვილად მოხდა, მან უნდა შეძლოს მითის გამოცალკავება რეალობისგანაც, რათა წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებული ღირებულებები გადაიხედოს და ყოველი ახალი თაობის მიერ ხელახლა იქნას გააზრებული. ამ გამოცდილების ხელაღებით იგნორირებას კი საზოგადოებისათვის მხოლოდ ზიანის მიყენება შეუძლია.

კამიკაძეების დრამატული ისტორია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუსიდო იაპონელი ხალხის ისტორიული წარსულია, რომელიც ნისლივით კი არ ქრება, თაობათა გულებში განაგრძობს სვლას. ბუსიდოს შეუძლია „ერის სახელით“ მასები აამოქმედოს ყველაზე დაუჯერებელი საქმეებისთვისაც კი. ამის მაგალითია კამიკაძეების დრამატული ისტორია, რომელსაც წარმოგიდგენთ.

მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში იაპონია მონღოლთა შემოსევის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ჩინგიზ ხანის შვილიშვილი ხუბილაი ორჯერ (1274 და 1281 წწ.) გემების არმადით მიადგა იაპონიის ნაპირებს და დაპყრობა სცადა. ორივე ექსპედიცია უშედეგო აღმოჩნდა: დამპყრობელთა გადმოსხდომისას იაპონიის კუნძულებზე საშინელი ტაიფუნი ამოვარდა და გემების უმრავლესობა გაანადგურა. იაპონელმა ისტორიკოსებმა ამ ტაიფუნებს „კამიკაძე“ შეარქვეს, რაც „ღვთაებრივ ქარს“ ნიშნავს. მათში იაპონელი ხალხისადმი ღვთაებრივი დახმარება იგულისხმება.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს, როცა იაპონია დამარცხდა, სარდლობამ კამიკაძე დაარქვა თავგანწირულ ახალგაზრდებს, რომელთა დახმარებითაც აპირებდნენ ომის მსვლელობის შემობრუნებას. თავდაპირველად ისინი ამერიკულ თვითმფრინავებზე მონადირე მფრინავები იყვნენ. შემდეგ გაჩნდნენ „ადამიანი-ნავები,“ „ადამიანი-ნაღმები,“ „ადამიანი-ტანკები“ და ა.შ.

ომის ბოლოსთვის იაპონიის შეიარაღებულ ძალებში მოქმედებდა ასობით ამგვარი რაზმი. ზოგი მათგანი ათასზე მეტ მეომარს ითვლიდა.

კამიკაძეს პირველი რაზმების დამაარსებლად და მათ იდეურ სულისჩამდგმელად ადმირალი ონისი ითვლება. მან 1944 წლის შემოდგომაზე ფილიპინებზე ჩამოაყალიბა ესკადრილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,კამიკაძე.“ იგი შედგებოდა ოთხი ქვედანაყოფისგან, რომელთაც დაარქვეს ტოკუგავას პერიოდის პოეტის სამურაი ნორინაგა მოტოორის პოემიდან ნასესხები სახელები. ადმირალი ონისი ამტკიცებდა, რომ რაზმების ნებისმიერ მებრძოლს ,,მიწიერი სურვილებისაგან დაცლილ ღმერთად“ მიაჩნდა თავი.

მფრინავ კამიკაძეებს უნდა ჩამოეგდოთ საჰაერო ობიექტები და სხვა სამიზნეები; ,,ადამიან-ნავებს“ ასწავლიდნენ, როგორ მიემართათ ტორპედო მოიერიშე მოწინააღმდეგის გემისაკენ; ,,ადამიანი-ნაღმები“ იცვამდნენ წყალქვეშა კოსტუმებს და ჭოკით ხელში, რომელთა ბოლოზეც ძლიერი ნაღმი მაგრდებოდა, ემზადებოდნენ მოწინააღმდეგის სადესანტო გემთან შეხვედრისთვის. ამგვარი პრინციპით იწვრთებოდნენ ,,ადამიანი-ტანკები,“ ,,ადამიანი-ტყვიამფრქვევები,“ ,,ადამიანი-ჭურვები“ და სხვა.

იაპონიაში კამიკაძეს რაზმების ჩამოყალიბება, რასაკვირველია, შემთხვევითი არ ყოფილა. თავის წარმოშობას ისინი ბუსიდოს მორალურ-ეთიკურ სისტემას უნდა უმადღოდნენ. კამიკაძეების წვრთნას საფუძვლად დაედო იაპონიისა და იმპერატორისთვის თავის გასაწირავად მზადყოფნის იდეა. თუ საშუალება იყო, რაზმებში კამიკაძეებს სამურაების აუცილებელი ატრიბუტი - ხმალიც კი ჰქონდათ. მეომრები თავზე იჭერდნენ თეთრ სახვევს ჰატიმაკის, ზუსტად ისეთს, როგორსაც ბრძოლის წინ სამურაები ატარებდნენ ხოლმე.

იაპონიის საომარი წრეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბუსიდოს კოდექსმა საკმაოდ კარგი ნიადაგი მოამზადა რათა იაპონელი ახალგაზრდების შეგნებაში თავგანწირვის იდეა ჩანერგილიყო. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მოხალისეთა ძებნა არ გაუჭირდებოდათ. უნდა ითქვას, რომ სამხედროთა ასეთი რწმენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაქტიკულად დადასტურდა. იაპონელი ყმაწვილები ისე მიესივნენ კამიკაძის რაზმებს, როგორც პეპლები ალს. მათ თავიანთი საქციელი ბედისადმი შემრიგებლობად კი არ მიაჩნდათ, არამედ თვლიდნენ, რომ ემსახურებოდნენ იდეალებს და სახელმწიფო ინტერესებს.

ახლობლებთან და ნათესავებთან მიწერილ წერილებში თავგანწირული ახალგაზრდები აღფრთოვანებით აცნობდნენ თავიანთ სურვილს - სიცოცხლე შეეწირათ იაპონიისა და იმპერატორისთვის.

მაგალითად, 20 წლის მიჩმანი ტერუი იამაგუტი მშობლებს სწერდა: ,,ნუ იდარდებთ ჩემზე,. მართალია, ჩემი სხეული დაიფერფლება, სამაგიეროდ სული მშობლიურ მხარეში დაბრუნდება და სამუდამოდ თქვენთან, მეგობრებთან და მეზობლებთან დარჩება. ვლოცულობ თქვენი ბედნიერებისათვის."

მეორე მიჩმანი იტირო ჰაიასი, 22 წლისა, ეყრდნობოდა რა ბუდისტურ დოგმებს, წერილით დედას ამშვიდებდა: ,,ძვირფასო დედა, ნუ დარდობ ჩემზე. რა ბედნიერებაა ბრძოლაში სიკვდილი! მე წილად მხვდა ბედნიერება, იაპონიისთვის მოვკვდე!.. ნახვამდის, ძვირფასო, ზეცას შეევედრე, თავისთან წამიყვანოს. ძალიან მეწყინება, თუ ზეცა ხელს მკრავს. ილოცე ჩემთვის, დედა."

საერთოდ კამიკაძეს რაზმებში სუფევდა ეროვნული აღმაფრენა. უნიფორმიანი და სამურაის თავსახვევიანი ახალგაზრდები უყოყმანოდ მიდიოდნენ სასიკვდილოდ. მათ, ვინც ზუსტად შეასრულებდა დავალებას და მტერს ზიანს მიაყენებდა, ყველანაირად ხოტბას ასხამდნენ, აღმერთებდნენ. დაღუპულებზე ბევრს ლაპარაკობდნენ, ავრცელებდნენ მათ პორტრეტებს; ისინი ცოცხლად დარჩენილთათვის სამაგალითონი იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე იაპონელთა შემხედვარეს გიჭირს დაარწმუნო თავი, რომ კამიკაძეს სული უკვე ისტორიულ ნანგრევებშია მოქცეული.

გონიერი ბებია

ცნობისმოყვარე პატარა ბავშვი ფანჯრიდან დასაფლავების ცერემონიალით არის დაკავებული - უკანასკნელ გზაზე მიასვენებენ მიცვალებულს და მას ადამიანთა გრძელი რიგი მიჰყვება.

ბებია დაინტერესდა ამ ცელქი ბავშვის მოულოდნელი სიდინჯით და ეკითხება:

რა ხდება? რას უცქერ?

ბავშვიც უხსნის ბებიას:

ბებია, მიცვალებულს ასაფლავებენ და მის უკან გრძელი რიგია.

ჩვენ ყველანი ამ რიგში ვდგავართ ჩემო კარგო, პასუხობს მოხუცი შვილიშვილს, მოვა დრო, როდესაც რიგის თავში პირველნი ვიქნებით.

ისტორია ყველას არა აქვს

როგორც ისტორიის მუზის, კლიოსგან მიღებული გაკვეთილი ნათლად გვიჩვენებს, ამქვეყნად ყველაფერს აქვს ისტორია, რომ ყველაფერს აქვს წარსული.

მაგრამ ყველა როდი ფიქრობს ასე: როდესაც ცნობილი რუსი მწერალი ალექსანდრე პუშკინი მუშაობდა გლეხთა აჯანყებასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის წინამძღოლ ჰუგაჩოვის საკითხზე, იმპერატორმა ნიკოლოზმა ასეთი კომენტარი გააკეთა: ,,ასეთ ადამიანს არ აქვს ისტორია."

ამ მხრივ ადამიანთა აზროვნებაში, არც დროის ცვლილებას მოუხდენია გავლენა. 1950-იან წლებში, როდესაც ბრიტანელი ისტორიკოსის სადოქტორო ნაშრომი ეხებოდა საფრანგეთის რევოლუციაში სახალხო მოძრაობას, ერთ-ერთმა გამომცემელმა მას ჰკითხა: ,,რატომ იწუხებთ თავს ამ ბანდიტებით."

როგორც ჩანს ,,მოვლენაზე ორიენტირებული" ისტორიის წერა, კვლავაც არ კარგავს თავის დანიშნულებას.

სიკვდილთან ღირსეული გამკლავება

საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ერთ-ერთი ბელადი მარატი შარლოტა კორდემ აბაზანაში ხანჯლით მოკლა. მას სიკვდილი მიუსაჯეს. აღასრულა რა განაჩენი, ჯალათმა ხელში აიღო მოკვეთილი თავი და სილა გააწნა. კანონის დარღვევისათვის, რომელიც ითვალისწინებდა დასჯას და არა პიროვნების შეურაცხყოფას. რევოლუციურმა კონვენტმა ჯალათი დასაჯა.

საოცარია ისიც, რომ შარლოტა კორდეს დაპატიმრებისას ხანჯალთან ერთად ნემსი და ძაფი აღმოაჩნდა. შეკითხვაზე, რად სჭირდებოდა ეს, მკვლელმა უპასუხა: ,,ვიცოდი, მარატის მკვლელს ხალხი გამწეწავდა და ეშაფოტზე კაბა დახეული მექნებოდა, ის რომ არ დამეკერა, ბრბო დამცინებდაო."

როდესაც სიკვდილით სჯიდნენ ინგლისელ ჰუმანისტს და სახელგანთქმული წიგნის ,,უტოპიის" ავტორს თომას მორს, მან ჯალათს სთხოვა მოვალეობის აღსრულების დროს ხელი არ ეხლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი წვერისათვის, რომელსაც „ოდნავადაც არ ედო ბრალი სახელმწიფო დანაშაულში."

როცა შოტლანდიის დედოფალს მარიამ სტიუარტს ჯალათმა კუნძზე თავი დაადებინა, მოულოდნელად სიკვდილმისჯილმა მას თხოვნით მიმართა: „ნაჯახი ცოტა ქვემოთ დამარტყი, ვარცხნილობა არ დამიშალო!"

ცოტა მოგვიანებით, იგივე სიტყვები გაიმეორა განაჩენის აღსრულებისას რევოლუციური საფრანგეთის სახელით სიკვდილმისჯილმა, მეფის ერთ-ერთმა ფავორიტმა ლამაზმანმა მადამ დიუბარმაც.

ცნობილია ასევე თუ როგორ ამაყად და მშვიდად შეხვდნენ ჯალათის ნაჯახს რევოლუციის რკინის ხელით დამხობილი მონარქები: ინგლისში - ჩარლზ I სტიუარტი. ცოტა მოგვიანებით კი საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XVI და დედოფალი მარი ანტუანეტი...

--ეშაფოტზე ასვლის წინ საფრანგეთის მონარქი ლაპერუზას მოგზაურობის შედეგებით დაინტერესდა

მართლაც რომ საკვირველია! მათ ფუფუნებისთვის ზრდიდნენ, სიკვდილთან ღირსეული გამკლავება ხომ არავის უსწავლებია.

დაუჯერებელი სისასტიკე

მათ, ვისაც ქართველების მიმართ ჯალალედინის მიერ გამოჩენილი სისასტიკე ანცვიფრებს, კერძოდ, 100 ათასი ადამიანის სიკვდილით დასჯა, შევახსენებდი ისტორიიდან არა ნაკლებ საზარელ მაგალითებსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ ლენგის ბრძანებით: ირანის ქალაქ ისფაჰანში ერთ დღეს თავი მოჰკვეთეს 70 ათას კაცს. მოკვეთილი თავებისაგან პირამიდები ააგეს.

ინდოეთში ერთ ლაშქრობისას 10 ათასი კაცი სიკვდილით დასაჯეს.

ბაღდადში ერთ დღეში 90 ათასი ადამიანი ამოწყვიტეს.

ხორასანში (ირანის პროვინცია) ათასობით ადამიანი საძირკვლებსა და კედლებში ცოცხლად ჩამარხეს.

ამ შემთხვევაში ჩვენ უფრო სხვა რამ უნდა გვაკვირვებდეს, კერძოდ: „ოქროს ხანის" საქართველოს ისტორიკოსთა მიერ გადმოცემული ამბები, სადაც მათ მიერ თვალისმომჭრელად გაშუქებული გვრჩება მხოლოდ ამ ეპოქის საქართველოს საგარეო წარმატებანი. ამ შემთხვევაში უკვე გაუგებარი ხდება თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დასუსტების მთავარი მიზეზი, რამაც ოდესღაც ძლიერი და აყვავებული ქვეყანა უეცრად განადგურებამდე მიიყვანა. განა დიდი დრო აშორებს ბასიანის გამარჯვებას (1203 წ.) მონღოლთაგან დევნილი ჯალალედინისაგან 1225 წელს გარნისთან ჩვენს დამარცხებას? ცოტა უფრო ადრე ეს სიმწარე ხომ პირველად 1221 წლის ბოლოს, მონღოლთა მეწინავე ორმა დუმანმა 20 ათასიანმა რაზმმა გვაგემა.

ტრადიციული შეხედულებით მკვლევარები ლაშა გიორგის 90 ათასიანი ლაშქრის დამარცხებას, ხოლო შემდეგ, ჯერ ალანების, 1222 წლის 31 მაისს კი, მდინარე კალკასთან რუსთა და ყივჩაყთა გაერთიანებული მხედრობის განადგურებას, საერთოდ, „მონღოლთა ფენომენით" ხსნიან. რის შესახებაც ჯერ კიდევ ჰენრიხ ლატვიელი, 1225 წელს, „ლივონიის ქრონიკაში" წერდა: მონღოლებმა რუსებს და ყივჩაღებს 100 000-მდე ადამიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუკლესო, რაც ზოგიერთ ისტორიკოსს გადაჭარბებულად მიაჩნია.

მაგრამ, ესეც არის, რომ მონღოლების ეს არმია ჯებესა და სუბუდაის მეთაურობით, დაუმარცხებელიც არ ყოფილა, როგორც შემდგომ მათ უძლეველობაზე მითები, რომ შექმნეს. რუსთა და ყივჩაღთა ჯარზე გამარჯვების მერე, იმავე 1222 წელს, მანამდე მოწინააღმდეგეებზე მრავალჯერ გამარჯვებული მონღოლები სასტიკად დაამარცხეს მათსავით ნომადმა ვოლგის ბულგარებმა, დონის შესართავთან, სამარის ლუკთან.

და თუ ეს ყოველივე ოდნავ მაინც გვიმსუბუქებს მდგომარეობას, ალბათ, დღესაც გამოუკვლეველია ლტოლვილი ჯალალედინისაგან წინა აზიის უპირველესი ქვეყნის დამორჩილება.

ცდებოდნენ კი ჩვენი მემატიანენი ქართული სინამდვილის ახსნაში? გვაქვს კი უფრო მართებული საფუძველი XII საუკუნის საქართველოს არ შევხედოთ თამარ მეფის მემატიანის პოზიციით, თუ გვინდა მისი ისტორიული ახსნა?

აი ეს ყველაფერი ერთად გასააზრებელია, სადაც არის სიდიადე და დაცემაც, ბრწყინვალება და სიძაბუნეც, რომელიც ერთსა და იმავე დროს ღონეს აძლევდა ჩვენი ხალხის ახალ წამოწყებათა მძლავრ იმპულსს და, ასევე, ბოჭავდა მის სამოქმედო ენერგიასაც.

სუნ ძი „ომის ხელოვნება“

გამარჯვების ხუთი ფაქტორი: „1.გაიმარჯვებს ის, ვინც იცის როდის შეუძლია ბრძოლა და როდის არა; 2. გაიმარჯვებს ის, ვის უმაღლეს მეთაურობასა და რიგით მეომრებსაც მსგავსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურვილები ამოძრავებს; 3. გაიმარჯვებს ის, ვისაც ესმის, როგორ გამოიყენოს მეომართა დიდი და მცირე რაოდენობა. 4. გაიმარჯვებს ის, ვინც გამზადებული გაუმზადებელს დაელოდება. 5. გაიმარჯვებს ის, ვისი სარდალიც ნიჭიერია და არ იზღუდება მმართველის ნებით."

,,მტერზე უბრძოლველად გამარჯვება - აი დიდების მწვერვალი".

,,თუ მიზნის მიღწევა შეუძლებელია, ჯარს ნუ მოუხმობ"

,,თუ საფრთხე არ გემუქრება ომში ნუ ჩაებმები"

,,სიჩქარით ქარს ეტოლები, სიზანტით - ტყეს, როდესაც მიზანს უახლოვდება - ცეცხლს ემსგავსება, როცა ადგილზე დგახარ მთებს. შენი შეცნობა ისევე ძნელი უნდა იყოს, როგორც სიბნელის, მოძრაობით ელვას უნდა წააგავდე!"

იცით თუ არა, რომ

გარდაცვლილი თეიმურაზის ,,ტყვეობა" შაჰის კარზე თვეები გაგრძელდა. ირანის განრისხებული მბრძანებელი ქართველებს ცხედრის სამშობლოში გადმოსვენების უფლებას არ აძლევდა. მხოლოდ შაჰნავაზის თხოვნაზე ბრძანა თანხმობა და თეიმურაზ პირველი საქართველოში, ალავერდის ტაძარში, წამებული დედის წმიდა ნაშთების გვერდით დაკრძალეს.

მეფე თეიმურაზმა თითქმის მთელი ცხოვრება სამგლოვიარო ტანისამოსში გააატარა: ყრმობის ჟამს მამით დაობლდა, მერე დედა მოუკლეს გაუგონარი ტანჯვა-წამებით, ორი ოჯახი ჰყავდა და ორივე ამოუწყდა _ მოესწრო ორივე მეუღლის სიკვდილს, ორი ვაჟი შაჰ-აბასმა დაუსახიჩრა და მოუკლა, ერთიც სპარსელებს შეაკვდა, ერთი ასული შაჰის კარზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაახრჩვეს. დარჩა ერთი ქალიშვილი და ისიც უშვილძიროდ გადაეგო.

ბაზალეთის ძმათამკვლელ ომში გამარჯვებულმა თეიმურაზმა გიორგი სააკაძის მხარეს მებრძოლ იმერელ ტყვეებს თითო ყურის მოთლა მიუსაჯა, მხოლოდ ხოსია მაჭავარიანს გადაუწყვიტა ორივე ყურის მოჭრა, რაზეც გამწარებულმა მაჭავარიანმა შეჰყვირა: „არ მეგონა, თუ ასეთი გულბილწი იყავიო."

იმავე ბაზალეთის ომში გიორგი სააკაძემ კახეთის მეფე თეიმურაზი პირადად გაიწვია პირისპირ ბრძოლაში. კახელი დიდებულების გადაწყვეტილებით, მასთან მეფის მოსასხამით შემოსილი ედიშერ ვაჩნაძე გავიდა. სააკაძემ იგი მოკლა.

ბაღდადის უნივერსიტეტის
გამორჩეული დოქტორი

სადამ ჰუსეინის უფროს ვაჟს, უდაის, რომელსაც საშუალო განათლებაც კი არ ჰქონდა მიღებული, ბაღდადის უნივერსიტეტმა პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის წოდება მიანიჭა. სადისერტაციო ნაშრომისთვის, რომლის სახელწოდებაც იყო: „2016 წლისთვის ამერიკული ძლიერების დაცემა."

როგორც „მკვლევარი" უდაი არ შემცდარა, დაცემა ნამდვილად მოხდა, დისერტანტს უბრალოდ ადრესატი შეეშალა.

საზოგადოებაზე ცუდი გავლენა
რომ არ მოეხდინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ფრიდრიხ დიდმა ციხეების ინსპექტირება პირადად ჩაატარა, ყველა მსჯავრდებული იფიცებოდა, რომ უდანაშაულო იყო. მხოლოს ერთი გამოტყდა, რომ იქურდა. მეფემ მისი სასწრაფოდ გათავისუფლება ბრძანა, რათა „ციხეში შეკრებილ პატიოსან საზოგადოებაზე ცუდი გავლენა არ მოეხდინა."

ქართველთა გულუხვობა თუ ბედოვლათობა?

ერთმა ქართველმა საქართველოში სტუმრად ჩამოსულ იმპერატორს, ალექსანდრე მეორეს, ვლახერნის უბრწყინვალესი ხატი მიართვა. რუსთ ხელმწიფეს გაუკვირდა და... საჩუქარი უკანვე დააბრუნა.

მეორემ - მეფისნაცვალს ერეკლე მეფის თოფი აჩუქა, ის თოფი, ასპინძის ბრძოლაში ხელთ რომ ეპყრა გმირ ხელმწიფეს... თუმცა, ისევ რუსმა მოხელემ გააწბილა „გულუხვი ქართველი" - ეს თოფი თქვენი ეროვნული სიამაყეა და თქვენ უფრო დაგვშენდებათ მისი შენახვაო.

კიდევ ერთმა ბედოვლათმა ქართველმა „ვეფხისტყაოსნის" უსაჩინოესი ხელნაწერი მეფის ნაცვალს ვორონცოვს უძღვნა. მხოლოდ დიდი ხნის შემდგომ მოხერხდა ამ ხელნაწერის დაბრუნება საქართველოში.

მეორემ - „ვეფხისტყაოსნის" სხვა ხელნაწერიდან, ძვირფასი მინიატურები ამოჭრა და ვიღაც სომეხ ჩარჩ-ვაჭარს მიჰყიდა. ექვთიმე თაყაიშვილმა დიდი წვალებითა და დავიდარაბით, უკანვე მოაბრუნა ქართულ საგანძურში ის მინიატურები.

ემიგრაციაში ყოფნის დროს, პარიზში, ექვთიმე თაყაიშვილს ერთი მარჩენალი თხა ჰყავდა და იმდენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმოკლედ ცხოვრობდა, მხოლოდ ნახევარი ლიტრი რძითა და პურით არსებობდა. შიმშილისა და ავადმყოფობისაგან მეუღლე გარდაეცვალა, მაგრამ მან ქართული განძის არც ერთი ექსპონატი გასაყიდად არ გაიმეტა.

ქართული განძის მცველი და გადამრჩენელი ექვთიმე თაყაიშვილი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ყველასგან მივიწყებული, მარტოობაში გარდაიცვალა.

ბოლშევიკური ექსპერიმენტი

1922 წლიდან საქართველოში დაიწყო ანტირელიგიური პროპაგანდა. და უცებ ეს პროპაგანდა ტერორად იქცა. ტერორად არა მხოლოდ ეკლესიის წინააღმდეგ, არამედ უფრო საეკლესიო ძეგლების წინააღმდეგ.

სწორედ მაშინ გავრცელდა ხალხში ერთი მოარული ამბავი:

ერთმა ბრძოლით გადაღლილმა ბოლშევიკმა საქართველოს ერთ-ერთი ეკლესიიდან ხატები გამოყარა, გვერდი-გვერდ დაალაგა და ყველას ცალ-ცალკე დაახალა ტყვია, თან ყოველ გასროლაზე შესძახოდა ყოველ დახვრეტილ წმინდანს: აბა მიქენი, თუ რამე შეგიძლიაო! მაშინ მიმდგარა ერთი დროული გლეხი და მისთვის უთქვამს: მეტი რაღა უნდა გიქნას, შე უბედურო, გაუგიჟებიხარ და ეგ არისო!

საკუთარი ახირების მსხვერპლნი

ძველეგვიპტური ლეგენდა გვაუწყებს, რომ ქალაქ მემფისს აზვირთებული ნილოსის ტალღებისაგან დაცვა სჭირდებოდა. ფარაონ მენესის ბრძანებით, მაღალი ჯებირები აიგო. ერთხელაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოების დასათვალიერებლად მისული 60 წლის მენესი ბეჰემოთმა გადააგდო მდინარეში. იქ მყოფმა მისმა ქვეშევრდომებმა ვერ გაბედეს ფარაონს მიშველებოდნენ, რადგან „ღვთაებრივთან“ შეხება მათთვის აკრძალული იყო. ნილოსის ადიდებულმა ტალღებმა მეფე დაახრჩო.

ცხენით სეირნობის დროს ესპანეთის დედოფალ ანას ცხენი მოულოდნელად დაფრთხა და ადგილს მოსწყდა. ორი ოფიცერი დაედევნა, წამოეწია, დედოფალი ერთერთის ცხენზე გადმოსვეს და სიკვდილს გადაარჩინეს. ამის შემდეგ, დედოფლისვე ნებით, ისინი სასწრაფოდ გააპარეს უცხო ქვეყანაში, რადგან ესპანეთში დედოფლის შეხებისთვის მათ სიკვდილით დასჯა ელოდათ.

სწორედ ასეთი კანონის არსებობის გამო დაიღუპა სიამის მეფე. ერთხელ მეფე მდინარეში ჩავიდა და იხრჩობოდა. წყალი ღრმა არ იყო, ირგვლივ უამრავი მსახური იდგა, მაგრამ არცერთმა არ ისურვა, მეფისთვის ხელი გაეწოდებინა – მისი შეხებისთვის სიკვდილით დასჯა არავის სურდა.

მაგრამ, კიდევ უფრო საკვირველიც ხდება: მადაგასკარის დედოფალი რანავალონი მკაცრად სჯიდა საკუთარ მოახლეებს, თუ ისინი მისი ნებართვის გარეშე დაესიზმრებოდა.

ცნობილები ალკოჰოლთან დამოკიდებულებაზე

ვლადიმირ ლენინს მარტო ბავშვები კი არა, ლუდიც ძალიან ჰყვარებია, რომლის სმასაც უცხოეთში ყოფნისას დაეჩვია. მიუნხენურ ლუდს „ჰოფბროიჰაუსს“ ადიდებდა და ამბობდა, ყოველგვარ კლასობრივ განსხვავებას სპობსო. პროლეტარიატის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელადი ლუდს დამარილებულ კალმახსა და ტბის ცქიმურას პატარა ნაჭერს აყოლებდა.

ხალხთა ბელადი სტალინი კი ქართულ ღვინოებს ამჯობინებდა. განსაკუთრებით უყვარდა „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაული,“ უფრო ხშირად კი შინ დაწურულ ღვინოს სვამდა, რომელსაც ყვარლიდან უგზავნიდნენ. სახელგანთქმულ ნადიმებს სტალინი შამპანურით იწყებდა და ჩვეულებრივი ღვინით ამთავრებდა.

მაო ძე დუნი – ჭეშმარიტი ჩინელი, მხოლოდ ჩინური ბრინჯის არაყს, 58–გრადუსიან „მაოტაის“ სვამდა. სწორედ მან შეიტანა „მაოტაი“ დიპლომატიურ პროტოკოლში. მას შემდეგ ამ არაყს ჩინელები ნებისმიერი ოფიციალური მიღების დროს სვამენ.

ჩერჩილი შამპანურისა და კონიაკის მოყვარული იყო. ძალიან მოსწონდა სტალინის გამოგზავნილი სომხური კონიაკი, 50–გრადუსიანი „დვინი“ და ფრანგული შამპანური. სომხური კონიაკი მას თეირანის კონფერენციაზე სწორედ სტალინმა გაასინჯა პირველად და მას შემდეგ თვითონვე ამარაგებდა ამ სასმელით. ცნობილია ჩერჩილის ფრაზა, რომელსაც ის კონიაკზე ამბობდა: „კონიაკი ქალივით არის. მას კი არ უნდა მივარდე, არამედ დიდხანს უნდა ეფერო, გაათბო და ტუჩი მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეახო.“

ძალა, რომელიც შეუძლებელს აკეთებინებს

ინგლისსა და საფრანგეთს შორის ასწლიანი ომი 1337 წელს დაიწყო. ინგლისელთა შთამბეჭდავმა გამარჯვებებმა 1346 წელს კრესისთან და 1356 წელს პუატიესთან, და ბოლოს საფრანგეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის ტყვედ აყვანამ, ფრანგების დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

1415 წელს აზენკურთან ფრანგები კვლავ სასტიკად დამარცხდნენ. ინგლისელებმა დაიკავეს პარიზი, მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ჩრდილოეთ საფრანგეთში და სამხრეთისაკენ წაიწიეს. ქვეყნისთვის ამ მძიმე განსაცდელის ჟამს საფრანგეთს მხსნელად მოევლია 16-17 წლის ქალიშვილი ჟანა დ'არკი.

იგი დაიბადა 1413 წელს გლეხის ოჯახში. მისი მშობლები მშრომელი, ღვთისმოშიში ადამიანები იყვნენ. ინგლისელებმა ჟანას სოფელიც დაიკავეს. იგი თანამემამულეთა დარბევას თავისი თვალით ხედავდა. მისი გული ივსებოდა სამშობლოს სიყვარულით და მტრისადმი სიძულვილით. მოგვიანებით იგი ამბობდა: „საყვარელი საფრანგეთის უბედურება გველის ნაკბენივით მიშხამავდა გულს"-ო.

ჟანა ღვთისმოსავი გოგონა იყო. თანამედროვეთა აღწერით, იგი იყო მაღალი, ძლიერი და ამტანი ქალიშვილი.

საფრანგეთზე თავსდამტყდარი უბედურებები კიდევ უფრო მეტად აძლიერებდა მის რელიგიურ რწმენას. ჟანა უყვებოდა ახლობლებს, რომ 13 წლის ასაკიდან ხედავდა ჩვენებებს და ესმოდა წინდანთა ხმები, რომლებიც მას მოუწოდებდნენ დაეტოვებინა თავისი სოფელი და პირდებოდნენ დახმარებას საფრანგეთიდან ინგლისელების განდევნის საქმეში.

ჟანა დ'არკი 18 წლისაც არ იყო, როცა მიატოვა სახლი, გადაიცვა ვაჟის ტანსაცმელი და რის ვაი-ვაგლახით შეძლო შეხვედროდა დოფინ შარლ VII-ს. ჟანამ მას განუცხადა, რომ ღვთის ნებით, ის შეძლებდა ჯარის სარდლობას, ინგლისელთა დამარცხებასა და ქვეყნის განთავისუფლებას. შარლი ჯერ უნდობლად შეხვდა მას, მაგრამ ბოლოს დათანხმდა. ახალგაზრდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონას ჩააბარეს ყველაზე უდისციპლინო და ცუდად შეიარაღებული ჯარი. ჟანამ მოკლე დროში ჯარისკაცების ისეთი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, როგორიც არავის ღირსებია. ისინი აღანთო სამშობლოს სიყვარულით, ჩაუნერგა თავგანწირული ბრძოლის სურვილი. მალე მან თავისი ჯარით სასტიკად დაამარცხა ინგლისელები, 1429 წელს გაათავისუფლა მტრისაგან ქალაქი ორლეანი, ხოლო შემდეგ კი რეიმსი, სადაც დოფინი შარლი, დიდი ზეიმით აკურთხეს მეფედ. ჟანას ამიტომაც უწოდეს ,,ორლეანელი ქალწული." მისი სახელი შიშის ზარს სცემდა ინგლისელებს.

ფრანგ სარდლებსა და დიდებულებს შურდათ გლეხის ქალის ასეთი წარმატება და პოპულარობა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს მათ ჟანა მიატოვეს, რის შედეგადაც ინგლისელებმა ტყვედ იგდეს ორლეანელი ქალწული. მათ იგი საფრანგეთის კათოლიკურ ეკლესიას გადასცეს.

ინგლისელებისგან მოსყიდული განსწავლული მოსამართლეები ყოველნაირად ცდილობდნენ დაებნიათ ხელში ჩავარდნილი ჟანა დ'არკი.

მოსამართლეების შეკითხვაზე: ,,სძულს თუ არა ღმერთს ინგლისელები?" თუ ჟანა უპასუხებდა, რომ სძულს, ეს მკრეხელობად ჩაითვლებოდა, რადგან ინგლისელები კათოლიკეები იყვნენ და როგორ შეიძლებოდა ღმერთს სძულებოდა ისინი, თუ უპასუხებდა, რომ არ სძულს, მაშინ რატომ ებრძოდა მათ ღმერთის სახელით? ჟანა დ'არკის პასუხი იყო: ,,მე ეს არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისელები განიდევნებიან საფრანგეთიდან?

შეკითხვა: ,,მთავარანგელოზი მიქაელი, რომელიც შენ ხილვაში გეცხადებოდა, შიშველი ხომ არ იყო?" თუ ჟანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპასუხებდა, რომ შიშველი იყო, მაშინ მოსამართლეები ამას ეშმაკის საქმედ მიიჩნევდნენ, თუ უპასუხებდა, რომ ჩაცმული იყო, მისგან მოითხოვდნენ დაწვრილებით აღწერას, თუ როდის რა ეცვა, რაც გაურთულებდა ორლეანელ ქალწულს მდგომარეობას. ჟანა დ'არკმა უპასუხა: „როგორ გგონიათ, განა უფალი მას ვერ შემოსავდა?"

შეკითხვა: „მიგაჩნია თუ არა, რომ შენზე ღვთის მადლია გადმოსული?" შეკითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში ჟანას ამპარტავნობაში დაედებოდა ბრალი, რადგან წმინდანებიც კი სიცოცხლეში არ იყვნენ დარწმუნებული, რომ ისინი ღმერთის რჩეულები იყვნენ; უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ჟანას ტყუილში ამხილებდნენ, რადგან როგორ შეეძლო ღვთის მადლის გარეშე აემხედრებინა ხალხი ღვთის სახელით? ჟანა დ'არკმა უპასუხა: „არ ვიცი. თუ ჩემში ღვთის მადლი მკვიდრობს, უფალს ვევედრები შემინარჩუნოს იგი, თუ არა - ვთხოვ მომანიჭოს."

საკვირველია, რომ ამ ყველაფერს პასუხობდა წერა-კითხვის უცოდინარი ახალგაზრდა ქალიშვილი, ღვთისმსახურებაში განსწავლულ ბრალმდებლებს, რომელთაც ვერ შეძლეს მისი დათრგუნვა და სულიერად გატეხვა. საეკლესიო სასამართლომ შური იმით იძია ფრანგი ხალხის ეროვნულ გმირზე, რომ კუდიანობა და ეშმაკეულთან კავშირი დასწამა ჟანას. მათი გადაწყვეტილებით, 1431 წლის მაისში ქალაქ რუანში ჟანა დ'არკი ცეცხლზე დაწვეს.

გავიდა დრო, ფრანგებმა გაათავისუფლეს სამშობლო, 1453 წელს დამთავრდა ასწლიანი ომიც. ჟანას სახელი უკვდავი გახდა. მოგვიანებით, კათოლიკური ეკლესიის მსახურები მიხვდნენ, რომ ჟანა უსამართლოდ დასაჯეს. მას მოუხსნეს ყველა ბრალდება და წმინდანად გამოაცხადეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟანა დ'არკის სახელი დღესაც ყველა ფრანგისთვის ძვირფასია და სამართლიანად ამაყობენ მისი გმირობით და რაც მთავარია, მისი ნაღვაწით.

ცხოვრება მხოლოდ სიკვდილით არ მთავრდება, მისთვის საბოლოო განაჩენი მაინც განვლილ ცხოვრებას გამოაქვს.

ჟანა დარკის, ორლეანელი ქალწულის მაგალითმა აჩვენა, რომ ქალები არა მარტო კარგი პოლიტიკოსები, არამედ შესანიშნავი მხედართმთავრებიც არიან. მართლაცდა საკვირველია, როგორ მოხდა, რომ გაუნათლებელი, სოფლელი ქალი უკეთესი სარდალი აღმოჩნდა, ვიდრე თუნდაც მისივე დროის ფრანგი ან ინგლისელი კოლეგები..

ის, რაც ქვეყანას ღვთისმოსავი გოგონას სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა შეაძლებინა, იყო ის, რომ ასწლიანი ომის შემდეგ საფრანგეთი სწრაფად გაძლიერდა და ევროპის ერთ-ერთ უდიდეს და უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა.

მეგობრობაც ასეთი უნდა

კოლაუ უდრეკი სულის ადამიანი იყო და ეს თუნდაც მისი ცხოვრების ამ ეპიზოდიდანაც ჩანს: პაოლოს დაღუპვის შემდეგ მთავრობას თურმე იმ ადამიანების სია ჰქონდა, ვისაც დაკრძალვაზე დასწრების უფლება ეძლეოდათ. კოლაუ სიაში არ იყო, მაგრამ მაინც წასულა. ეს ლამის თვითმკვლელობის ტოლფასი იყო - სულ ადვილად შეეძლოთ დაეხვრიტათ ამ საქციელისთვის. როცა პროცესიასთან ახლოს მისვლას აპირებდა, ჩეკისტი გადმოხტომია წინ - სიაში არ ხართ, არ შეიძლებაო. კოლაუს ეს ადამიანი გვერდით გაუწევია და უთქვამს: მეგობრის გასვენებაზე დასასწრებად სია არ მჭირდება, ამას ვერავინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამიშლისო და პროცესიას ასდევნებია. კოლაუ ერთადერთი ყოფილა პაოლოს მეგობართაგან, ვინც ოჯახის წევრების გარდა ცხედარს მიაცილებდა. პაოლოს საფლავი მან და მისმა მეგობარმა ღვინის ბოთლებით მონიშნეს და ასე გადაარჩინეს დაკარგვას.

ამბობენ, როცა ეს ამბავი ბერიას აცნობეს, გაკვირვებულს უთქვამს: ,,კოლაუს ხელი არ დააკაროთ, მეგობრობაც ასეთი უნდა!"

დააგვიანდათ...

საქართველოს ოფიციალურმა დელეგაციამ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მონდომებით იღვაწა ქვეყნის საერთაშორისო აღიარებისათვის და მიღწევებიც საგარეო პოლიტიკაში უფრო შთამბეჭდავი იყო. აღსანიშნავია საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის წარმატებული ვიზიტები ინგლისში, საფრანგეთსა და იტალიაში. აუცილებელად უნდა ითქვას იმ ძალისხმევაზეც, რომელიც ევროპის მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა და მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერებმა საქართველოში სტუმრობის შემდგომ თავიანთ ქვეყნებში დაბრუნებისას გასწიეს საქართველოს მხარდასაჭერად.

ცნობილია, რომ მარქსიზმის აღიარებულმა გერმანელმა თეორეტიკოსმა კარლ კაუცკიმ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა და იგი ბერლინის ერთ-ერთ გამომცემლობაში ცალკე წიგნადაც გამოსცა.

ბელგიელმა სოციალისტმა დე ბრიუკერმა ბრიუსელში წაიკითხა ლექცია "საქართველო პირველი სოციალისტური რესპუბლიკა"; საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ცნობილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღვაწემ პიერ რენოდელმა გაზეთ "თავისუფალი საფრანგეთის" ფურცლებზე გამოაქვეყნა ვრცელი სტატია საქართველოს შესახებ (გაზ. "სახალხო საქმე", 1921 წ., 11 თებერვალი). ინგლისურ, ჰოლანდიურ და ბელგიურ გამოცემებში საქართველოს სინამდვილის ამსახველი პუბლიკაციები დაბეჭდეს რამზეი მაკდონალდსმა, ემილ ვანდერველდემ, ჰიუსმანმა და სხვ. ამასთან, ევროპელმა სოციალისტებმა თავიანთ მთავრობებსა და პარლამენტებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულად აღიარებისაკენ მოუწოდეს.

1921 წლის იანვრის ბოლოს ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე იურედ ცნობის გადაწყვეტილება მიიღეს. თუმცა ჯობდა ეს ყველაფერი უფრო ადრე მომხდარიყო. ერთ თვეში ყველაფერი დამთავრდა. თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებდა.

ნაცისტი ექიმების სამედიცინო ექსპერიმენტები

ცნობილი გერმანელი ნაცისტი ექიმები, რომლებიც ადამიანებზე ექსპერიმენტებს ატარებდნენ სამუდამოდ დარჩნენ ისტორიის ფურცლებს. ჰეროსტრატეს გმირობა მათთან შედარებით შეიძლება ბავშვურ ცელქობათაც კი მოგვეჩვენოს.

ამ „დიადი“ და დაუვიწყარი სახელებიდან მაინც გამორჩეულნი: კარლ კლაუბერგი, არიბერტ ჰეიმი, იოსეფ მენგელე არიან.

კარლ კლაუბერგი - მეორე მსოფლიო ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკებში ატარებდა სამედიცინო ექსპერიმენტებს ადამიანებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1942 წელს ჰაინრიხ ჰიმლერს სთხოვა ნებართვა ქალთა მასობრივი სტერილიზაციისათვის, ეს მისი ერთ-ერთი ექსპერიმენტი იყო. ჰიმლერმა დააკმაყოფილა კარლის სურვილი. 1942 წლის დეკემბერში ექიმი ოსვენციმის ბანაკში გადაიყვანეს. კლაუბერგი მარტივი და იაფი გზებით მოქმედებდა – შეყავდა თხევადი მჟავა საშვილოსნოში ანესთეზიის გარეშე. ცდის პირთა უმეტესობა იყვნენ ებრაელები და ბოშები. ამის შემდეგ მათ საკვერცხეებს აცლიდნენ და აგზავნიდნენ ბერლინში შესასწავლად.

არიბერტ ჰეიმი, ავსტრიის საკონცენტრაციო ბანაკ Mauthausen-ში მუშაობისას, სამედიცინო ექსპერიმენტებს ატარებდა ებრაელ ტყვეებზე. ისეთ ექსპერიმენტებს, როგორიცაა ოპერაციები ნარკოზის გარეშე, რათა მიეყვანა პაციენტი მაქსიმალურ ტკივილის დონემდე, ასევე უკეთებდა ბენზინის, წყლის ან შხამის ინექციებს, პირდაპირ გულში.

ჰეიმის დანაშაულებებს მოწმობს მისი პირადი ჩანაწერები, სადაც დეტალურად აღწერს თავისი ექსპერიმენტების სესახებ.

იოსეფ მენგელემ, სამედიცინო ექსპერიმენტების ჩატარება 1943 წლის 24 მაისიდან დაიწყო, როდესაც გადაიბარა ოსვენციმში „ბოშათა ბანაკის“ ექიმის მოვალეობა. 1944 წელს ეს ბანაკი დაიხურა და მისი ყველა პატიმარი გაზის კამერაში განადგურდა. ამის შემდეგ მენგელე დაინიშნა ოსვენციმის ერთ-ერთი შიდა ბანაკის, ბირკენაუს, მთავარ ექიმად.

საკონცენტრაციო ბანაკებში 21 თვის „მოღვაწეობის“ მანძილზე, დაიმსახურა ერთ-ერთი ყველაზე საშიში ნაცისტის სახელი და ზედმეტ სახელი – „სიკვდილის ანგელოზი“ოსვენციმიდან. მეგობრები მენგელეს „ბეპოს“ ეძახდნენ. იგი პირადად ხვდებოდა ბანაკში ჩამოსულ ტყვეებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატვირთულ მატარებლებს, მისი გადასაწყვეტი იყო ვინ იმუშავებდა, ვინ აღმოჩნდებოდა პირადად მისი ექსპერიმენტის მონაწილე და ვინ წავიდოდა პირდაპირ გაზის კამერაში.

მისი წყალობით მოხვდა 40 000 ადამიანი გაზის კამერაში.

მენგელე ცნობილია თავისი სისასტიკით. ატარებდა ცდებს ახალშობილებზე, აკეთებდა ბიჭებისა და მამაკაცების კასტრაციას უანესთეზიოდ, ცდიდა ტყუპებს. 1943 წელს, ბანაკიდან აარჩია ტყუპები და ცალკე, სპეციალურ ყაზარმაში გადაიყვანა. 3 ათასი ტყუპიდან მხოლოდ 300 გადარჩა. მის ერთ-ერთ ექსპერიმენტულ მიზანს წარმოადგენდა ბავშვის თვალისფერის შეცვლა პირდაპირ თვალში ქიმიური ნივთიერებების შეყვანით. დაინტერესებული იყო ორგანოების ამპუტაციით. ცდილობდა ტყუპები ერთმანეთზე „მიეკერებინა“ და სიამის ტყუპები ხელოვნურად შეექმნა.

მენგელეს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა ცდები ქალთა გამძლეობაზე მაღალი ძაბვის ელექტრომოკზე. წინასწარ მომზადებულ გავარვარებულ იატაკიან კამერებში, შეჰყავდათ დედიშობილა ქალები საკუთარი ჩვილებით ხელში.

ექსპერიმენტი, მართლაც გამაოგნებელი იყო: დედათა უდიდესი უმრავლესობა ბავშვებს ძირს ყრიდა და ფეხით დგებოდა, რადგან გავარვარებულ იატაკზე დგომას ვერ უძლებდნენ, მათ შორის მხოლოდ ერთეულები აღმოჩნდნენ, ვინც იწვოდნენ, მაგრამ შვილს ხელიდან არ უშვებდნენ.

არანაკლებ უბედურება გახლდათ ისიც და ეს ნიურბერგის პროცესზეც გამოჩნდა, რომ ნებისმიერ ჯალათს შეეძლო ეთქვა, რომ ისინი ასე იმიტომ მოქმედებდნენ, რადგან უფროსებისგან ჰქონდათ ნაბრძანები...

მართლაცდა სად იწყება და სად მთავრდება ადამიანის პირადი პასუხისმგებლობა? მთელი ცხოვრება ხომ ამ ზღვარს ვეძებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობენ, ომის დასასრულს დიდ მწერალს თომას მანს უთქვავს ეს სიტყვები: ,,სანამ გერმანელ ხალხს თავისუფლების გაგონებაზე თვალზე ცრემლი არ მოადგება, მანამ ის თავისუფლების ღირსი არ უნდა გახდეს"-ო.

დიახ, ქვეყანაში, სადაც დანაშაული ხდება, იქ თვით ყველაზე უწყინარი ადამიანიც კი გაუცნობიერებლად თუ გაცნობიერებულად ხდება მისი მონაწილე.

იქნებ თქვენი სიცოცხლე ელის
თქვენგან რაიმეს?

პოლიტოლოგი გია მაისაშვილი ცნობილ ავსტრიელ ფსიქიატრ, ვიქტორ ფრანკელზე, რომლის მთელი ოჯახი ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკში გარდაიცვალა წერს:

ფაშისტთა ტყვეობაში ყოფნის დროს იგი ეხმარებოდა ორ სასოწარკვეთილებაში მყოფ პატიმარს, რომლებიც თვითმკვლელობას აპირებდნენ. როდესაც ფრანკელმა ჰკითხა თუ რატომ იკლავდნენ თავს, მათი პასუხი მარტივი იყო, „მე აღარაფერი დამჩენია და აღარაფერს ველი ჩემი სიცოცხლისგანო" მაშინ ფრანკელმა იკითხა, „იქნებ თქვენი სიცოცხლე ელის თქვენგან რაიმესო?" აღმოჩნდა რომ ერთ-ერთი მათგანის ერთი ქალიშვილი გადარჩენილა და ელოდებოდა მამასთან კვლავ შეერთებას ომის შემდეგ. მეორემ აღიარა, რომ მას მნიშვნელოვანი ნაშრომი ჰქონდა დასამთავრებელი და გამოსაცემი. იმ მომენტში როგორც კი მათ გააცნობიერეს, რომ არის რაღაც ის, რასაც სამყარო მათგან ელოდა, მათში უეცარი ცვლილება მოხდა და ამ ორი ადამიანის გადარჩენის ალბათობა კარდინალურად გაიზარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუმორჩილებელი გენიოსი

მაგალითი აღორძინების ეპოქიდან: ახალგაზრდა მიქელანჯელო ასრულებს მედიჩის შეკვეთას. მას თავი კადნიერად უჭირავს. როცა ერთ-ერთმა მედიჩიმ საკუთარ პორტრეტთან მსგავსების შესახებ უკმაყოფილება გამოთქვა, მიქელანჯელომ უპასუხა: „ნუ ღელავთ, თქვენო უწმინდესობავ, ასი წლის შემდეგ დაგემსგავსებათ...“

არა ნაკლებ თავისუფლად უჭირავს თავი პაპთან... მაშინ მიქელანჯელო 30 წლისა იყო, რომში იგი პაპის იულიუს II-ის შეკვეთას ასრულებდა, მაგრამ ურჩობდა და ეკამათებოდა პაპს. რომენ როლანს აღწერილი აქვს, როგორ მოიგდო მხრებზე მიქელანჯელომ თავისი ფუთა, თვითნებურად მიატოვა რომი და თავის სამშობლოში, ფლორენციაში გაემგზავრა. როცა პაპმა ეს ამბავი შეიტყო, თავად ჩაჯდა კარეტაში და ამალასთან ერთად დაედევნა გაქცეულს. საზღვართან დაეწია და შესძლო გადეთქმევინებინა განზრახვა. ღმერთის მოადგილე დედამიწაზე მზად არის ქედი მოიხაროს მიქელანჯელოს გენიის წინაშე, აპატიოს ურჩობა, ოღონდ არ დაკარგოს იგი. ეს ეპიზოდი კარგად წარმოაჩენს ეკლესიისა და ხელოვნების დამოკიდებულებას აღორძინების ეპოქაში.

მითი სინამდვილეზე ძლიერია

1962 წელს, კარიბის კრიზისის დროს, როდესაც აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ბირთვული ომის რეალური საშიშროება იყო, კენედი უკან დახევას აპირებდა. ამის შესახებ მან თავის ახლობლებს თავად უთხრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"მირჩევნია ჩემი შვილები "წითლები" იყვნენ, ვიდრე მკვდრები," - განაცხადა აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა.

ეს ფრაზა ანტიკომუნისტური მოძრაობის ლოზუნგად იქცა, ოღონდ გადაბრუნებული მნიშვნელობით. ფრაზა ასე გადააკეთეს - "მირჩევნია ვიყო მკვდარი, ვიდრე - "წითელი."

ფაქტია, რომ მითი სინამდვილეზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევა

როდესაც საზეიმო მომენტში პიუს VII-მ ასწია დიდი საიმპერატორო გვირგვინი, რათა იმპერატორის თავზე დაედგა, ისე როგორც ათი საუკუნის წინათ მისმა წინამორბედმა პაპმა ლეონ III-მ დაადგა გვირგვინი კარლოს დიდს, ნაპოლეონმა უეცრად ხელიდან გამოსტაცა მას ეს გვირგვინი და თვითონ დაიდგა თავზე. ამის შემდეგ დედოფალმა ჟოზეფინამ დაიჩოქა იმპერატორის წინაშე და ნაპოლეონმა თავზე დაადგა მას მომცრო ზომის გვირგვინი.

ამ ჟესტს განსაკუთრებული აზრი ჰქონდა. ნაპოლეონს არ სურდა, რომ პაპის დალოცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მისცემოდა. ამ ზეიმში საფრანგეთის რევოლუციის მიერ წარმოშობილმა ძლევამოსილმა ჯარისკაცმა არ ისურვა, თუ არა საკუთარი ხელით, სხვა ვინმესგან მიეღო გვირგვინი.

გახსენებაც კი ჟრუანტელს გვრიდა

ცნობილი ქართველი ისტორიკოსის გრიშა მარგიანის, მოსკოვში სტუდენტობის დროს, მისი თანაკურსელი იყო სტალინის ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ ალილუევამ გრიშა მარგიანი თავის დაბადების დღეზე დაპატიჟა.

გრიშა მორცხვი კაცი გახლდათ და წვეულებაზე არ მივიდა.

მეორე დღეს უნივერსიტეტში გრიშას რომ შეხვდა, ალილუევამ უსაყვედურა:

-გრიშა! რატომ არ მოხვედი?

-მე შემრცხვა - უთხრა გრიშამ.

-რატომ შეგვრცხვა? - გაიკვირვა ალილუევამ. - უცხო იქ არავინ იყო. მხოლოდ მამა და ვოროშილოვი.

„მამას" გაგონებაზე გრიშა ადგილზე შექანებულა და კინაღამ ცუდად გამხდარა.

ამ ამბავს, მართალია, გრიშა მარგიანი ყოველთვის ღიმილით იგონებდა, თუმცა მაშინ კი მისი გახსენება ჟრუანტელს გვრიდა.

სინდისი ძლიერი მსაჯულია

თუ თქვენ დანაშაულამდე იმიტომ არ მისულხართ, რომ მისი ჩადენის არც ღონე გქონდათ და არც შემთხვევა მოგცემიათ, მაშინ დანაშაულის ჩაუდენლადაც პატიოსან ადამიანად მაინც ვერ ჩაითვლებით.

ჰუმანიზმის პრინციპზე აღზრდილი ადამიანი, ვისაც სინდისი აწუხებს კაცის მკვლელი ვერ გახდება. ჯეკ ლონდონის ერთი გმირი ეუბნება მეორეს: მე შემიძლია გაგძარცვო, გიმუხთლო, მოგკლა კიდეც, შენ კი ამას ვერ მიზამ, რადგან სხვანაირად ხარო აღზრდილი.

სინდისი ძლიერი მსაჯულია. ამიტომ ცდილობდა ფიურერი მისგან რაიხის მოქალაქეების განთავისუფლებას. მისი სიტყვებია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე გავანთავისუფლებ გერმანელ ერს იმ ქიმერისგან, რასაც ჰქვია სინდისი.“

ხოლო კიდევ ერთი მგზნებარე ნაცისტი გერმან გერინგი კი საქვეყნოდ აცხადებდა: „მე არა მაქვს სინდისი, ჩემი სინდისია ადოლფ ჰიტლერი.“

აზრადაც არ მოსვლია

საუბედუროდ, ხშირად ჩვენს გარშემო ისეთი დანაშაულობებიც ხდება, თავზარი გეცემა და გიკვირს, ასეთი რამ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, ვის შეეძლო მისი ჩადენა.

ძველ ელადაში ერთ-ერთ ცნობილ რეფორმატორს სოლონს ხალხმა უსაყვედურა: შენს კანონებში მშობლების მკვლელსა და მოღალატეს სასჯელი რად არ დაუდგინეო?

-ასეთი საზიზღარი ბოროტება თუ მოხდებოდა, აზრადაც არ მომსვლიაო! მიუგო ბრძენმა.

თუმცა მომდევნო თაობებს ამაზე უარესი აზრებიც მოსვლიათ და განუხორციელებიათ კიდეც.

შემზარავია ადამიანის მოქმედება: ოსვენციმში, დახაუში, ბუხენვალდში, სხვა სასაკლაობებზე - გაზის კამერებში კლასიკური მუსიკით გაცილებაც მოაზროვნე ცხოველის - ანთროპოსის მოგონილია. უფრო მეტიც, საფლავში ადამიანის ცოცხლად დამარხვის ტექნიკაც იყო შემუშავებული: ცოცხალ ადამიანს გვერდიდან გამოჭრილ ადგილას შესვამდნენ და შემდეგ ამოქოლავდნენ.

რა იყო ეს? საიდან, როგორ შეიძლებოდა ადამიანს თავში ასეთი აზრი მოსვლოდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

1937 წელს, როცა ადამიანების მიმართ განუკითხაობა სუფევდა, სრულიად უდანაშაულო პიროვნებებს ხვრეტდნენ. წინასწარ გათხრილ სამარეში ჯერ საქონლის ნაკელს ყრიდნენ, შემდეგ გვამებს, შემდეგ ისევ საქონლის ნაკელს.

წარმოშობილი ბუნებრივი წვის შედეგად მათი ძვალიც არ რჩებოდა.

რა მოაფიქრებინათ ეს? როგორც ჩანს სახელმწიფოს და სამართლის სახელით მოქმედ მსაჯულებს თავიანთი საქციელი მაინც დანაშაულად მიაჩნდათ, კვალის გაქრობაც ამიტომ სჭირდებოდათ.

ჩხუბი ფილოსოფოსთან

ერთხელ დიოგენს არისტოკრატმა სუფრიდან ძვალი მიუგდო და მიაძახა: ძაღლი ხარო!

შენც ძაღლი ხარ, ოღონდ მეფისა, მე კი ქუჩისაო, - მიუგო ფილოსოფოსმა.

ჰორაციო ნელსონი

ჰორაციო ნელსონი დაიბადა 1758 წელს, ინგლისში, ღვთისმსახურის ოჯახში. ნელსონს ზღვის ავადმყოფობა აღმოაჩნდა, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მისი სიყვარული ზღვაოსნობისადმი, რომ უკვე 12 წლის ასაკიდან დაიწყო ფლოტში სამსახური. იგი არაჩვეულებრივი ნიჭით, შრომისუნარიანობითა და ალღოთი გამოირჩეოდა. რაც შეეხება სიმამაცეს. როგორც მისი ახლობლები ყვებიან, არავის ისე არ ეშინოდა სიკვდილის, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელსონს. ცნობილია, რომ თვით უახლოესი ადამიანების დაკრძალვასაც კი იგი არასდროს დასწრებია.

1793 წელს ინგლისსა და საფრანგეთს შორის დაწყებული ხანგძლივი ომის დროს ნელსონის მიერ ჩატარებული საზღვაო ოპერაციები სამხედრო ხელოვნების კლასიკურ ნიმუშებადაა მიჩნეული. საფრანგეთისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში ნელსონმა ჯერ თვალი, შემდეგ კი მარჯვენა ხელი დაკარგა.

1805 წელს ტრაფალგართან საზღვაო ბრძოლაში ნელსონმა გაანადგურა საფრანგეთის ხმელთაშუაზღვის ესკადრა და ესპანეთის ფლოტი. ამ ბრძოლაში იგი დაიღუპა კიდეც. მასზე გლოვის დროს ინგლისელმა მეზღვაურებმა ქუდებზე შავი ზონარები დაიმაგრეს. ამის შემდეგ ეს ორი ზონარი სამუდამოდ იქცა მეზღვაურთა ქუდების აუცილებელ ატრიბუტად. გემი „ვიქტორი." რომელზედაც იმყოფებოდა ნელსონი ტრაფალგარის ბრძოლის დროს, ინახება ინგლისში, როგორც ეროვნული რელიქვია. ლონდონში ტრაფალგარის მოედანზე აღმართულ მაღალ სვეტზე დადგმული ნელსონის ძეგლი კი დღესაც ამაყად გაჰყურებს ზღვას.

და მაინც ხასიათის რა თვისება იყო მიზეზი ამ საოცარი ადამიანის ასეთი დიდი წარმატებისა?

შტეფან ცვაიგის ნაწარმოები „დიადი წამი ვატერლოოსთან," სწორედაც რომ ზუსტ პასუხს იძლევა ამ კითხვისთვის. გაოცებული მკითხველი, ალბათ იკითხავს კი მაგრამ რა შუაშია ბრძანების უსიტყვო შემსრულებელი გენერალი გრუში, რომლის შეზღუდულმა აზროვნებამ და გაუბედაობამ ნაპოლეონს ვატერლოოს ბრძოლა წააგებინა, ადმირალ ნელსონთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გახლავთ თვისება, რომელიც ერთს არ ჰქონდა, მეორეს კი ბუნებამ უწყალობა: ხასიათის სიმტკიცე, გადამწყვეტ წუთებში საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების უნარი, რაც როგორც ჩანს, მხოლოდ რჩეულთა ნიჭია.

ცნობილია, რომ დანიის ნაპირებთან გამართული საზღვაო ბრძოლის დროს ნელსონს ოფიცრებმა შეატყობინეს, რომ მისი გაბედულებით შეცბუნებული ინგლისის გაერთიანებული ესკადრის ხელმძღვანელობა საზღვაო ნიშნებით (დროშის ფრიალით) მას უბრძანებს შეწყვიტოს ბრძოლა და გემები ღია ზღვაში გაიყვანოს. წარმატებაში დარწმუნებულმა ნელსონმა, არად ჩააგდო სარდლობის ბრძანება, ჭოგრი ამოგდებული თვალის ბუდესთან მიიტანა, მეორე თვალი მოხუჭა და განაცხადა - ვერ ვხედავ თუ მანიშნებენ რამესო. მან ბრძოლა განაგრძო, საომარი ოპერაცია ინგლისელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

ამბობენ ნაპოლეონი ხშირად იმეორებდა თურმე ამ სიტყვებს: „ომს მხოლოდ ჯიუტები იგებენ."

გაგიკვირდებათ, მაგრამ ასეა

1938 წელს ცნობილმა ბრიტანელმა პოლიტიკოსმა ღია წერილი გაუგზავნა ჰიტლერს:

- ინგლისს რომ ისეთი ეროვნული უბედურება დასტყომოდა, როგორც გერმანიას 1918 წელს, მე ღმერთს შევთხოვდი, თქვენსავით ძლიერი სულისა და ნებისყოფის ადამიანი გამოეგზავნა ჩვენთვის"....

როგორ გგონიათ, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ეს პოლიტიკოსი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, გაგიკვირდებათ, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა. იგი გახლდათ უინსტონ ლეონარდ სპენსერ ჩერჩილი.

რა არის ბოროტება?

,,ზოგიერთს ჰგონია, - ამბობს ჰეგელი, - არაჩვეულებრივად ღრმა აზრს გამოხატავს, თუ იტყვის, ადამიანი ბუნებით კეთილიაო; ავიწყდებათ, რომ ბევრად ღრმა აზრია სიტყვებში: ადამიანი ბუნებით ბოროტია.“

ჰეგელისათვის ბოროტება ფორმაა, რომელშიც ისტორიული განვითარების მამოძრავებელი ძალა მჟღავნდება. ამაში კი ის აზრია დამალული, რომ ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი აუცილებლად რაიმე სიწმინდის შეურაცხყოფაა, ან ამბოხება ძველი, დრომოჭმული, მაგრამ ჩვეულების მიერ ნაკურთხი მდგომარეობის წინააღმდეგ.

ნიცშე ამბობს: ,,ადამიანი, რომ ბუნებით ბოროტია, ამაშია ჩემი ნუგეში, რადგან იგი ძალას შეიცავსო.“

მისივე სიტყვებია:

-მე მეკითხებიან, რა არის კარგი?

-იყო მამაცი, აი, ეს არის კარგი!“

....მე გავათავისუფლებ კაცობრიობას ისეთი საშინელი ქიმერისაგან, რასაც ეწოდება სინდისი. - წერს ჰიტლერი.

- მე არა მაქვს სინდისი, ჩემი სინდისია ადოლფ ჰიტლერი! .. - გერინგი.

,,დიახ, ჩვენ ბარბაროსები ვართ და კიდევაც ვამაყობთ ამით,“ - ,,როცა მე მესმის სიტყვა ჰუმანიზმი, მზად ვარ რევოლვერზე ვიტაცო ხელი,“ - ,,სულაც არ მენაღვლება, რას იტყვის ჩემზე ევროპის დაჩაჩანაკებული ცივილიზაცია“ - ჰიტლერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც მილიონობით უდანაშაულო ადამიანების დახოცვა ჟღერდა მათთვის. დანაშაულებრივად ...მერე რა, ჩინგიზ-ხანმა უფრო მეტი დახოცა, მაგრამ ისტორია მასში მაინც უდიდესი იმპერიის შემქმნელს ხედავსო...“ აცხადებდა ჰიტლერი.

იუსტინიანეს საიმედო მრჩეველი

ბიზანტიის იმპერია განსაკუთრებულად გაძლიერდა იუსტინიანე I-ის დროს. იგი ღარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა. მისმა ბიძამ იუსტინემ - ბიზანტიის არმიის რიგითმა ჯარისკაცმა, მთავარსარდლობას მიაღწია, მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება და ბიზანტიის იმპერატორი გახდა. მან დაიახლოვა თავისი ძმისწული იუსტინიანე, რომელმაც საიმპერატორო კარზე კარგი განათლება მიიღო. იუსტინიანე ჯერ ბიძასთან ერთად, იუსტინეს გარდაცვალების შემდეგ კი, 527 წლიდან, ერთპიროვნულად მართავდა ბიზანტიის იმპერიას.

იუსტინიანე I-ზე უდიდეს ზეგავლენას ახდენდა მისი მეუღლე თეოდორა. იგი ადრე დაობლდა, ბავშვობა და ახალგაზრდობა ათასგვარ გაჭირვებაში გაატარა. თავს განუმეორებელი სილამაზის წყალობით ირჩენდა. მის სიდუხჭირეს ბოლო მოეღო, როცა თეოდორამ თავი მოაწონა ტახტის მემკვიდრე იუსტინიანეს.

დიდი ნებისყოფისა და ენერგიის, გამჭრიახი და ვერაგი თეოდორა მეუღლის იმპერატორად გახდომის შემდეგ აქტიურად ერეოდა სახელმწიფო საქმეებში. იუსტინიანე მისგან იღებდა რჩევას და მხარდაჭერას.

თეოდორას ხასიათის სიმტკიცე მკაფიოდ გამომჟღავნდა 532 წელს კონსტანტინოპოლში მომხდარი აჯანყებისას. აჯანყებულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეუფლნენ დედაქალაქს. ისინი ერთმანეთს ამხნევებდნენ შეძახილებით ,,ნიკა!" ე.ი. ,,გაიმარჯვე!" ამიტომაც აჯანყებას ნიკას სახელი ეწოდა. ეს იყო უდიდესი სახალხო აჯანყება, რომელიც გადასახადების ზრდამ გამოიწვია.

აჯანყების დროს საიმპერატორო კარზე ბევრი დედაქალაქიდან გაქცევის მომხრე იყო. იუსტინიანე ყოყმანობდა. მაშინ იმპერატორს მისი მრჩეველების თანდასწრებით მიმართა თეოდორამ: ,,მე უღირსობად მიმაჩნია გაქცევა. ვინც დაიბადა არ შეიძლება არ მოკვდეს, მაგრამ ვინც ერთხელ იმეფა, მისთვის ლტოლვილად ყოფნა აუტანელია. გაქცევა არაა ძნელი, მაგრამ ისე არ მოხდეს, რომ გადარჩენილმა სიცოცხლეს სიკვდილი ამჯობინო. მით უმეტეს, ნათქვამია, სამეფო ხელისუფლება საუკეთესო თავშესაფარიაო."

ცოლის სიტყვებით წაქეზებულმა იმპერატორმა უკიდურეს ზომებს მიმართა: მოისყიდა აჯანყების ზოგიერთი მოთავე, მოულოდნელი თავდასხმით საიმპერატორო ჯარებმა 30 ათასამდე აჯანყებული სიცოცხლეს გამოასალმეს.

იუსტიუნიანემ ჭკვიანი მეუღლის წყალობით ტახტი შეინარჩუნა.

უსათაუროდ

- ,,აქილევსს მანამდე არ გამოუმჟღავნებია თავი, სანამ ხელში ხმალი ძალით არ მიაჩეჩეს."
- ,,ზევსის ფარს ჰქვია ეგიდა! კი ბატონო, მაგრამ ზევსს ფარი რაში სჭირდებოდა?" - კითხულობს ოთარ ჭილაძე.
- ,,ყოველი ცალკეული ადამიანი მთელი სამყაროა, რომელიც იბადება და კვდება მასთან ერთად. ყოველი საფლავის ლოდის ქვეშ წევს კაცობრიობის ისტორია." - ჰაინე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- „თქვენ შიშს სთესავთ: ხოლო შიში უფრო უწყობს ხელს გმირების წარმოშობას, ვიდრე ვაჟკაცობა. გისურვებთ, არასოდეს თქვენს წინააღმდეგ არ მომართულიყოს შიშის მიერ გამოწვეული სასწაული.“ - ანატოლ ფრანსი.
- „ყოველ ქვეყანას თავისი პლანეტა აქვს.“ ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა დროში ხალხებს ჰქონდათ და აქვთ მოთხოვნილებანი ფიქრობდნენ იმ სამყაროზე, რომელშიც ცხოვრობენ.“
- რობესპიერი ამბობს: „ვინც საკუთარ მონუმენტისთვის იბრძვის, ის დაამხობს სამშობლოს მონუმენტს.“
- „რაც მეტია კომფორტი, მით ნაკლებია სიმამაცე.“
- „ბოლომდე გაუჩეხავი ტყე ისევ იზრდება.“ - სუვოროვი
- „ჩვენს დროში დეპრესიული წიგნების წერა დანაშაულად მიმაჩნია“ - წერდა შტეფან ცვაიგი, - „ისტორიაში მხოლოდ დიადი საქმეებით პოულობენ ადამიანები ხელახლა თავისი ძალის რწმენას.“
- **ვაჟა-ფშაველას** ენას უწუნებდა **აკაკი წერეთელი**, ხოლო აკაკის - ანჩისხატის მთავარეპისკოპოსი.
- „როცა ზარბაზნები გრიალებენ, პოლიტიკოსები უნდა დუმდნენ!..“
- რილკე - ვარდები თვალების მუსიკაა...
- გოეთეს უთქვამს: „ყველაფერზე უფრო ადამიანის ხასიათს ის ამჟღავნებს, თუ რა მიაჩნია მას სასაცილოდ.“
- „ყოველ ქვეყანას ჰყავს თავისი მაიმუნები, ევროპას - ფრანგები.“ - ფიხტე.
- „ვისაც შეუძლია, წერს, და ვისაც არ შეუძლია, ასწავლისო.“- ბერნარდ შოუ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- „შევრდომილთ უფრო სძულთ, ვიდრე დასჯილებს."- ჰაინრიხ მანი.
- „Spem pretio non emo." - „იმედისათვის ნაღდს როდი ვიხდი." ლათ.
- Nihil est tam populaqre quam bonitos" - „არაფერია ხალხთან ისე ახლოს, როგორც გულკეთილობა."

რობერტ პენ უორენი ამბობს:

„ადამიანი ცოდვაში ჩაისახა და სიბინძურეში დაიბადა, ცხოვრებას აქოთებულ ჩვრებში იწყებს და მყრალ სუდარაში ამთავრებს, ამიტომ დასადანაშაულებად ყოველთვის აღმოაჩნდება რაღაც."

არცთუ ისე ცუდი კაცი ვიყავი

რუდოლფ ჰოსი ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის უფროსი კომენდანტი, შეიწირა 3 მილიონი ადამიანი. ციხეში დაწერა მემუარები, რომელიც მთავრდება ასეთი სიტყვებით:

-შეუძლიათ თუ არა ადამიანებს ჩემში გულდამშვიდებით დაინახონ მხოლოდ სისხლისმსმელი მხეცი, შემზარავი სადისტი, მილიონების მკვლელი! სხვაგვარად, ალბათ, ვერც წარმოიდგენენ ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტს. მაგრამ გაიგებენ კი ისინი ოდესმე, რომ მეც მქონდა გული და ... არცთუ ისე ცუდი კაცი ვიყავი?!

ეპიკურემ თქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ან ღმერთს ბოროტების შეჩერება სურს და არ ძალუძს, ან ძალუძს და არ სურს, ან არც სურს და არც ძალუძს, ან: კიდეც სურს და კიდეც ძალუძს. თუ სურს, მაგრამ არ ძალუძს, ის უძლური ყოფილა; თუ ძალუძს მაგრამ არ სურს, გარყვნილი ყოფილა; თუ არც ძლუძს და არც სურს, ის უძლური ყოფილა და გარყვნილიც; ხოლო თუ კიდეც ძალუძს და კიდეც სურს, რატომ არაფერს შვრება?"

იდეალები და კერპები

ფაშისტური გერმანიის მთავარი იდეოლოგის როზენბერგის აზრით, ყოველი ეპოქის მთავარი მიზანი მითის შექმნაა. მითის შესაქმნელად კი საჭიროა დიდი ამბები და დიდი ადამიანები, რომელიც ფორმას მისცემს ეპოქის სულისკვეთებას. რენანი წერს, ისეთი დიდი ქმნილება არ არსებობს, რომელსაც მითოსი არ ედოს საფუძვლად. იგია ისტორიის მამოძრავებელი ძალა. ყოველი ეპოქა ქმნის ან ვერ ქმნის მითს. იქ, სადაც მითი არ იქმნება, არც დიდი ძვრები ხდება.

- დადგება დრო, და, შვილიშვილებს შერცხვებათ, დამნაშავეებათ რომ გამოგვაცხადეს, იმ კეთილშობილური იდეების გამო ჩვენ რომ გაგვაჩნდა. - წერდა თავის სიმართლეში დარწმუნებული როზენბერგი, მაგრამ ის ერთადერთი არ იყო, ვინც ასე ფიქრობდა

ნიურნბერგის პროცესზე, საბრალდებო აქტის მიღების შემდეგ გერინგი მიუბრუნდა ჰანს ფრანკს და ეუბნება:

- გერმანელი ხალხი კვლავ აღსდგება ჰანს, - დეე, ეს იყოს თუნდაც 50 წლის შემდეგ, მაგრამ იგი მაინც გამოგვაცხადებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის გმირებად და ჩვენს დაფერფლილ სხეულებს მარმარილოს ურნებით გადაიტანს ეროვნულ ტაძარში.“

ლუთერის შეგონება

,,თუ ოცი წლისა ლამაზი არა ხარ, ოცდაათისა ძლიერი, ორმოცისა - ჭკვიანი, ხოლო ორმოცდაათისა - მდიდარი, შემდეგ არაფრის იმედი არ უნდა გქონდეს.“

გებელს წამოსცდა ერთხელ

არაერთი თავი გორდება ქვიშაში - ასეთია კაცობრიობის მარადიული ბედისწერა, რომ თითქმის ყველა მის ღირსშესანიშნავ გმირობას სისხლი აცხია, და სწორედ ყველაზე უფრო სასტიკნი აღწევენ ყველაზე დიადს.

გებელს ერთხელ წამოსცდა გასაოცარი სიტყვები: ,,ისტორიისათვის სულ ერთია, როგორ ხდება ესა თუ ის მოვლენა. ის მათ მხარეზე დგება, ვინც ქმნის დიად საქმეებს და აღასრულებს დიად საქქმეებს.“

ბუნება ისვენებს

ამბობენ: გენიალურ ადამიანთა შვილებზე ბუნება ისვენებსო. ამის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება პეტრე III. კორონაციამდე იგი იყო ჰოლშტეინის ჰერცოგი. მის ძარღვებში ჩქეფდა როგორც პეტრე დიდის, ისე შვედეთის ლეგენდარული მეფის კარლოს XII-ის სისხლი. რუსეთის იმპერატორის შვილიშვილი, იმპერატრიცა ელისაბედის დის შვილი და კარლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

XII-ის დის შვილიშვილი, ისტორიას შემორჩა, როგორც ყველაზე უგუნური მმართველი.

მისმა მეუღლემ, შემდგომში იმპერატრიცა ეკატერინემ დროულად „გაანთავისუფლა" იგი ამ ტვირთისგან.

განსჯისთვის დროა საჭირო

როდესაც ცნობილმა რუსმა მწერალმა დოსტოევსკიმ თავის გამოსათხოვარ სიტყვაში თქვა, ნეკრასოვი როგორც პოეტი შეიძლება დავაყენოთ მომდევნო სიმაღლეზე პუშკინისა და ლერმონტოვის შემდეგო, ხალხში გაისმა შეძახილები: - უფრო მაღლა! უფრო მაღლა!

ცხადია, ამ შეძახილში იყო გადაჭარბება, რასაც არაერთგზის შეუყვანია თანამედროვეობა შეცდომაში.

ამიტომ ამბობს ილია: „ხალხი, მართალია ჰგრძნობს, მაგრამ ხშირადაც მოხდება ხოლმე, რომ ხალხი რასაცა ჰგრძნობს, იმას ვერა სცნობს და ვერ ამჩნევს სხვათა შორის. ხოლო შეუმცდარად რომ განსაჯოს ამისთვის დროა საჭირო, ზოგჯერ დიდი დროც.

უკანდახევა არ შეუძლიათ

1799 წელი, ლაშქრობა იტალიაში. ტრებიასთან ბრძოლა მეტად გააფთრებული იყო. რიცხობრივად ჭარბი ფრანგები არა ერთხელ შეიჭრნენ მოკავშირეთა რიგებში, განსაკუთრებით გაუჭირდა ავსტრიელ გენერალ როზენბერგს: დამფრთხალი მიიჭრა იგი სუვოროვთან და სთხოვა უკანდახევის ნებართვა.

სუვოროვი ამ დროს დიდ ლოდთან იწვა და ისვენებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

-შეგიძლიათ თქვენ დასძრათ ეს ლოდი ადგილიდან? არ შეგიძლიათ? ასევე რუს ჯარისკაცებს არ შეუძლიათ უკანდახევა, - უპასუხა მან შიშისგან დაბნეულ გენერალს და უკან გაბრუნებულს ეს სიტყვებიც დაადევნა: ,,შეიძლება რუსები სათითაოდ გაწყდნენ, მაგრამ მათ ვერავინ დაამარცხებს."

რა გაწუხებთ?

მაწუხებს სამი რამ: როცა უსამართლოდ მლანძღავენ, როცა დაუმსახურებლად მაქებენ და როცა იგნორირებას მიკეთებენ.

ინგლისის დიდებული საათი

იმ დროს, როდესაც იბომბებოდა ქალაქები, იწვოდა სახლები, გადარჩენილები დახოცილებს საფლავებსაც ძლივს რომ უთხრიდნენ, ლამანშიდან რადიო გადასცემდა ჩერჩილის ცნობილ სიტყვებს:

,,ჩვენ უნდა სულით ისე ძლიერები ვიყოთ, რომ თუ ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობა და იმპერია კიდევ 1000 წელი იარსებებს, ხალხმა თქვას: ეს იყო ინგლისის დიდებული საათი."

კამათის სურვილი დაუკარგა

ერთხელ ოხარე კამათის დროს მარკ ტვენმა ერთ-ერთ ოპონენტს უთხრა: ,,თქვენი წიგნები ოქროა, ჩემი - წყალი?"

ეს როგორ გაიკვირვა მოკამათემ? ისე, რომ ხმაზე აშკარად კმაყოფილება ეტყობოდა.

,,წყალს ყველა სვამს" უპასუხა მარკ ტვენმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწინააღმდეგეს კამათის სურვილი დაეკარგა.

„მუდმივი ქიში“

საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებად ცნობილ, აზრობრივი თვალსაზრისით ფილოსოფიურად დატვირთულ იცხოკას მერასის მოთხრობაში „მუდმივი ქიში“ ვკითხულობთ:

მეორე მსოფლიო ომის დროინდელ ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში თავისი ოჯახით მყოფი აბრამ ლიპმანი ესაუბრება ბანაკის სისხლიან უფროსს შოგერს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბანაკიც ბუხენვალდის, ოსვენციმის, დახაუს და სხვა სასაკლაოთა მსგავსია, არის ერთი განსხვავება: შოგერს ჭადრაკის თამაში უყვარს - იგი ყოველდღე ეთამაშება ერთ პარტიას აბრამის შვილს ისაკს, ინტელექტუალური თამაში საშინელ აზარტადაა ქცეული. წაგების შემთხვევაში ლიპმანი სიცოცხლეს უნდა გამოესალმოს. შოგერი ყოველთვის აგებს პარტიას.

ერთ დღეს შოგერი იღებს გადაწყვეტილებას ბანაკიდან პატარა ბავშვების გაყვანაზე. ყველას კარგად ესმის, რას ნიშნავს ეს. შოგერთან მოსალაპარაკებლად მიდის აბრამ ლიპმანი - მოხუცი, ჭკვიანი კაცი. მაგრამ შოგერი არავითარ ქრთამზე არ თანხმდება. აბრამი მოისაზრებს შესთავაზოს შოგერს ჭადრაკის თამაშის ახალი პირობა: თუ მოიგებს პარტიას, დასაჯოს მისი შვილი (ძველი შეთანხმების პირეობა), თუ წააგებს, დასაჯოს ბავშვები. მაშასადამე, მოგებაც და წაგებაც სიკვდილია. ერთადერთი ნუგეში ისაა, რომ ლიპმანს შეუძლია ყაიმს მიაღწიოს ამით ბავშვებიც და თავიც იხსნას.

იწყება ჭადრაკის თამაში. თითოეული ფიგურის გადაადგილება ადამიანების სიკვდილ-სიცოცხლის განაჩენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისაკ ლიპმანი, გონების დაძაბვითა და დიდი შემართებით, დაფაზე მუდმივი ქიშის სიტუაციას აღწევს, სურვილი და მიზანი შესრულებულია. უბრალოდ საჭიროა სვლების მექანიკურად გამეორება.

მაგრამ ისაკ ლიპმანი სვლის გაკეთებას საეჭვოდ აგვიანებს. იგი ფიქრობს და საბოლოოდ შეგნებულად დაშვებული შეცდომით ნებაყოფლობით თანხმდება სასჯელს.

რა მოხდა? რა გახდა ლეიტმოტივი, რის გამოც ადამიანმა თვითონ „მოაწერა ხელი" სასიკვდილო განაჩენს?

მიზეზი იდეის ფენომენია: ყაიმის დაშვება ფაშისტებთან არ შეიძლება!

შიშის გამო ნურავის განიკითხავთ!

შიშზე ერთ ამბავს იხსენებს საქართველოსა და რუსეთის სახალხო არტისტი, რეჟისორი თემურ ჩხეიძე: სტუდენტი ვიყავი და იმჟამინდელ თეატრალურ ინსტიტუტში მუშაობდა ასაკოვანი პედაგოგი კუკური პატარიძე, რომელიც 1930-იანი წლების ბოლოს სანდრო ახმეტელთან და სხვა თეატრალურ მოღვაწეებთან ერთად დააპატიმრეს, თუმცა დახვრეტას გადაურჩა, მაგრამ დიდხანს იყო გადასახლებაში. ერთხელ, სიტყვამ მოიტანა და, მითხრა: თქვენ არ იცით, რა არის ნამდვილი შიში და ამიტომ არავინ განიკითხოთ ამისთვის. საშინელი ფიზიკური წამება გამოვიარე და თუ გაიკითხავთ, ყველა გეტყვით, რომ არავინ დამისახელებია, არავინ გამიცია და ხელი არაფერზე მომიწერიაო. მართლაც ასე იყო, მაგრამ ამ კაცმა ჩემთვის თავზარდამცემი რამ თქვა მაშინ: წამებით ადამიანი მიდის იმ მდგომარეობამდე, რომ ყველაფერზე ხელს მოაწერს, სიკვდილზეც კი თანახმაა, მაგრამ ის უკვე ადამიანი აღარ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასზე ვერ იტყვი, ეს როგორ ქნაო. მეორე უკიდურესობაც არის: კრიჭა შეეკვრება და სიტყვას ვერ დააცდენინებ, მაგრამ ეს იმ ადამიანზე აღარაა დამოკიდებული. მე ღმერთმა მომცა რაღაც ძალა და კრიჭა შემეკრა, მაგრამ ამისთვის ქებას არ ვიმსახურებ. "ის" მე აღარ ვიყავი, მე ადამიანი აღარ ვიყავი. ამიტომ შიშის გამო ნურავის განიკითხავთ!

მართლაც, ეს ამბავი არასდროს უნდა დაგავიწყდეს, მითუმეტეს კაცს.

ალექსანდრეს მუხანათობა

ალექსანდრე მაკედონელმა გამოიგონა ჯაშუშური ტექნიკა, რომელიც დღესაც გამოიყენება: ის თავის ჯარისკაცებს ნებას რთავდა, ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვის წერილი მიეწერათ. შემდეგ მათ ნაწერებს ხელში იგდებდა, კითხულობდა და ამგვარად იგებდა, ვინ რა აზრის იყო მასზე.

წასაკითხი დრო

შოპენჰაუერი წერდა: ,,ბიბლიოთეკა, რომ არ მქონოდა სასოწარკვეთა დიდი ხნის წინ მომიღებდა ბოლოსო“ და იქვე დასძენდა:

-,,რა კარგი იქნებოდა, წიგნებთან ერთად მათი წასაკითხი დროც იყიდებოდესო.“

აკეთო კი ის, რასაც ვერ გრძნობ, - სიყალბეა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორია ერთი უწყვეტი ომია, რომელიც ამ მიწაზე კაცთა მოდგმის გაჩენიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება...

მე არ ვიცი სხვა ერი, ვისაც ამდენი მტერი ენახოს შესეული და მაინც ფეხზე იდგეს. რამ გაგვაძლებინა? დროა ისტორიულ ფაქტებს შევხედოთ წმინდა რაციონალური თვალსაზრისით. მაგალითად რამ შექმნა დიდგორის, მარტყოფის, მარაბდის, კრწანისის ბრძოლების გმირები?

იდეის გამარჯვების ტექნოლოგიაზე თუ მიდგება საქმე, მაშინ კითხვას თუ ვინ? მოყვება - როგორ? ან რა ძალა ქმნის ამ ყოველივეს?

ჩვენ შესაძლოა, უკვე ბევრი ვიცით ქვეყნის წარსულზე, მაგრამ არის კი საკმარისი ეს ცოდნა ჩვენი ორიენტირი გახდეს პრობლემებში გარკვევისათვის?

თუ დაწერილი ისტორია მკითხველს ვერაფერს ასწავლის, ეს ან წიგნის, ან წამკითველის პრობლემაა. ისტორია არ ასწავლის მათ, ვისაც არ უნდა რაიმეს დანახვა. ეს „დაუნახაობა," ანუ სიბრმავე კი შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს საზოგადოებას.

არც ერთ ეგვიპტოლოგს არ უნახავს რამზესი, ისევე როგორც ქართველ ისტორიკოსს არ უნახავს მტრის სისხლით მორწყული დიდგორის ველი და არც ნაპოლეონის ომების სპეციალისტს მოუსმენია ვატერლოოს ველზე ქვემეხების გვრგვინვა.

ცხადია, ძნელია ყველაფერი ეს წარმოიდგინო, მითუმეტეს გაანალიზადო.

არადა, აკეთო კი ის, რასაც ვერ გრძნობ, - სიყალბეა!

ფრენა რომ შეძლო მარტო ფრთები არ კმარა, ქარიც უნდა იგრძნო სახეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ არის, რომ გულის გულში ჩამწვდომ ისტორიის წერას ვიღაც ახერხებს, ბევრიც ვერა.

„ადამიანი ფლუგერები“

საბჭოთა მწერალთა კავშირის სააქტო დარბაზში მიმდინაროებს ერენბურგის რომანის „ქარბუქის“ განხილვა.

ტრიბუნაზე ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ.

ყველანი ერთხმად, უმოწყალოდ აკრიტიკებდნენ ნაწარმოებს.

დარბაზი გუგუნებდა და დროდადრო ოვაციებით „ფეთქდებოდა.“

ბოლო სიტყვა ერენბურგს მისცეს.

იგი ნელი ნაბიჯით ავიდა ტრიბუნაზე, ჭიქაში წყალი დაისხა, მოსვა და ჩუმი, მოგუდული ხმით თქვა:

-აქ უმოწყალოდ აკრიტიკებდნენ ჩემს რომანს... არ ვიცი... მე ცოტა დაბნეული ვარ... წაგიკითხავთ დეპეშას, რომელიც მივიღე, ზუსტად იმ დროს, სანამ აქ მოვიდოდი.

ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო, სათვალე გაისწორა, და წაიკითხა:

-„წავიკითხე თქვენი რომანი, ძალიან მომეწონა, გისურვებ შემდგომ წარმატებებს.“

აქ ერენბურგმა დიდი პაუზა გააკეთა, და მერე კიდევ უფრო ჩუმი ხმით წარმოსთქვა:

-სტალინი!

დარბაზი გაირინდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ეს სიჩუმე უსაშველოდ დიდხანს გაგრძელდა. მერე გაისმა ოდნავ გასაგონი ფეხის ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერენბურგი გასასვლელისაკენ მიდიოდა.

პარტერი გაქვავებული იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ლიტერატურულ გაზეთში გამოქვეყნდა ქებათა-ქება ამ რომანისა, და ავტორები კი უმეტეს შემთხვევაში იყვნენ ისინი, ვინც ორი-სამი დღის წინ ასე უმოწყალოდ აკრიტიკებდა ამ ნაწარმოებს.

ჭირდებოდა დამჯერენი და არა ჭკვიანები

ცნობილი რუსი ისტორიკოსი ევგენი ტარლე, თავის ერთ-ერთ წიგნში ჰყვება მოსკოვის უნივერსიტეტში ნიკოლოზ I-ის სტუმრობის შესახებ. როცა რექტორმა მას საუკეთესო სტუდენტები წარუდგინა, მათთან მოკლე საუბრის შემდეგ იმპერატორმა თქვა: „მე არ მჭირდება ჭკვიანები, მე მჭირდება დამჯერენი."

ეს ის ნიკოლოზია, რომელსაც უნდოდა დამჯერედ ექცია პუშკინი, ასეთი მოპყრობის შედეგად პუშკინი დაიღუპა.

მუხანათი მეცენატი

საუკუნეების განმავლობაში, ომისა და მშვიდობიანობის დროს შეგნებულად თუ შემთხვევით ნადგურდებოდა კაცობრიობის ცოდნის გარკვეული ნაწილი. მაგრამ მათი განადგურება ხდებოდა ადამიანთა მიერაც - გარკვეული მიზნითა და მისწრაფებით.

ეკატერინე მეორე „კაცთმოყვარე" დედაკაცი კი იყო. მაგრამ მთელ დროს მხოლოდ ორგიებისთვის არ ფლანგავდა. ის იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროისათვის საკმაოდ განათლებული ქალბატონიც გახლდათ, განსხვავებით ძალიან ბევრისგან.

ამბობენ თითქოს ლანდტაგის ერთ-ერთ სხდომაზე ბისმარკს განეცხადებინოს: გოეთეს „ფაუსტში" ისეთივე საშიში იდეებია გაბნეული, როგორსაც ამ დაბოლოს ჩვენი სოციალისტები ჰქადაგებენო - თუმცა მის თანადროულთაგან ასეთი აზრი არავის მოსვლია თავში, ხოლო თვით ვაიმარელმა ბრძენმა ჰერცოგის კარზე უშფოთველად გაატარა თავისი დღენი.

მაგრამ ეკატერინეს საკმარისი განათლება ეყო იმისთვის, რომ დიდი რუსი განმანათლებლის რადიშჩევის წიგნის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს" გადაკითხვისას, უკვე მე-19 გვერდზე შეენიშნა ამ ნაწარმოების ბუნტარული ხასიათი.

რუსეთის იმპერატრიცა დიდი მეცენატიც ბრძანდებოდა. მან ცნობილ ფრანგ ენციკლოპედისტს დენი დიდროს უმაღლესი პენსია დაუნიშნა ოქროთი. 50 წლის თანხა წინასწარ გადაიხადა. აი, მეფური ქველმოქმედების მაგალითი!

ეკატერინე მეორე, ითვლებოდა ვოლტერის მეგობრადაც და ამით ის ძალიან ამაყობდა.

თუმცა ცოტა მოგვიანებით „ენციკლოპედიაზე" იტყვის: „მასში ორ აზრს ვხედავ - მოსპობა ქრისტიანული რელიგიის და მოსპობა სამეფო ხელისუფლების."

სამწუხაროდ, ის არ ცდებოდა. ენციკლოპედიის პირველსავე ტომში გამოქვეყნებულ დიდროს სტატიაში „პოლიტიკური ძალაუფლების შესახებ," ვკითხულობთ: „არც ერთ ადამიანს ბუნებისგან არა აქვს ბოძებული სხვებზე ბატონობის უფლება. თავისუფლება ბუნების საჩუქარია და ყოველ ინდივიდს თანაბრად ეკუთვნის."

და აი დადგა შურისძიების დროც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც იმპერატრიცამ გაიგო პირველი ფრანგული ენციკლოპედიის სულისჩამდგმელის და რედაქტორის სიკვდილი, თავის მუდმივ კორესპონდენტს გრიმს მოსთხოვა შეესყიდა რა ფასშიც არ უნდა ყოფულიყო დენი დიდროს ყველა თხზულება.

1785 წელს იმპერატრიცამ შეისყიდა დიდროს მთელი ბიბლიოთეკა, დაახლოებით 3000 ტომი ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ, ლათინურ, ბერძნულ ენებზე. იყიდა თავისთვის, რათა წიგნებს „არავინ დაეზარალებინა." ყველა ეს წიგნი დღემდე უკვალოდ არის გამქრალი. მისივე გამანადგურებელი, მისივე შემძენი რომ უნდა ყოფილიყო აქედანაც ჩანს: როცა ფრანგებმა ბასტილია აიღეს ეკატერინე II-მ მოისურვა „მარსელიოზის" მოსმენა, მაგრამ არ მოისმინა ბოლომდე, ოთახიდან ჩუმად გავიდა. ხოლო, როდესაც გაიგო ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯა, იმპერატრიცა ავად გახდა. მან ბრძანა თავისი კაბინეტიდან გაეტანათ ვოლტერის ბიუსტი და ეს მაშინ, როცა პარიზელები ვოლტერისა და დიდროს ნეშთს პანთეონში კრძალავდნენ.

სასტიკი შურისძიება

მე-12 საუკუნეში ესპანელებმა პირინეის ნახევარკუნძულზე მოკალათებული მავრები დაამარცხეს და მათი სახალიფოს მთავარი ქალაქი კორდოვა აიღეს. კორდოვას ემირმა ალმანსორმა, ბრძოლით რომ ვერა გააწყო, შავი ჭირი შეიყარა, მოწინააღმდეგის ბანაკში მივიდა და ტყვედ ჩაბარდა. ალმანსორი დაიღუპა, მაგრამ ბანაკში მოდებულმა შავმა ჭირმა მუსრი გაავლო ესპანელთა ჯარსაც.

მიზეზი ნაპოლეონის დაცემისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვატერლოო ბრძოლა არ არის, ვატერლოო სამყაროს სახის შეცვლაა.“

„პირველხარისხოვანი ბრძოლა იყო ვატერლოო, მეორეხარისხოვანი მხედართმთავრის მიერ მოგებული.“- წერს ჰიუგო და განაგრძობს:

„ჩვენი აზრით, ვატერლოოს ბრძოლა მოულოდნელმა შემთხვევამ გადაწყვიტა, და როდესაც საქმე ბედზე მივარდება, ამ საიდუმლო ბრალდებულზე ჩვენც ხალხივით ვსჯით. გულმართალი მსაჯული არის ხალხი.

1815 წლის თიბათვის 17, ღამით წვიმა რომ არ მოსულიყო, ევროპის მომავალი მთლად შეიცვლებოდა. რამდენიმე წვიმის მეტი ან ნაკლები წვეთი - აი, მიზეზი ნაპოლეონის დაცემისა.

რუსეთი არ გაპატიებთ

რუსეთში შემოჭრილმა ნაპოლეონის არმიამ სმოლენსკის აღების შემდეგ, რუსეთი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დააყენა. ამან რუსების პატრიოტული გრძნობები უკიდურესად გაამძაფრა. ომმა სამამულო ხასიათი მიიღო. ასეთ პირობებში შეიარაღებული ძალების სათავეში რუსი მთავარსარდლის ჩაყენება აუცილებელი იყო. ქვეყნისთვის ამ კრიტიკულ მომენტში, იმპერატორი ალექსანდრე I იძულებული იყო მიხეილ კუტუზოვი დაენიშნა მთავარსარდლად, რომელსაც ვერ იტანდა მისი დამოუკიდებელი ხასიათის გამო.

რუსეთის არმიის ახლადდანიშნულმა მთავარსარდალმა ფრანგებს გენერალური ბრძოლა 1812 წლის 26 აგვისტოს მოსკოვიდა 120 კილომეტრზე სოფელ ბოროდინოსთან გაუმართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე დანაკარგის გამო, არმიის გადარჩენის მიზნით, კუტუზოვმა ბრძოლის გაგრძელება აღარ ისურვა, უფრო მეტიც 2 სექტემბერს სოფელ ფილეში გამართულ თათბირზე, სადაც შტაბის ოფიცრები დაჟინებით ეწინააღმდეგებოდნენ მთავარსარდლის გადაწყვეტილებას, კუტუზოვმა დედაქალაქის უბრძოლველად დატოვება ბრძანა.

ისტორიას სამუდამოდ შემორჩა მისი სიტყვები, რომელსაც თვალცრემლიანი ამბობს: ,,მოსკოვის დაკარგვით ჯერ კიდევ არაა დაკარგული რუსეთი. არმიის მოსპობით კი მოსკოვიცა და რუსეთიც დაიღუპება."

შემდგომში დრომ დადასტურა გენიალური მხედართმთავრის წინასწარ ჭვრეტა. ფრანგები დიდი დანაკარგით რუსეთს ტოვებდნენ.

,,მე შემეძლო მეამაყა იმით, რომ პირველად ნაპოლეონი ჩემგან გარბის, მაგრამ ვიცი ამაყებს ღმერთი სჯის," - სწერდა კუტუზოვი თავის მეუღლეს, როცა ნაპოლეონის ,,უძლეველ არმიას" დასავლეთისაკენ მიერეკებოდა.

კუტუზოვი არასოდეს არ ლაპარაკობდა თავის დამსახურებაზე. იგი, ყოველთვის მადლობას უხდიდა თავის ერს: ,,მე ბედნიერი ვარ რუსებს რომ ვწინამძღოლობ, მაგრამ რომელ მხედართმთავარს არ დაუმარცხებია მტერი ჩემს მსგავსად, ესოდენ მამაცი ხალხით."

სილეზიაში, ქალაქ ბუნცლაუს მახლობლად, კუტუზოვი გაცივდა და ლოგინად ჩაწვა. სიკვდილის წინ იგი ინახულა ალექსანდრე I და სთხოვა პატიება იმ დევნისა და შეურაცხყოფის გამო, რითაც კუტუზოვს სიცოცხლე გაუმწარა.

- მიხეილ ილარიონის ძევ, მაპატიებთ მე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მე, თქვენო უდიდებულესობავ, მიპატიებია, მაგრამ არასოდეს არ გაპატიებთ რუსეთი, - უპასუხა მას მომაკვდავმა.

სად არის აკაკის საფლავი?

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: "ვამაყობ იმით, რომ მყავს ახალგაზრდა მინისტრები, რომლებმაც არ იციან, ვინაა ლენინი"...

თუმცა, როგორც გაირკვა, საქართველოს ერთ-ერთმა მინისტრმა, ასევე არ იცოდა, თუ სად არის დიდი ქართველი მგოსნის, "საქართველოს უგვირგვინო მეფის" - აკაკის საფლავი..

დღეს ეს უკვე ქრესტომათიის კუთვნილებაა, სხვიტორში სტუმრობისას ახალგაზრდა ქალბატონი მინისტრი ყვავილებით ხელში როგორ ეძებდა აკაკის საფლავს შესამკობად.

სამშობლოსათვის შეწირულნი

1819 წლის იმერეთის აჯანყების დროს დაპატიმრებულმა ღირსმა ეფთვიმე გაენათელმა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრესთან შეხვედრისას იმპერატორს ახალი ნერონი უწოდა და უშიშრად ამხილა იგი საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერისათვის თავისუფლების წართმევაში.

გადის საუკუნე და ქართველ ერს კიდევ ერთი უტეხი სულის დამცველი მოუვლინა ღმერთმა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ შექმნილ ჯოჯოხეთურ პირობებში, საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ 1922 წელს თბილისიდან ხმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაწოდა გენუის საერთაშორისო კონფერენციას, სადაც იკრიბებოდნენ ევროპის წამყვანი სახელმწიფოები.

გაგზავნილ მემორანდუმში მან დაწვრილებით აღწერა საქართველოს უბედური მდგომარეობა, რუსეთის ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის დანაშაულებრივი ქმედებების სრული ჩამონათვალით და განათლებული კაცობრიობისაგან მოითხოვა დახმარება. მემორანდუმი წაიკითხეს კონფერენციაზე, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კათოლიკოსი, ქართველი ერის სახელით, საქართველოდან წითელი ჯარის გაყვანასა და რეფერენდუმის მოწყობას მოითხოვდა.

თავისი გაბედული ქმედებით ერის მოძღვარმა ფაქტიურად სამშობლოსათვის გასწირა თავი. წერილის გამო ამბროსი ხელაია ბოლშევიკებმა შეიპყრეს და სასტიკად აწამეს. სასამართლოზე, პატრიარქი, უშიშრად, ღიად ამხელდა კრემლის ყურმოჭრილი მონების „ნამოღვაწარს.“ მათ რაკი ვერაფრით გატეხეს პატრიარქის უტეხი სული, განაჩენად სიკვდილით დასჯა გამოუტანეს, მაგრამ მხცოვანი ასაკის გამო ერის სულიერ მამას მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 8 წლამდე, სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების კონფისკაციით.

ორი წლის შემდეგ კათოლიკოსი ამნისტიით გაანთავისუფლეს. ის სატუსაღოდან პირდაპირ სიონისაკენ გაემართა. კათოლიკოსი მეტეხის ხიდზე გადმოდისო – ეს ამბავი სწრაფად მოედო თურმე ქალაქს, როცა კათოლიკოსი სიონში მივიდა, ტაძარი უკვე მრევლით სავსე დახვდა. შევიდა თუ არა სიონში, ხალხი მუხლებზე დაემხო და აქვითინდა. მაშინ აღმოხდენია სიხარულით: „როგორც ჩანს, ქრისტიანობას საქართველოში ვერა ძალა ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაანადგურებსო“ – და მომეტებული მღელვარებისგან გული წასვლია.

1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ამბროსი ხელაია წმინდანად შერაცხა წმიდა მღვდელმთავარ ამბროსი აღმსარებლის სახელით.

შთამომავლებს ანდერძად დარჩებათ წმინდანის სიტყვები, რომლითაც მას წამების დროს მიუმართავს ბოლშევიკი მტარვალებისათვის: „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული ჩემი – საქართველოს, ხოლო გვამი ჩემი – თქვენი იყოს, ძაღლებო!“

აკი ბრძანა კიდეც ილია II-მ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა: “საქართველოს ეკლესია იყო, არის და მუდამ იქნება სული ქართველი ერისა.”

რეალობის ხედვის სხადასხვა ასპექტები

დასავლური ინტელექტუალიზმის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი ხორხე ორტეგა ი გასეტი თავის ერთ-ერთ ესეში „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“ შთამბეჭდავი აზრობრივი სიღრმით აანალიზებს ერთი შეხედვით თითქოსდა ბანალურ ამბავს:

კვდება სახელგანთქმული კაცი. სასთუმალთან ცოლი უზის. ექიმი მაჯას უსინჯავს სულთმობრძავს. ოთახის სიღრმეში მომაკვდავის ორი ნაცნობია - ჟურნალისტი, რომელიც ამ სასიკვდილო სარეცელთან სამსახურებრივმა მოვალეობამ მოიყვანა, და მხატვარი, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა აქ. ცოლი ექიმი, ჟურნალისტი და მხატვარი ერთსა და იმავე მოვლენას ესწრებიან. მაგრამ ამ ერთსა და იმავე მოვლენას -

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის სულთმობრძაობას - თვითეული მათგანი თავისებური თვალთახედვით აღიქვამს. ხედვის ყველა ეს წერტილი იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ალბათ არც კი მოეძებნებათ რამე საერთო.

მაყურებლის თვალით რომ აღვიქვათ ეს სცენა აუცილებელია დავშორდეთ მას და ისე შევხედოთ ყოველივეს:

მომაკვდავის მეუღლისათვის ამ უბედურებას ისე დაუფლეთია ქალის გული, ისე მოუცავს მთელი მისი არსება, რომ ის ამ სცენას მოწმესავით კი არ ესწრება, ის თვითონ მასშია, ის კი არ ჭვრეტს, რაც ხდება, არამედ მაშშივე ცოცხლობს.

ექიმი უკვე ოდნავ შორსაა, მისთვის ეს პროფესიული შემთხვევა გახლავთ. ის არ განიცდის ამ სიტუაციას იმ მტანჯველი და ცნობისმიმხდელი მწუხარებით, რომელიც ავსებს საბრალო ქალის გულს. მაგრამ პროფესია ავალდებულებს, მთელი სერიოზულობით მოეკიდოს იმას, რაც ხდება. მას გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრია და, შესაძლოა, სწორედ ამ ვითარებაზეა დამოკიდებული მისი პრესტიჟიც. ისიც თავისებურად განიცდის ამ სამწუხარო ამბავს, თუმცაღა მისი განცდა თვით გულიდან კი არა, იმ გრძნობათა პერიფერიიდან იღებს დასაბამს, უშუალოდ რომ უკავშირდებიან მის პროფსიონალიზმს.

ახლა, თუ რეპორტიორის ადგილას დავდგებით, ჩვენ დავინახავთ, რომ უკვე ძალიან დავშორდით სამწუხარო სიტუაციას. დიახ, ჩვენ იმდენად დავცილდით სიკვდილის სცენას, რომ ჩვენმა გრძობებმა ყოველგვარი კონტაქტი დაკარგეს მასთან. ჟურნალისტი, ისევე, როგორც ექიმი, აქ სამსახურებრივმა მოვალეობამ მოიყვანა, და არა უშუალო თანაგრძნობამ, ჰუმანურმა ზრახვამ. მაგრამ თუ თავისი პროფესია აიძულებს ექიმს, უშუალოდ ერეოდეს იმაში, რაც ხდება, ჟურნალისტის პროფესია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირიქით, ჩაურევლობას ავალებს რეპორტიორს: ის მარტოოდენ დაკვირვებით უნდა შემოიფარგლოს. რაც ხდება, ეს მისთვის, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ უბრალო სცენაა, განყენებული სანახაობა, რომელიც შემდეგ თავისი გაზეთის ფურცლებზე უნდა აღწეროს. მისი გრძნობები არ მონაწილეობენ იმაში, რაც ხდება სული შეძრული არ არის მწუხარე სცენით, ის აშკარად მის გარეთაა, მაგრამ მაინც აკვირდება და თან იმაზე ფიქრი აწუხებს, თუ როგორ აღუწეროს ყოველივე ეს თავის მკითხველებს; მხოლოდ ერთი სურვილი აქვს: რანაირად დააინტერესოს, ან ააღელვოს ისინი და შეძლოებისდაგვარად მიაღწიოს იმას, რომ გული აუჩუყოს, ააცრემლოს და ერთი წამით მაინც მომაკვდავის ნათესავებად აგრძნობინოს თავი.

და ბოლოს, ყველაფრის მიმართ გულგრილ მხატვარს მხოლოდ ერთი საზრუნავი აქვს: როგორმე შეიჭვრიტოს კულისებში; რაც სცენაზე ხდება, მას არ ეხება; როგორც იტყვიან სხვაგან ჰქრის მისი გონება. მხატვრის პოზიცია პირწმინდად კონცემპლაციურია, მეტიც შეიძლება ითქვას, რომ ის არცა ჭვრეტს მოვლენის დრამატულ განვითარებას, მოვლენისა, რომლის, შინაგანი აზრიც მისი აღქმის მიღმა რჩება. ის ყურადღებას აქცევს მხოლოდ გარეგნულ მხარეს - შუქ-ჩრდილის თამაშს, ქრომატულ ნიუანსებს. მხატვრის სახით ჩვენ საქმე გვაქვს მოვლენისაგან მაქსიმალურ დაშორებასა და გრძნობების მინიმალურ მონაწილეობას ამავე მოვლენაში.

ესოდენ ვრცელი ანალიზი დაგვჭირდა, რათა გვეჩვენებინა, რომ სხვადასხვა თვალსაზრისით განხილული ერთი და იგივე რეალობა შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავებულ მრავალ რეალობად დაქუცმაცდეს. ძალაუნებურად უნდა ვიკითხოთ: ამ მრავალრიცხოვან რეალობათაგან მაინც რომელია ნამდვილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭეშმარიტი? ნებისმიერი ჩვენი მსჯელობა თვითნებური იქნება. უპირატესობა, რომელსაც ამა თუ იმ რეალობას მივანიჭებთ, შეიძლება მხოლოდ სუბიექტურ გემოვნებზე იყოს დაფუძნებული.

რეალობის ხედვის სვადასხვა ასპექტს თავისი ფუნქცია გააჩნია. არსებობს ერთი ასპექტი, რომელიც დასაბამს აძლევს ყველა დანარჩენს და თვითეულ მათგანში იგულისხმება. ესაა ცოცხალი რეალობის ასპექტი. რომ არ იყოს არავინ, ვინც ნამდვილად მთელის არსებით, მწუხარებისაგან შეშლილი, განიცდიდა მომაკვდავის აგონიას, ანდა უარეს შემთხვევაში, ამ აგონიით შეცბუნებული არ იყოს თვითონ ექიმიც, მკითხველები ვერ აღიქვავდნენ ამ მოვლენის აღმწერი ჟურნალისტის პათეტიკურ ჟესტებს, ხოლო მაყურებლები - სურათს, რომელზედაც მხატვარმა გამოხატა სასიკვდილო სარეცელზე მწოლარე და მგლოვიარე ფიგურებით გარშემორტყმული კაცი; ეს მოვლენა მათთვის საერთოდ გაუგებარი დარჩებოდა.

გამოდის რომ ყველა ეს რეალობა ერთმანეთის ტოლფასი გახლავთ, თითოეული მათგანი, შესაბამისი თვალსაზრისით, ჭეშმარიტია.

ტალეირანის საგულისხმო
გამონათქვამი

„მრავალ ერს დაეცემოდა თავზარი, რომ გაეგო, როგორი უმნიშვნელო ხალხი მბრძანებლობს მასზე!“

უელსის თვალით დანახული
მთიელი ქართველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1895 წელს დაწერა თავისი პირველი მხატვრული ნაწარმოები -რომანი "დროის მანქანა", გამომგონებლის მოგზაურობის შესახებ შორეულ მომავალში. ამ რომანმა ფართოდ გაუთქვა სახელი. 1914 წელს უკვე მწერლის რანგში იმყოფებოდა რუსეთში. მოგვიანებით, 1920 წელს ისევ ჩავიდა და პირადად შეხვდა ლენინს. მცირე ხანს გორკის ბინაშიც ცხოვრობდა. ამ ვიზიტის შემდეგ გამოვიდა მისი წიგნი "რუსეთი ბინდში". 1934 წელს რუსეთში მორიგი ვიზიტის დროს სტალინს შეხვდა. სტალინთან შეხვედრის შესახებ მოგვიანებით წერდა: "ვაღიარებ, რომ სტალინთან გარკვეული ეჭვებით მივედი. გონებაში შექმნილი მქონდა ფრთხილი, მიზანდასახული ფანატიკოსის, დესპოტის სახე. ველოდი დაუნდობელ ადამიანთან, თვითკმაყოფილ მთიელ ქართველთან შეხვედრას, რომლის სული მთლიანად არც არასდროს მოსწყვეტია მშობლიურ მთებს... ყველა ეჭვი და ჭორი გაიფანტა სამუდამოდ მას მერე, რაც რამდენიმე წუთით დაველაპარაკე. არასდროს შემხვედრია უფრო გულწრფელი, პატიოსანი და მოწესრიგებული ადამიანი. მასში არ არის არაფერი ბნელი და ავის მომასწავებელი, სწორედ ამ თვისებებით აიხსნება ალბათ მისი უზარმაზარი ძალაუფლება." - წერს ჰერბერტ უელსი.

მუსულმანთა შურისძიება

ბასიანის ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდნილი ერზინკის ამირა თამარ მეფემ ცხენის ნალში გაცვალა.

1195 წელს შამქორის ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ აღლუმზე გამარჯვებულმა ქართველებმა გამოატარეს 12 000 ტყვე-მუსლიმი, 40 ავაზა, 20 000 ცხენი, 7 000 ჯორი, 15 000 აქლემი, ურიცხვი ლარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და მუსლიმთა საომარი დროშები. ხალიფას დროშა ძვირფასეულობასთან ერთად თამარ მეფემ ხახულის ტაძარს შესწირა.

1210 წელს ქართულმა ლაშქარმა ზაქარია და ივანე მხარგრძელების სარდლობით ჩრდილოეთ ირანი დალაშქრა. თამარის მხედრობამ ჯერ ქალაქი მარანდი აიღო, ხოლო შემდეგ თავრიზს მიადგა. შეშინებულმა თავრიზელებმა უბრძოლველად ჩააბარეს ქალაქი ქართველებს. მიართვეს უამრავი საჩუქარი ძღვენის სახით და ლაშქრისათვის სურსათ-სანოვაგე. ქართულ ჯარს ასევე უბრძოლველად დამორჩილდა მიანაც. ამის შემდეგ ბრძოლით იქნა აღებული ზენჯანი, ყაზვინი და ირანის შუაგული რომ-გური (ხორასანი). ასეთი ხანგძლივი და შორეული ლაშქრობა ქართველებს მანამდე არ ჩაუტარებიათ. ლაშქარს იმდენი ნადავლი დაუგროვდა, რომ წინსვლა შეუძლებელი შეიქნა. უკან მობრუნებულმა მხედრობამ სასტიკად დასაჯა მიანის გამგებელი იქ მცველად დატოვებული ქართველთა მხედრობის ამოწყვეტის გამო.

ამ ამბებიდან გავიდა წლები, მაგრამ დრომ ქართველთაგან დამარცხებულ მუსულმანებში შურისძიების წყურვილი მაინც ვერ გაანელა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მონღოლებისგან დევნილმა ჯალალედინმა, პირველსავე მოწოდებაზე გაერთიანებულიყვნენ მუსულმანები ერთი დროშის ქვეშ ურჯულო ქართველების წინააღმდეგ, 100 ათასზე მეტი მეომარი სალაშქროდ უმალვე შეკრიბა.

XIII ს-ის დასაწყისში ქართული მხედრობის უკანასკნელმა დიდმა ლაშქრობამ, მართალია, საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი კიდევ უფრო გაზარდა, თუმცა ამავე დროს 1225 წელს გარნისთან ჩვენს დამარცხებასაც შეუწყო ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლიმატი ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში

ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში კლიმატური (გეოგრაფიული) სარტყელები - არქტიკული, სუბარქტიკული, ზომიერი და სუბტროპიკული - შედარებით სხვაგვარად იყო განაწილებული, ვიდრე ამჟამადაა. თვით შუა საუკუნეებშიც კი კლიმატი უაღრესად ცვალებადი იყო, განუწყვეტლივ მერყეობდა ტემპერატურა, ირეოდა ატმოსფერული წნევის ზონები. ეს ცვლილებები ზემოქმედებას ახდენდნენ მცენარეებზე, ცხოველებსა და ადამიანებზე.

ცნობილია, რომ სადღაც V საუკუნისათვის ევროპის ტერიტორიაზე მოხდა აცივება, რომელიც რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა. 853 წელს ადრიატიკის ზღვა ისე გაყინულა, რომ ვენეციაში ფეხით სიარული გახდა შესაძლებელი.

თანდათან აცივება შეიცვალა დათბობით, რომელიც მცირე ხანს გაგრძელდა. შემდეგ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში კვლავ აცივდა, აღინიშნა მყინვარების შემოტევა, ზღვების სანაპირო წყლების გაყინვა, მკაცრი ზამთრის ჩამოყალიბება. სწორედ კლიმატური მიზეზებით ხსნიან ისტორიკოსები იმ ფაქტს, რომ ვიკინგებმა შეწყვიტეს ცურვა ამერიკისა და გრელანდიის სანაპიროებისაკენ, რადგან ცურვა ყინულებს შორის უაღრესად სახიფათო იყო.

1316 წელს ყინულმა პარიზის ყველა ხიდი გაანადგურა. სულ ცოტა ხნის შემდეგ, 1326 წელს, მთელი ხმელთაშუა ზღვა გაიყინა. 1558 წელს 40 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარ არმიას ბანაკი გაყინულ დუნაიზე ჰქონდა გაშლილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული აცივება გაგრძელდა მე-18 საუკუნემდე, ხოლო პიკი მოდის მე-17 საუკუნეზე, რომელსაც ლუი XIV-ის ,,მცირე გამყინვარების" პერიოდს უწოდებენ.

ამ დროს საფრანგეთში გაყინულ ღვინოს ამტვრევდნენ და წონით ყიდდნენ.

როცა მიწიერი ღმერთის უფრო გეშინია

40–იანი წლების ბოლოს სტალინს ქართველი ეპისკოპოსი ესტუმრა, რომელთან ერთადაც სემინარიაში სწავლობდა. სტალინმა ის კაბინეტში მიიპატიჟა. ბელადმა ჰკითხა, ვისი უფრო გეშინია – ღმერთის თუ ჩემიო. ეპისკოპოსი შეყოვნდა, არ იცოდა, რა ეპასუხა. სტალინმა თავად გასცა პასუხი შეკითხვას – ვიცი, რომ ჩემი უფრო გეშინიაო და ხელი ჩაიქნია. ეს დასკვნა კი იქედან გამოიტანა, რომ ეპისკოპოსი მას სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ეახლა.

ნუგეში

ცნობილ ათენელ სახელმწიფო მოღვაწესთან ფოკიონთან ერთად სიკვდილით უნდა დაესაჯათ ვინმე ფუდიპიც.

უკანასკნელმა თავის მართლება და პატიების თხოვნა დაიწყო.

მაშინ ფოკიონმა უთხრა: ,,როგორ, განა შენთვის ბედნიერება არ არის ფოკიონთან ერთად სიკვდილი."

პროგრესის უხეშობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

-პროგრესის უხეშობას რევოლუციას უწოდებენ. დამთავრდა მოძრაობა და ყველასათვის ცხადი ხდება, რომ ადამიანმა წინ წაიწია, თუმცა კარგი მათრახიც მოხვდა.“ ამას ჰიუგო ამბობს. მისივე სიტყვებია:

საფრანგეთის რევოლუცია კაცობრიობის მირონცხებაა.“

მარატს დიდებულ არტუას საჯინიბოში ექიმად ყოფნისას შეუყვარდა დიდებული ქალბატონი. ამ ქალისგან სახსოვრად ჰქონდა ძვირფასი ზეწარი, რომელმაც სიკვდილის დროს სუდარა შეცვალა.

რევოლუციების მიზანი - ქვეყნის გაუმჯობესება იყო, რაც უნდა საშინელი ყოფილიყო მისი მრისხანება, საფუძვლად მაინც კაცობრიობის სიყვარული ედო. კრომველი, მარატი, რობესპიერი, ღირსნი იყვნენ ზიზღისაც და პატივისცემისა.

მინდა, ყველა მტერი ჩემთან მყავდეს

„მინდა, ყველა მტერი აქა მყავდეს, ჩემთან, ლუვრში.“ - ეკატერინე მედიჩის საყვარელი პრინციპი.

„რა კარგად გრძნობს თავს!“ წარმოთქვა ანრიმ ეკატერინე მედიჩის აკლდამასთან.

ბართლომეს ღამეს გადარჩენილ ანრიზე სასახლის წევრები ამბობდნენ: „მას მეფე ჰქვია, მისთვისაც რომ სული გაგვეფრთხობინებინა, მაშინ ქვეყნის ყველა მეფესთან გვექნებოდა საქმე.“

ის, რაც ვერ შეძლო ეკატერინე მედიჩმა ანრი ნავარელის მიმართ, ელისაბედ ტიუდორმა გააკეთა მარიამ სტიუარტთან და საბედისწერო პრეცედენტი დაამკვიდრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხომალდი“

როდესაც ცნობილი ფრანგი მეკობრე, სიურკუფი დაიჭირეს და ჰკითხეს, სად ინახავდა განძს, მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა: „ხომალდი“. ხომალდს ორი დღის განმავლობაში ჩხრეკდნენ, თუმცა ვერაფერი იპოვეს. არადა, მეკობრე მართალს ამბობდა: ხომალდის ღუზა ოქროსგან იყო დამზადებული.

რჩევები ბახუსის მოყვარულთ

პლატონი 18 წლამდე უკრძალავს ღვინოს, 40 წლამდე კი არავინ არ უნდა თვრებოდეს. 40 წლის შემდეგ კი ამას მისატევებლად თვლის, რადგან მხედველობაში ღებულობს, რომ ღვინის მეშვეობით ღმერთი დიონისე ხანშიშესულ ადამიანებს ყოფილ სიხალისეს და სულის კეთილ განწყობას უბრუნებს.“

საუბარი დუმილით

გარეგნულად ისე ჩანს, თითქოს დუმილი საუბარში არ მონაწილეობს. მაგრამ ადამიანს დუმილი არ შეუძლია, გაჩუმება - კი. დუმილისათვის ძალისხმევაა საჭირო. იგი ყოველთვის ლაპარაკის თავშეკავებაზეა მიზანმიმართული, ე.ი. ადამიანთა ურთიერთობაში გარკვეული პოლიტიკის განხორციელებაა. ამიტომ დუმილი შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობის იყოს. იგი ზოგჯერ, თანხმობის ნიშანია, ზოგჯერ - პირიქით, უთანხმოების, პროტესტის გამოთქმის თავისებური ფორმაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თავიანთი დუმილით, ისინი ყვირიან“ - წარმოთქვა ერთხელ სახელოვანმა რომაელმა ორატორმა ციცერონმა ლუციუს კატილინას წინააღმდეგ.

პოლიტიკოსებიდან „დუმილის დიდოსტატებად“ ცნობილნი არიან სტალინი და გენერალი დე გოლი, რომელთაც შეეძლოთ მოსაუბრესთან საოცრად ხანგძლივი დუმილით ესაუბრათ.

გამბედაობა

ყოველი დიადი გამარჯვება შედეგი არის გამბედაობის. რევოლუციის მოსახდენად არ იყო საკმარისი მონტესკიეს წინასწარმეტყველება, არც დიდროს ქადაგება და ბომარშეს ხარება - მოდისო! არც კონდორსეს ანგარიში, არუეს მზადება და რუსოს დაგეგმვა.

რევოლუციის მოსახდენად დანტონი იყო საჭირო, რომ გაებედა. საბედისწერო წუთებში, როცა საფრანგეთის ბედი წყდებოდა, მთელ ქვეყანას ესმოდა მისი სიტყვები: „რომ გაიმარჯო მტერზე საჭიროა გამბედაობა, გამბედაობა, კიდევ ერთხელ გამბედაობა და საფრანგეთი გადარჩება.“

ხელოვანთა შერკინება

„დათა თუთაშხიას” გადაღებები აფხაზეთში მიმდინარეობდა. ერთ საღამოს მსახიობები აკაკი თარბას სახლში ქეიფობდნენ. დოდო აბაშიძე ხუმრობის ხასიათზე გახლდათ და ბატონი იპოლიტე საკუთარ შვილად გაასაღა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ ფხიზელი ბრძანდებოდა, იპოლიტე დოდოს გამოხდომებს წყნარად იტანდა. ცოტა ხნის შემდეგ დოდოსთვის სამაგიეროს გადახდა მოისურვა და "აუშარდა." ამ "ისტორიულ" დიალოგს მსახიობი იური ვასაძე შემდეგნაირად იხსენებდა.

- არ მომწონხარ, დოდო, მე შენ!

- რას მიწუნებ, შვილო?

- რას გიწუნებ და გვარს გიწუნებ.

- რატომ, ვითომ... "ია"-ზე რომ არ მთავრდება, იმიტომ?

- ადრე ბაღნებს იტაცებდნენ შენი გვარის კაცები და ჰყიდდნენ სტამბულის ბაზარზე, მაგარი "კორუმპირებულ - მაფიოზური" ხალხი იყო შენი გვარის ხალხი.

დოდო აბაშიძე შეიშმუშნა, მაგიდას თვალი მოავლო და წამოდგა. წამოდგა "მთა" და გაიტრუნა სუფრა "ზვავის" მოლოდინში.

- ადექი, იპოლიტე ფეხზე, შვილო.

ყველა ჰატარას დიდი გული აქვს და იპოლიტეც წამოდგა, არადა, ქამრის ზემოთ, გულის ფიცრამდე ძლივს წვდება დოდოს.

- შეხედეთ ახლა ამას თქვენ! – დაიბუხუნა დოდომ, - უყურეთ ჯერ ამას და მერე მე შემომხედეთ. ბიჭო, იპოლიტე, შენნაირ ბაღნებს გაყიდდნენ ჩემნაირი აბაშიძეები, აბა სხვაში რაში გამოიყენებდნენ, ან სად გამოაჩენდნენ სირცხვილით, რა საჯიშო შენ ხარ, თუ გიყვარდე?!

იქუხა სიცილმა, იპოლიტეს მოეწონა ეს მოსწრებული ნათქვამი და ჩაეხვივნენ "მამა-შვილი" ერთმანეთს, ჩაბჟირებულები."

ნიცშე ამბობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი ენის ცოდნა ადამიანში აზროვნების ცოდნას აჩლუნგებს და მას საკუთარ თავზე ისეთ წარმოდგენას უქმნის, რაც არ ეკადრებაო...

ბოროტებასაც თავისი ესთეტიკა აქვს

გაიუს კალიგულას, რომის მრისხანე იმპერატორს (37 – 41 წწ.), სისხლისმოყვარეობასთან ერთად ახასიათებდა თურმე ბოროტი ცინიზმი, არანაკლებ მომაკვდინებელი, ვიდრე ჯალათის მახვილი. საქვეყნოდაა ცნობილი მისი საყვარელი სენტენცია: „დაე ვეზიზღებოდე, ოღონდ ეშინოდეთ."

იმპერატორი სერიოზულად სწუხდა, რომ მისი მმართველობის პერიოდში არც ერთი საერთო-სახალხო უბედურებას ან კატასტროფას არ ჰქონია ადგილი. მაშ რაღას უნდა უკვდავეყო მისი სახელი? ოქტავიანე ავგუსტუსის მმართველობის პერიოდში მოხდა რომაული ლეგიონების სასტიკი განადგურება; ტიბერიუსის დროს ფილენაში ჩამოინგრა უზარმაზარი ამფითეატრი და უამრავი ხალხი შეიწირა; კალიგულას იმპერატორობა კი დავიწყებას უნდა მისცემოდა მშვიდობიანობისა და საერთო კეთილდღეობის წყალობით. ამიტომ ნატრობდა ხოლმე ეს იშვიათი კანიბალი: „ნეტავი რომაელ ხალხს მხოლოდ ერთი კისერი ჰქონოდა."

ვაგნერს უთქვამს: „ბოროტებასაც თავისი ესთეტიკა აქვსო."

ცნობილია, რომ ჰიტლერელებს პედანტური გულმოდგინებით გადაჰქონდათ ყველაფერი ქაღალდზე: მარტო ჰანს ფრანკის დღიურები 39 ტომს შეადგენს, თითო 1000 – 1500 გვერდიანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფის უცნაური ელემენტები

მართალია რუსეთმა ქრისტიანობა 988 წელს მიიღო, მაგრამ წარმართული რწმენის გადმონაშთებიც დიდხანს იქნა შენარჩუნებული.. ეს განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანდა საეკლესიო დღესასწაულებში. მღვდელ-მსახურების აღფოთებას იწვევდა არა მხოლოდ ,,ეშმაკეული თამაშობანი" დღესასწაულებზე, არამედ მორწუნეთა ქცევები ეკლესიებში. ისინი წუხდნენ, რომ მამაკაცთა უმრავლესობა ეკლესიაში ქუდს არ იხდიდა, წირვის დროს ერთმანეთში საუბრობდნენ, ვაჟები კი გოგონებთან არშიყობით იყვნენ გართულნი. ამ უზნეობის აღმოსაფხვრელად მღვდელმსახურთა ყოველი ღონისძიებანი უშედეგო იყო.

ეკლესიის მსახურები საყვედურებდნენ მამაკაცებს, რომ ისინი ძვირფასი ქვებით მორთულ სამოსში დადიოდნენ, აბრეშუმისაგან შეკერილ წითელ ჩექმებს ატარებდნენ; მხრებზე ტანსაცმლის ქვეშ ხის ნაჭერს იდებდნენ, რათა უფრო მაღლები და მხარბეჭიანები გამოჩენილიყვნენ; ლოყებს ქალებივით იღებავდნენ და მრავალ სხვა უცნაურ რამეს აკეთებდნენ.

ამ მხრივ მათ, არც ქალები ჩამორჩებოდნენ, ისინი კიდევ უფრო მეტ ხრიკებს მიმართავდნენ: უზომოდ ითეთრებდნენ და იღებავდნენ სახეს, იშავებდნენ თვალებს, იწიწკნიდნენ წარბებს და სასურველი ფორმისას იწებებდნენ, თმების საშუალებით ცვლიდნენ თავის ფორმას და სხვა.

ქცევის არანაკლებ უცნაური წესები ჰქონდათ შუა საუკუნეებში იაპონელებს.

სამურაი ბრძოლის წინ აუცილებლად იღებდა აბაზანას, რათა სუფთა და კეთილსურნელოვანი შეხვედროდა სიკვდილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამურაი ღალატის ან ბრძოლაში მარცხის შემთხვევაში მოვალე იყო თავის თავზე, საკუთარი მახვილით ჩაეტარებინა სასტიკი რიტუალი ,,ხარაკირი" - მუცლის გამოფატვრა.

რაც შეეხება ქალებს?

იაპონელი ქალები სახეს პუდრით ითეთრებდნენ, რის გამოც კბილები მოყვითალოდ გამოიყურებოდა. თუმცა სილამაზის მაძიებლები ამ შემთხვევაშიც არ დაიბნენ და გამონახეს ხსნის გზა: სიყვითლის დასაფარავად მათ კბილების შავად შეღებვა დაიწყეს.

ვაჟასაც დახვრეტდა

როდესაც ქაქუცასთან კავშირის გამო ლევან რაზიკაშვილი დააპატიმრეს, ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები სერგო ორჯონიკიძესთან თხოვნით მივიდნენ, ვაჟა-ფშაველას შვილიარდახვრიტოო.

- შვილი კი არა, თვითონ ვაჟა-ფშაველა რომ იყოს ცოცხალი, იმას დავხვრეტდიო, - უპასუხა რკინის კომისარმა".

მართლა დახვრეტდა.

ყველაფერი გააფუჭა

ცნობილია, რომ სარდლები განსაკუთრებული გულმოდგინებით ირჩევდნენ იმ მეომართ, ვისთვისაც შეიძლება ენდოთ ბრძოლის ბედი. ამისთვის კი ყველას თავისი უტყუარი ალღო და მეთოდი ჰქონდა შერჩეული.

ცნობილია, რომ კეისარი ლეგიონერებს სახის ფერის მიხედვით ირჩევდა. მოულოდნელად სილას გააწნავდა ხოლმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარისკაცს, სიბრაზისგან თუ სახეზე ალმური აუვიდოდა ხომ კარგი, თუ არადა გაფითრებულს მოლაშქრედ არ აიყვანდა.

დიდი რუსი მხედართმთავარი სუვოროვი კი ჯარიკაცებს გამჭრიახობის მიხედვით არჩევდა.

„თუ ვინმე ერთი სიტყვის წარმოთქმისას დაიბნევა, როგორ გამომადგება იგი მოწინააღმდეგის მოულოდნელი იერიშის დროს“ - ამბობდა სუვოროვი.

-რა მანძილია მთვარემდე?

-ჯარისკაცის ორი გადარბენა - უპასუხებდა მისი დევგმირი.

-რამდენი ვარსკვლევია ცაზე?

-ახლავე დავითვლი, - იყო პასუხი.

სუვოროვის ვეტერანებმა იცოდნენ, რომ მათ სახელოვან სარდალს არ უყვარდა, როცა მისი ჯარისკაცი დადუმდებოდა ისეთ კითხვაზე, რომელზედაც სწორი პასუხის გაცემა საერთოდ შეუძლებელი იყო.

ცნობილია, რომ ფელდმარშალ მოლტკეს ასეთი ჩვეულება ჰქონდა. ოფიცერთა საკრებულოში შევიდოდა. წინ დაიდებდა ხოლმე ოქროთი გატენილ ქისას და გუნებაში გადაწყვეტილი ჰქონდა საფულე იმ ოფიცრისათვის მიეცა, რომლისგანაც თუნდაც ერთხელ გაიგებდა საქმიან და ჭკვიანურ სიტყვას.

მოხუცმა 100-ზე მეტ წელიწადს იცოცხლა და ისე მოკვდა, რომ საფულე გაუხსნელი დარჩა.

დარწმუნებული ვარ ეს საფულე, არც ანტანტის ჯარების მთავარსარდალს ფოშს შეხვდებოდა, მისთვის მოლტკეს რომ მოესმინა.

1919 წელი, დამთავრდა მსოფლიო ომი და გამარჯვებული სახელმწიფოები ახალი პოლიტიკური რუკის შესამუშავებლად პარიზში შეიკრიბნენ. კონფერენციას არ ესწრებოდნენ მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამარცხებული ქვეყნების და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები.

კულისებს მიღმა, „ამა ქვეყნის ძლიერთა“ შორის მიდიოდა გაუთავებელი მოლაპარაკებები საორგანიზაციო საკითხებზე, თუ როგორ მოეწყოთ ჯვაროსნული ლაშქრობა წითელი ურჩხულის წინააღმდეგ, რათა აკვანშივე მოეხრჩოთ იგი.

და აი, ტრიბუნასთან დგას ფოში, რომელიც იქ დამსწრეთ საზეიმოდ ამცნობს მოკავშირეთა ამ დიდ განზრახვას.

ყველაფერი გააფუჭა, გადაულაპარაკა „ვეფხვად“ წოდებულმა, საფრანგეთის პრემიერმა, კლემანსომ გვერდით მჯდომ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ლოიდ-ჯორჯს.

ფოშის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, პარიზის ე.წ. სამშვიდობო კონფერენციაზე ეს საკითხი საერთოდ მოიხსნა დღის წესრიგიდან.

რა ძალა ქმნის გამარჯვებას?

რა თქმა უნდა, ძნელია გავერკვეთ თუ რა ძალამ, რა იდეამ შექმნა დიდი თუ მცირე ომების გმირები? როგორ ხდებოდა იდეის ჩამოყალიბება და მის გამარჯვებამდე მიყვანა.

მაშინ, როდესაც ისტორიის ნებისმიერი დროის მონაკვეთში ვინმეს რამეში დარწუნება ერთ-ერთ ყველაზე რთულ საქმეს წარმოადგენს, როგორ ხდებოდა რომ მთავარსარდალთა ერთ მოწოდებაზე ათეულ ათასობით მეომარი მზად იყო საკუთარი სიცოცხლის ფასად დავალების შესასრულებლად.

კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, თუ მათ შევხედავთ რაციონალური თვალსაზრისით, იქნებ ვცადოთ გავერკვეთ იდეის გამარჯვების ტექნოლოგიაში და შესაბამისად რწმენის ძალაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითი პირველი: პოლტავის ბრძოლა

1709 წლის აპრილში კარლოს XII-ის ჯარმა რუსეთის გამაგრებულ ქალაქს პოლტავას შემოარტყა ალყა. გამარჯვების შემთხვევაში შვედეთის მეფე ვარაუდობდა, რომ რუსეთს უკრაინას ჩამოაცილებდა. მას მხარს უჭერდა უკრაინელი ჰეტმანი მაზეპა.

პოლტავის ბრძოლის დღეს - 27 ივნისს, გაიცა პეტრე I-ის ბრძანება. რომელიც ჯარისკაცებსა და ოფიცრებს წაუკითხეს. თუ მათ რა აზრის გამოტანა, დამახსოვრება და გათავისება შეეძლოთ მისგან, ამიტომაც ვნახოთ ეს დოკუმენტი, რომელიც ჩვენთვის უკვე ისტორიულ წყაროს წარმოადგენს:

,,მეომრებო! აი, დადგა ჟამი, რომელიც მამულის ბედს გადაწყვეტს. არ იფიქროთ, რომ პეტრესთვის ომობთ. თქვენ ომობთ სახელმწიფოსთვის, რომელიც პეტრეს აბარია, იბრძვით თქვენი მოდგმისთვის, თქვენი მამულისათვის, ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და ეკლესიისათვის. ნურც მტრის სახელგანთქმულობა შეგაშფოთებთ - თითქოს იგი უძლეველი იყოს; ეს სიცრუე თქვენ თვითონ არაერთგზის გააქარწყლეთ თქვენი გამარჯვებით მასზე. დაე, ბრძოლაში თვალწინ გედგათ სიმართლე და ღმერთი, რომელიც თქვენ გეხმარებათ...“

მაგალითი მეორე: ჩინეთში ლაშქრობის წინ ჩინგიზ ყაენმა შეკრიბა მონღოლ-თურქთა დიდებულები და შემდეგი სიტყვებით მიმართა მათ: ,,ჩინეთის იმპერატორებმა ბევრი უბედურება მოუტანეს ჩვენს წინაპრებს და ნათესავებს. ახლა უზენაესი უზრუნველყოფს ჩემს გამარჯვებას. ის მაძლევს მე შესაძლებლობას და ძალაუფლებას მოვთხოვო ჩინეთის იმპერიას ჩემი წინაპრებისა და ნათესავების უფლებათა აღდგენა.“

დაკარგული უფლებების აღსადგენად კი ეროვნული მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩინგიზ ყაენის ირგვლივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრიოტული გრძნობებით გაერთიანდნენ მონღოლები და აღმოსავლეთის თურქები. ჩინგიზის ეს მიმართვაც მათ შეკავშირებას ისახავდა მიზნად.

ახლა ვნახოთ საქართველოს მეფემ გიორგი მესამემ ანისისათვის ბრძოლის წინ თუ როგორ მიმართა თავის მეომრებს: „ხედავთ თუ რაოდენ უფრო სასახელო არს მხნებრივ სიკუდილი, ვიდრეღა სენითა და განდნობითა განლეულებასა შინა, რამეთუ სახე და სახელი კეთილი საუკუნოდ გზად გაუყვების!"

სახელოვანი სიკვდილი გერჩივნოთ, სენითა და სიბერით სიკვდილსო. მეფემ მეომრებს უთხრა ის, რაც ჭეშმარიტებად მიაჩნდა.

1805 წლის 21 ოქტობერი, ტრაფალგარის საზღვაო ბრძოლამდე ადმირალმა ნელსონმა ბრძანა „ვიქტორიდან" გადაეცათ ლეგენდარული სიგნალი: ინგლისი მოელის, რომ ყველა ადამიანი თავის მოვალეობას შეასრულებს (ინგლ. England expects that every man will do his duty). ის დღეს ცნობილია, როგორც ნელსონის სიგნალი.

ტიპიური ბრიტანული ხასიათი. ყოველგვარ ემოციას მოკლებული. მეომრებს აქ მხოლოდ მოვალეობას ახსენებენ. მაგრამ როგორ ესმით მათ ეს მოვალეობა?

ჯონ ბრეინი კითხვაზე თუ რა ძალამ აქცია კუნძულებზე მდებარე პატარა სახელმწიფო, მსოფლიო იმპერიად, პასუხობს: ინგლისელ მეწაღესაც კი, რომელიც მთელი დღე ძველ ფეხსაცმელებს ჯღანავს, თავის საქმეს უდიდესი პასუხისმგებლობით ასრულებს, რადგან შეგნებული აქვს, რომ ამას მხოლოდ პირადი ინტერესებისთვის არ აკეთებს, რომ მას აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

უცნაურია? შეიძლება. მათთვის არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის იყო მხოლოდ და მხოლოდ ფაქტი

დიდი პატრიოტი და მოაზროვნე ნიკოლო მაკიაველი, მოწადინებული იყო ერთიანი მძლავრი ხელისუფლება შეექმნათ იტალიაში. მისთვის ძალაუფლების მიღწევისათვის არავითარი უკადრისი საქციელი არ იყო დასაძრახი: არც მლიქვნელობა, არც გულქვაობა, არც ვერაგობა და კაცისკვლა. აქედან წარმოსდგა „მაკიაველიზმი". მან ეს აზრები 1513 წელს ჩამოაყალიბა ტრაქტატში - „მთავარი."

მისი დევიზია: „მიზანი ამართლებს საშუალებას," რაც საზოგადოებისთვის არაერთხელ გამხდარა დავის და განხილვის საგანი.

„ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ შედეგი და არა პროცესი. - წერს ცნობილი ამერიკელი მწერალი რობერტ პენ უორენი. - „ უზნეო ფაქტორმა შეიძლება კარგი შედეგი მოგვცეს. ზნეობრივად კარგმა კი - ცუდი. იქნებ, ადამიანმა სული უნდა გაყიდოს, რათა შეიძინოს ძალაუფლება სიკეთის გასაკეთებლად.

ისტორიული ხარჯის თეორია, ისტორიის ზნეობრივი ნეიტრალობის თეორია, ყველაფერი ეს არის ამაღლებული ისტორიული ხედვა სამყაროსი ცივი მწვერვალიდან. იქნებ, მხოლოდ გენიოსები ხედავენ სამყაროს ასე, რათა სინამდვილე დაინახონ. იქნებ მაღალ მწვერვალზე უნდა მიგაჯაჭვონ და არწივებმა ჯიჯგნონ შენი ღვიძლი და ფილტვები, რათა სამყარო ასეთი თვალით დაინახო."

ეს კი მხოლოდ გენიოსებს და გმირებს ძალუძთ.

და მაინც ყველაზე უტყუარი შეფასება მაკიაველის, ვფიქრობ, ჰიუგომ მოგვცა: „ავი სული არ იყო მაკიაველი, არც მავნე მწერალი, ის იყო მხოლოდ და მხოლოდ ფაქტი."

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონების არსი

„ირწმუნე, რათა გაიგო“ ღმერთის შეცნობა მხოლოდ რწმენით შეიძლება!

შეგვეძლო დაგვემატებინა - ცოდნითაც!

ისტორიიდან ცნობილი მაგალითია, როდესაც, ფრანგმა ასტრონომმა ლევერიემ 1846 წელს პარიზში მათემატიკურად გამოიანგარიშა, რომ ჩვენი მზის სისტემაში ურანის შემდეგ უცნობი პლანეტა უნდა ყოფილიყო, ხოლო გერმანელმა ასტრონომმა გალლემ თავისი ტელესკოპით ბერლინში სწორედ ნაჩვენებ ადგილას ნეპტუნი აღმოაჩინა, ამით დამტკიცდა, რომ სამყაროს საფუძვლად, მათემატიკური ანგარიში და, მაშასადამე, გონება უძევს.

ახლა ვნახოთ სურათები, აგებული ისტორიის გაკვეთილებზე, რა დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს ჩვენი წარსული და აწყმო და აქედან გამომდინარე, რამდენად შეიძლება მომავლის ოპტიმისტური ხედვა გვქონდეს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შვეიცარიელ მეცნიერთა ჯგუფი შეეცადა. მათი გამოთვლით, არსებობის 5200 წლის მანძილზე კაცობრიობამ გადაიტანა 14513 ომი, რომელმაც 3 მილიარდ 640 მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ომების სამზადისთან და წარმოებასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა შეადგინა 2150 ტრილიონ შვეიცარიული ფრანკი. ამ თანხით შესაძლებელი იქნებოდა 161 კილომეტრი სიგანის და 10 მეტრი სისქის ოქროს გზის გაყვანა დედამიწის გარშემო ეკვატორზე. თუკი ადამიანის წარსული ამდენ უაზრობას შეიცავს, როგორ შეიძლება მომავალი მთლიანად უკონფლიქტო დავსახოთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოანგარიშებით, იმავე 5200 წლიდან მხოლოდ 292 წელი ყოფილა მშვიდობიანი.

ფაქტია, რომ მომავალი წარსულისა და აწყმოს გაგრძელებაა და რამდენადაც არ უნდა სჯობდეს იგი მას, მთლიანად ვერ განთავისუფლდება მემკვიდრეობისაგან.

ჩვენ ვხედავთ, რომ ისტორიის უფსკრული საკმაოდ ტევადია ყველაფრისთვის, რაც კიდევ უფრო გვაბნევს.

რატომ ასეთივე გონება არ უძევს საუძვლად კაცობრიობის ისტორიას და რატომაა ის ასეთი სასტიკი?

თუ ყველაფერს შორიდან შევხედავთ, ბოლოს და ბოლოს ყოველი ცალკეული სიგიჟე შესაძლოა გონებას ემსახურებოდეს, რომელიც დროს აწესრიგებს და წინ მიჰყავს იგი.

ჯერ კიდევ ჰერაკლიტემ თქვა: ,,ომია ყველა დიდი საქმის შემოქმედი. ყველაფერი მნიშვნელოვანი ცხოვრებაში მიღწეულია გამარჯვებით ან დამარცხებით."

შემდეგშიც იმეორებდნენ ამ სიტყვებს. ამბობდნენ, რომ ,,ომი ჩაქსოვილია თვით საგანთა ბუნებაში."

,,ახალგაზრდობა ისე იწრთობა ომში, როგორც რკინა ცეცხლში". - არწმუნებდა ჰიტლერი თავის ერს. მისივე სიტყვებია: ,,კაცობრიობის ისტორია მხოლოდ ომების ისტორიაა, გმირული სული ომში იწრთობა... ისტორია მახვილით იწერება და არა საწერ-კალმით."

- პირველად შუა საუკუნეების მქადაგებლებმა სცადეს დაემორჩილებინათ ომი სამართლებრივი პრინციპებისათვის, მანამ კი იგი ისეთივე ბუნებრივ მოვლენად მიაჩნდათ, როგორც ავადმყოფობა, ავდარი, ან, თუნდაც, ღვთის ნების გამჟღავნება. თომა აქვინელმა პირველმა გაილაშქრა ამის წინააღმდეგ იმით, რომ ქრისტიანული თვალსაზრისით განასხვავა ერთმანეთისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლიანი და უსამართლო ომები. შემდეგ ეს პრინციპი დაირღვა. გავიდა დრო და ჰუგო გროციმ სცადა ამ პრინციპის აღდგენა, მაგრამ ამაოდ. იგი სულ ჩაკვდა XVIII საუკუნეში. იქიდან მოყოლებული დღემდე, ომები და მათი შეფასება განხილვისა და განსჯის საგანი პერიოდულად არაერთხელ გამხდარა, თუმცა მტყუან-მართლის გარჩევა, ვერც საერთაშორისო სამართლებრივი კანონებითა და ვერც მორალურ-ზნეობრივი კოდექსით მაინც ვერ დადგინდა.

ცხოვრება მუდმივი ბრძოლაა, იქნებ სწორედ მის სისასტიკის გამოვლინებაშია გონების არსი?

აკაკიმ ვერ იცნო მემკვიდრე

პოეტთა მეფე გალაკტიონი ახალგაზრდობის წლებს იგონებდა: "როცა სემინარიიდან გამოვედი, სადგურ ხარაგაულის ახლო, ერთ პატარა სოფელში, მასწავლებლის ადგილი მომცეს. კვირა-უქმე დღეებში სოფლის სადგურზე ჩამოვდიოდი, აქ თავს იყრიდნენ ჩემი ამხანაგი მასწავლებლები... საღამოობით თფილისიდან მატარებელი ჩამოივლიდა და ისეც ერთგვარ სიამოვნებას გვგვრიდა. სრულიად მოულოდნელად რომელიმე ნაცნობი გადმოვიდოდა მატარებლიდან... მოგვიტანდა თბილისის ამბებს, გვეტყოდა რამეს ნაცნობების შესახებ....

ერთხელ დიდხანს ვიდექით სადგურზე... ვსაუბრობდით, ვიცინოდით... მატარებელი მოვიდა, ჯგუფი ახალგაზრდა ქალებისა იდგა და მგზავრებს ათვალიერებდა. ამ დროს მატარებლის მეორე კლასის ფანჯარა ჩამოიწია. კუპედან ღმერთივით გადმოიხედა ბამბის ქულასავით ჭაღარამ, ოლიმპიურად ამაყი სახის მქონე მოხუცმა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

- აკაკი! - ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

ელექტრონის ძალასავით იმოქმედა ამ სიტყვამ ყველაზე. ერთხანად გაშეშებულნი ვიდექით. მე თვალებით ვჭამდი ამ სახეს. აკაკიმ წაიკითხა სადგურის შენობაზე მიკრული სახელწოდება და ფანჯარა ისევ დახურა. ვხედავდი, რომ იგი დინჯათ გადაეშვა სავარძელში. ყველანი ამ კუპესაკენ გაექანნენ... ბევრმა მატარებელში შესვლაც მოინდომა. დაიკივლა ამ დროს მატარებელმა, მისცეს მესამე ზარი და მატარებელი გუგუნით გაექანა სიპივით დალესილ რელსებზე. დიდხანს დაყრუებულივით ვიდექი".

მართლაცდა რა იცოდა აკაკიმ, რომ იქ იმ წუთას, მისგან შეუმჩნეველი, მისი მემკვიდრე იდგა, უბრალო სკოლის მასწავლებლის სახით.

თავად მჯერა და თქვენც გაიმედებთ, რომ დღესაც არის ხალხში ილია, გალაქტიონი, ვაჟა, აკაკი... სხვანაირად ვერ წარმომიდგენია ჩვენი ერი!

მაგრამ, ესეც არის ილია უნდა იყო, რომ ზარათაშვილის პოვნა შეგეძლოს.

მშობლიურ ენას ასე უკეთ გრძნობდა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი დიდი პიროვნება და დიდი მამულიშვილი გახლდათ. ცნობილია, რომ ქართულ ენაზე სიტყვით გამოსვლის დროს, მანქანაზე დაბეჭდილს ყოველთვის საკუთარი ხელით გადაწერილი ერჩივნა. ხელნაწერი კი მსხვილი, ლამაზი ასოებით ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულებული. და ამას აკეთებდა მსოფლიო მნიშვნელობის მოუცლელი მეცნიერი მთელი თავისი კარიერის მანძილზე.

რატომ აკეთებთ ასე? ჰკითხა ერთხელაც მისმა სწვლულმა მდივანმა, ვისთანაც მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა.

ბ-ნი ნიკო მუსხელიშვილის პასუხი კი დიდი ადამიანისთვის დამახასიათებელი გულწრფელად ნათქვამი სიტყვები იყო: „როდესაც მანქანაზე დაბეჭდილი ქართული ტექსტი მაქვს თვალწინ, მაშინ მშობლიურ ენას, ისე კარგად ვერ ვგრძნობ, როგორც ხელნაწერში. ამას კი ისე მივეჩვიე, რომ თვით გადაწერის პროცესიც დიდ სიამოვნებას მგვრის.

საყოველთაო ერთობით ერთნაირი შედეგი მიიღწევა

ინფორმაციის გადაცემისათვის აუცილებელია იდეა, რომელიც ჯერ აზრად ყალიბდება, შემდეგ - გამოითქმება.

ამ პროცესის ყოველ ეტაპზე ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვა ან დამახინჯება ხდება. დანაკარგის სიდიდე არასრულყოფილი მეტყველებით ანუ აზრის ზუსტად გამოთქმის შეუძლებლობით იზომება. ამის შესახებ ცნობილ რუს პოეტს თ. ტიუტჩევს ხატოვნად აქვს ნათქვამი: „სიტყვიერად გამოთქმული აზრი, სიცრუა.“ იგი მოსაუბრისადმი ნდობის არსებობით ან არარსებობით, ან პირადი მიზნებითა და მისწრაფებებით (როცა სასურველი სინამდვილედ მიიღება), ან სიტყვიერი მარაგის თანხვედრით, ან არათანხვედრითა და სხვა გარემოებით განისაზღვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ არის, რომ სიტყვიერი ურთიერთობა გამუდმებით კორექტირდება. ასეთ დროს, როდესაც უძლური ხარ გადმოსცე ყველაფერი, რასაც გრძნობ, განიცდი, უნდა ინატრო იყო ხელოვანი რომ შეძლო ისე თქვა სათქმელი, როგორც ამას დიად ეპოქათა სახელოვანი შვილნი აკეთებენ.

ყოველი ისტორიული ეპოქა თავის თავს წარმოაჩენს ნებისმიერ გამოვლენაში. ერთნაირი შთაგონება, ერთი და იგივე სასიცოცხლო სტილი ფეთქავს ხელოვნების ყველა დარგში. მიუხედავად იმისა რომ ასე ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მუსიკოსი ანგარიშმიუცემლად ცდილობს ბგერებით მოახდინოს ზუსტად იმავე ესთეტიკურ ფასეულობათა რეპროდუცირება, რომელთა ხორცშესხმასაც მიელტვის მისივე თანამედროვე მხატვარიც, პოეტიც, დრამატურგიც და ა.შ. მხატვრული გრძნობის ეს საყოველთაო ერთობა ძალაუნებურად იწვევს ერთნაირ შედეგს. და ეს არცაა გასაკვირი, თვითეული მათგანი ხომ ეპოქის იდეებით საზრდოობს.

ჯერ კიდევ 1848 წელს მაძინი ჯუზეპე ვერდის წერდა: „რასაც მე და გარიბალდი ვაკეთებთ პოლიტიკაში, რასაც ჩვენი საერთო მეგობარი მაძინი აკეთებს პოეზიაში, ამასვე აკეთებთ თქვენ მუსიკაში. ჩვენ ყველანი, როგორც შეგვიძლია ისე ვემსახურებით იტალიას.“

უცნაურია, მაგრამ ფაქტია

სტალინის უახლოეს გარემოცვაში არ მოიძებნებოდა ადამიანი, რომელსაც ნათესავი არ ჰყოლოდა დაპატიმრებული, ზოგი ახლობელი, ზოგიც შორეული. კაგანოვიჩს ერთი ძმა დაუხვრიტეს, მეორემ თვითმკვლელობა არჩია. დააპატიმრეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახვრიტეს შვერნიკის სიძე, მისი ერთადერთი ქალიშვილის ქმარი, რომელიც შვერნიკის სახლში ცხოვრობდა - სტახა განეცკი.

დაპატიმრებული იყო ვოროშილოვის რძლის მშობლები. სცადეს დაეპატიმრებინათ ვოროშილოვის ცოლიც - ეკატერინე დავითის ასული, დაპატიმრებული იყო მოლოტოვის მეუღლე - „პარტიული ხელმძღვანელი მუშაკი."

ყოველივე ამას ისიც დავუმატოთ, რომ 8 წელი (1937 – 45 წწ.) საპატიმროებსა და გადასახლებაში გაატარა კალინინის ცოლმა.

მართლაც, იმდენად უცნაურია ეს ყოველივე, რომ კომენტარებიც კი ზედმეტია. რამდენად უნდა ყოფილიყო დაჯერებული სტალინი ამ პიროვნებების უსუსურობაში, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ენდობოდა მათ, მტკიცედ დარწმუნებული, რომ მათ სამაგიეროს გადახდის, შურისძიების, ბოლოსდაბოლოს, ადამიანური ღირსების და თავმოყვარეობის დაცვის უნარი არ შესწევდათ.

ერთადერთი მიხეილ კალინინი დაუცხრომლად ზრუნავდა ცოლის განთავისუფლებისათვის და, როგორც იქნა, დასტყუა პირობა სტალინს - მის ცოლს ომის დამთავრების შემდეგ გაათავისუფლებდნენ.

სტალინმა აბეზარ მოხუცს დაპირებული სიტყვა შეუსრულა...

ნათქვამია: დიდი ადამიანები, მიტომ არიან დიდები და მიტომ გვეჩვენებიან დიადებად, რომ ჩვენ თავად ვდგავართ მუხლებზე.

აი, ის ხალხი, მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელები, მაკიაველისებური ხერხებით, საკუთარი თავი და მასთან ერთად სკამიც რომ გადაერჩინათ, მუხლებზე მდგომნი როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შთააგონებდნენ სტალინს, რომ უიმისოდ საბჭოთა ხელისუფლება დაიღუპებოდა.

ცნობილი პარტიული მოღვაწე კამენევი თბილისელი ებრაელი გახლდათ. აქ დაამთავრა გიმნაზია. მისი წინადადებით იქნა წამოყენებული სტალინი გენსეკად, ხოლო შემდეგ ლენინის წერილზე, არმუნებდა ყრილობას არ მიეღოთ მხედველობაში ავადმყოფი კაცის რჩევა.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, ებრაელები, რომლებიც არასოდეს არ ცნობდნენ ბელადს სწორედ ეროვნებით ებრაელმა კაგანოვიჩმა პირველად ჯერ კიდევ 1929 წელს წითელ პროფესორთა ინსტიტუტში გამოსვლისას, უწოდა სტალინს - ბელადი.

ტალეირანი - რა უნდა იცოდეს ქალმა და დიპლომატმა

„ნამდვილი მოთამაშენი არ თამაშობენ," - ამბობს ჰემინგუეი.

კითხულობ ნაპოლეონისა და რესტავრაციის ეპოქის საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ცნობილი დიპლომატის, ტალეირანის მემუარებს და გიკვირს, რომ ის თავს არ იწონებს გაიძვერობით, პირიქით, წარმოუდგენლად გეჩვენება ის, რასაც მის პიროვნებას მიაწერენ.

ტალეირანის გარდაცვალებამაც კი ფრანგულ საზოგადოებაში ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია. ამ ამბით გაკვირვებული მოქალაქეები კითხულობდნენ: „როგორ, ნუთუ ტალეირანი მოკვდა? ნეტავ რაში დაჭირდა ამის გამოგონება?

მართლაცდა, ის ხომ ყოველთვის ყველას ატყუებდა....

ისტორიას შემორჩა მისი საგულისხმო არაერთი დარიგება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩევა ნაპოლეონს: „ხიშტი კარგი იარაღია ბევრი რამისთვის, მაგრამ ერთი რაღაცისთვის არ ვარგა, - მასზე დიდხანს ჯდომა შეუძლებელია.“

რჩევა მამაკაცს:

„თუ ქალი ამბობს „არა“,
მას მხედველობაში აქვს „შეიძლება;“
თუ ქალი ამბობს „შეიძლება,“
მას მხედველობაში აქვს „დიახ;“
მაგრამ, თუ უეცრად ის ამბობს: „დიახ,“
მაშინ ის ქალი არ არის.

რჩევა დიპლომატს:

თუ დიპლომატი ამბობს „დიახ,“
მას მხედველობაში აქვს „შეიძლება...“
თუ დიპლომატი ამბობს „შეიძლება,“
მას მხედველობაში აქვს „არა,“
მაგრამ თუ უეცრად ის ამბობს „არა“
მაშინ ის დიპლომატი არ არის.“

სამყაროს ულმობელი კანონები
მართავს

ჯერ კიდევ 1911 წლის მაისში აშშ-ის პრეზიდენტი ტაფტი ამბობდა: „ქვემეხების დიპლომატია, ჯენტლმენებო, წარსულს ბარდება. სამყაროს გადასაკეთებლად ბრძოლა გრძელდება და ქვემეხი დოლარს უთმობს ადგილს. დოლარის დიპლომატია, აი ჩვენი მთავარი კარტი – დოლარით გაცილებით უფრო ეფექტიანად გავუსწორდებით მტრებს, ვიდრე ტყვიებითა და ყუმბარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ დოლარებით მოვიპოვებთ მსოფლიო ჰეგემონიას, თვით ნაპოლეონსაც რომ არ დასიზმრებია."

ტაფტის ვარაუდი გამართლდა, I მსოფლიო ომიდან მხოლოდ ერთადერთი ქვეყანა გამოვიდა გამარჯვებული და წელგამართული, ეს იყო აშშ. ამერიკის მიერ მსოფლიო ომის დროს ევროპიდან გამოზიდულმა სიმდიდრემ, ქვეყანაში არნახული ეკონომიკური აღმავლობა გამოიწვია. 20-იანი წლების ამერიკა ერთ დიდ მოგუგუნე ქარხანას დაემსგავსა. ამერიკული საწარმოები ყოველწლიურად სულ უფრო მეტ პროდუქციას უშვებდნენ.

ბიზნესის განვითარებას ხელს უწყობდა აშშ მთავრობა, რომელიც მიიჩნევდა, რომ რაც მეტად გაიზრდებოდა წარმოება, მით მეტი ადამიანი დასაქმდებოდა და ამით მთელი საზოგადოება მოიგებდა. აი, რატომ იქცნენ ჰენრი ფორდის მსგავსი ბიზნესმენები გმირებად. პრეზიდენტი კულიჯი ამბობდა: „კაცი, რომელიც აშენებს ქარხანას - აშენებს ტაძარს."

აქტიურად ცხოვრობდა, არათუ დღე, ღამის ცხოვრებითაც ამერიკული ქალაქები, ღამის კლუბებში ისმოდა ჯაზური მუსიკა, ლამაზი გოგონები ცეკვავდნენ ჩარლსტონს, განგსტერები თავს იწონებდნენ კარგი მანერებით, საუკეთესო მანქანებით და იარაღით, ჩარლი ჩაპლინი ართობდა ხალხს. ძნელია ამ დროს ცუდზე ფიქრობდე კაცი, ისიც კატასტროფაზე. მაგრამ ეს მაინც მოხდა.

1929 წლის 24 ოქტომბერს ე.წ. „შავი ხუთშაბათიდან" ახალი დრო დაიწყო ამერიკის ისტორიისთვის: ერთიმეორის მიყოლებით იხურებოდა ფაბრიკა-ქარხნები, გაკოტრდნენ ბანკები, ათასობით ადამიანს ვალი დაედო. გახშირდა თვითმკვლელობები. ეს იყო დიდი დეპრესია, გლობალური ეკონომიკური ვარდნა, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 წელი გრძელდებოდა და დაასრულა იგი არა რუზველტის ,,ახალმა კურსმა", არამედ ადოლფ ჰიტლერმა. ასე, რომ ფაქტია სამყაროს ულმობელი კანონები მართავს. ის, რასაც განგება ერთი ხელით გაძლევს, იქნებ უფრო მეტს მეორე ხელით გძალავს. ამიტომ არის, რომ არ არსებობს ცუდი კარგის გარეშე და კარგი ცუდის გარეშე.

ასეთ დროს რა შეიძლება იქცეს შეგონებად?

1. კარგის დროს ეცადე მოსალოდნელი ცუდიც განჭვრიტო და იყავი ყველაზე უარესისთვის მზად!

2. გახსოვდეს ბრძნული გამონათქვამი: ,,ის, რაც არ გკლავს, გაძლიერებს." რადგან დარტყმას გადაურჩი და ცოცხალი დარჩი ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც ფოლადი ცეცხლში ისე ხარ გამოწრთობილი, თქვენ უკვე მზად ხართ უფრო დიდ საქმეებსაც შეეჭიდოთ.

მოღალატე ერს უნდა მოეკვეთა

1752 წელს იმერეთში ახალგაზრდა სოლომონ ალექსანდრეს ძე გამეფდა. იგი დიდი შემართებით შეუდგა ბრძოლას სამეფო ხელისუფლების განსამტკიცებლად, დასავლეთ საქართველოს გასაერთიანებლად და თურქთა ბატონობის მოსასპობად. მაგრამ, სოლომონის მდგომარეობა ქართლ-კახეთის მეფეების ხვედრზე გაცილებით მძიმე იყო. ანარქიას და განუკითხაობას დასავლეთ საქართველოში მოეცვა, სახელმწიფოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო. ერთია რას გიკეთებს მტერი და მეორე შენ თავად როგორ იქცევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძის სამართლიანი შენიშვნით: ტყვის სყიდვა სამარცხვინო ლაქად სცხია დასავლეთ საქართველოს ისტორიის ფურცლებს.

ტახტზე ასვლის პირველივე დღიდან თავისი საქმიანობა ახალგაზრდა მეფემ მაჰმადიანობის გავრცელებისა და ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო. სოლომონ I-მა შეძლო შეიერიგებინა სამეგრელოსა და გურიის მთავრები, რათა ერთობლივი ძალებით დაპირისპირებოდნენ გარეშე და შინაურ მტრებს. მეფე-მთავრების ეს შეთანხმება მიუღებელი იყო თურქეთისათვის. მას განსაკუთრებით აცოფებდა სოლომონისა და მისი თანამოსაგრეების ბრძოლა ტყვის სყიდვის წინააღმდეგ. სოლომონმა თავის სამეფოში თითქმის სავსებით მოსპო ეს საშინელი სენი. მან ტყვის სყიდვა საერო და საეკლესიო სასჯელით აკრძალა, რამაც საერთო გაღიზიანება გამოიწვია, როგორც თურქების, ისე ქვეყნის სულმოკლე თავადაზნაურების, მათ შორის სამეფო ოჯახის წევრების: დედადედოფლისა და ბაბუა ლევან აბაშიძის. მათი წაქეზებით, თურქეთის სულთანმა სოლომონის დასჯა ბრძანა. 1757 წლის დეკემბერში თურქთა დიდი ჯარი იმერეთში შემოვიდა. მათ მოუძღოდა მეფის ბაბუა ლევან აბაშიძე. სოლომონი შესანიშნავი სარდალი და ყოვლად უშიშარი მეომარი აღმოჩნდა. მან შეიტყუა თავისი სიმრავლით დაიმედებული თურქები მოხერხებულ ადგილას, ოკრიბაში, ხრესილის მინდორზე (ახლანდელ ტყიბულის რაიონში) და ისე გაბედულად დაესხა მტერს თავს, რომ სულ ერთიანად მოშალა მისი ჯარი. თურქთა სარდლები დაატყვევეს, ან დახოცეს. მათი ჯარის დიდი ნაწილიც ქართველებმა ამოწყვიტეს, მრავალი მათგანი ტყვედ იგდეს ხელთ. ხრესილის ომში სოლომონის ბაბუა, დედის მამა, ლევან აბაშიძე, რომელიც თურქთა ბანაკში იმყოფებოდა და

№ 333

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველთა წინააღმდეგ იბრძოდა, გლეხმა გეგელა თევდორაძემ მოკლა ბრძოლის ველზე. როდესაც გამარჯვებულ ქართველებს მეფე ასაჩუქრებდა და საქებარ სიტყვებს ეუბნებოდა, გეგელას გამოსაცდელად უსაყვედურა, როგორ გაბედე შენ ბაბუაჩემის მოკვლაო, გლეხმა გაბედულად მიუგო: მეფევ, მე ბაბუათქვენი კი არა, ქვეყნის მტერი და ორგული მოვკალიო. ქვეყნისთვის თავდადებულმა სოლომონმაც თავისი ბაბუის მკვლელი საჯაროდ გადაკოცნა, მეფემ გლეხს აზნაურობა უბოძა. ასეთმა ხალხმა გადაარჩინა საქართველო, მეფემაც და გლეხმაც, ხოლო ქვეყნის მოღალატე, თუნდაც სამეფო ოჯახის წევრი ყოფილიყო, ერს უნდა მოეკვეთა. სხვა გზა არ იყო საქართველო და ქართველობა იყო გადასარჩენი.

287.197
3

გიორგი მიხეილის ძე მჭედლიშვილი, ისტორიკოს-კულტუროლოგი, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

1974-79 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თსუ-ში, სადაც მან განვლო ყველა საფეხური, ლაბორანტიდან სრული პროფესორის თანამდებობამდე.

1983 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 2002 წელს სადოქტორო - ,,მუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზრი და ,,ვეფხისტყაოსანი." მას საქართველოში მეცნიერების ახალ დარგში, ისტორიულ კულტუროლოგიაში, ერთ-ერთ პირველს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

1983 წლიდან დღემდე ლექციების კურსს კითხულობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტებთან.

ავტორია 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, თითქმის ამდენივე საგაზეთო წერილის, აქედან 11 მონოგრაფიის. სხვადასხვა საკვლევი თემატიკა და ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები მარტოოდენ ისტორიისა და კულტუროლოგიის სამეცნიერო სფეროს არ მოიცავს, ეხება ჩვენი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებსაც.

ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

ტელ: 2252511 / 555392867 /
ელ. ფოსტა: mchedo@yahoo.com
gmchedlishvili@cu.edu.ge